სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან კვირა, 28 ივნისი 1998 №104 (639) ფასი 50 თეთრი

იტალია — ნორვეგია 1:0
ბრაზილია — ჩილე 4:1

REUTERS მარხულიდან

კრისტიან ვიერიმ (№21) დი ბიაჯოს პასი შეიშნოვა, ეგენს და გრეოდასს აჯობა, ნორვეგიის დამაშამათებელი ბურთიც გაიტანა და 5 გოლით ბომბარდირთა დავაშიც დაწინაურდა

რატომ უნდა ჩავდგეთ რიგში?



ემზარ ზენაიშვილი
„სარბიელის“ საგანგებო კორესპონდენტი ლანსიდან

და აი, ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, მოვაგვარე ჩემი აკრედიტაციის საქმეც. ფიფას მოხელე ქალბატონი ვალერია ჰანდრატი ღიმილით მეუბნება, ცოტა კი ინერვიულეთ, მაგრამ არა უშავს, ბოლო ხომ მაინც კეთილია. აი, თქვენი გუნდი აქ რომ ყოფილიყო, მაშინ პრობლემები ნაკლები გექნებოდათო (ეჰ, ნეტა ყოფილიყო და ჩემდათავად თბილისდან ფეხის გამომდგელის-მეთქი, გავიფიქრე).

ახლა მთავარია, რკინიგზის ბილეთი შევიძინო და ჰერი — ლანსისკენ, ვნახავ ჩვენს „გამამწარებლებს“ საქმეში.

მთავარი პრესცენტრის ხელრიანად დათვალიერებაც კი ვერ მოვასწარი, სასწრაფოდ რკინიგზის ბილეთები ავიღე ლანსში და მარსელში წასასვლელად. მერვედფინალის სასურველ მატჩებზე დასასწრებად შეკვეთაც გავაფორმე და პარიზის ოთხი სადგურიდან ერთ-ერთ — ჩრდილოეთისკენ გავემართე. ბლომად არიან პოლიციელები, ძალლებიც ბლომად ჰყავთ. ლანსისკენ პირდაპირი მატარებლის მგზავრებს, ისინი კი, ფაქტობრივად, ინგლისელი და კოლუმბიელი ფანები არიან, გულმოდგინედ ჩხრეკენ და ამის მერეღა უშვებენ მატარებელში. ეს კი არა, ბილეთები ისე იყო გაყიდული, მეტოქე გუნდების ქომაგები არამც თუ ერთ ვაგონში, ერთ მატარებელშიც კი არ აღმოჩენილიყვნენ. ლანსისკენ სწორედ ინგლისელებთან ერთად ვიმგზავრე, უკან კი კოლუმბიელებში მოვხვდი. ყოველ ვაგონს რამდენიმე მუტრუკი პოლიციელი აცილებს.

რამოდენა თვალები ჰქონია შიშს! აბა, პოლიციელები ლანსში უნდა გენახათ. რაოდენობას ხომ ნუ იტყვით, ჩაფხუტიანები, ხელჯოხიანები, საგანგებო მანქანები, ძაღლები. ლანსში ჩვეულებრივი, ნორმალური ცხოვრებისაა ამდენი პოლიციელი, ცხადია, არ სჭირდებათ. მთელი საფრანგეთიდანაა ჩამოყვანილი დამხმარე ძალა. როგორც კი მატარებლიდან ჩამოდიხართ, უნიფორმიანი მოხალისეები გზას გიჩვენებენ — იქით მიბრძანდით, სტადიონი იქ არისო და შენც მიჰყვები ნაკადს, რომელიც ძირითადად სამ ენაზე გაჰკივის (ფრანგულად ნაკლებად). უპირატესობა და თანაც აბსოლუტური ინგლისელთა მხარესაა. ისინი ჩაცმითაც (თუ ჩაუცმელობით) გამოირჩევიან, ბევრი მათგანი ფეხშიშველია, წელსზემოთ ტიტველი, სახე და ტანი მოუხატ-მოუსვირინგებიათ და თითქმის ყველას ტანზე ინგლისის დროშა მოუსხამს. ზოგიც ნაბახუსევია და ზოგიც გვანდელ „პახმელიაზეა“.

სტადიონი სადგურიდან რამდენიმე წუთის საკალზეა და ამ ხნის მანძილზე ყველა ჩანთოსანს და საეჭვოს ჩხრეკენ. იქვე ჩემს თვალწინ, ერთ, ასე, 18-19 წლის ბიჭს (ცხადია, ინგლისელს), ჩვენებურად რომ ვთქვათ, „ჩორნი ვარონაში“ უკრეს თავი, მეორეს კი, 30-ოდე წლის ნაღდ ბრიტანელს, რომელიც ბორდიურზე ჩამოსკუპებულიყო და აშკარად მთვრალი გახლდათ, 5 თუ 6 პოლიციელი „ამუშავებდა“ — საწყალს ორი საკმაოდ დიდი ჩანთა სულ გადმოუქექეს, საცვლებიც კი ამოუყარეს, ასფალტზე მიმოუფანტეს და აღმოაჩინეს... რამდენიმე ბოთლი ლუდი, გამაგრილებელი სასმელები და, ჰოი, საშინელებავ, ერთი ვისკიც.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი

ექსპერტის კომენტარი ალადინერ პანოვი

საქართველოს ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე

იტალიამ ჭკუით იხმარა

— ბრაზილიამ გუშინ დამტკიცა, ჩემპიონობის ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტი რომ არის. ჩილესთან მატჩში სენსაციური ანგარიში გამორიცხული იყო, ამას თავად ჩილეც ხვდებოდა და ბრაზილიელების მსგავსად, იმთაც სანახაობრივი, ასე ვთქვათ მაყურებელზე თამაში დაიწყეს. ეს იყო ტექნიკის დემონსტრირება ორივე მხრიდან, ლამაზი ფეხბურთი. თუმცა ჩილელები მაინც ახლოც ვერ მივლენ ბრაზილიელ ჯადოქრებთან. იმპროვიზაცია, აი ის, რითაც პელეს თანამემამულენი მუდამ გამოირჩეოდნენ და არც ახლა ღალატობენ ტრადიციას. რატომღაც მგონია, რომ ფინალში ბრაზილია — საფრანგეთი ითამაშებენ. მაგრამ, ახლა ერთი ეჭვი გამიჩნდა: გუშინ იტალიელთა გუნდი მომეწონა. მალდინიმ, ეტყობა, ოპტიმალურ შემადგენლობას მიაგნო სამი მატჩის შემდეგ. ნორვეგიასთან ამათ ძალიან ჭკვიანურად ითამაშეს, თუმცა დაცვაში ერთი-ორი შეცდომა მაინც მოუვიდათ. ნორვეგიელებს ოდნავ რომ ეყოჩაღათ, გოლს ნაღდად გაიტანდნენ. ეს მატჩი სანახაობრივი თვალსაზრისით ბრაზილია — ჩილესას ბევრით ჩამორჩებოდა, თამაში ხომ საფრანგეთის დროით შუადღისას მიმდინარეობდა. 90 წუთი ფეხბურთელებს ტემპისთვის არ მოუმატებიათ, არც დაუკლიათ. სულ ასე, საშუალოზე დაბალი სისწრაფე იყო. ნორვეგიაზე ვიტყვი, რომ ხშირად ეპარებოდათ კონტრშეტევები, იტალიელებმაც ამით დაჯაბნეს, ვიერის ვინ მეურვეობდა, ვერაფრით გავიგე. ჰოდა, ნორვეგია რომ მთელი გუნდით შეეცადა მეტოქის მოედანზე გადასვლას, სწორედ მაშინ დაიჭირეს იტალიელებმა. ასეთი სიტუაცია რამდენჯერმე განმეორდა, ნორვეგიამ კი ჭკუა ვერ იხმარა.

ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა, მეოთხედფინალში ღირსეულნი გავიდნენ. საფრანგეთს კი დღეს გაუჭირდება— ის ხომ უზიდანოდ იქნება.

ტორპედომ ფრეც იკმარა

INTERTOTO CUP

გუშინ ერევანში ინტერტოტოს თასის საკვალიფიკაციო ეტაპის საბასუხო მატჩში ქუთასისის „ტორპედო“ ფრეს დასჯერდა. სომხურ „ერებუნისთან“ სტუმრად დაზავებამ ქართველებს გზა მომდევნო ეტაპისკენ გაუხსნა.

გუშინდელი მატჩი სავალდებულო იყო, თორემ, ბელგიური „ლომელის“ მეტოქეობა ქუთაისში 6:0 მოგებით „ტორპედომ“ ერთი კვირის წინათვე დაიბევა.

იუზა კაციტაძის რეპორტაჟი ერევნიდან იხილეთ მეათე გვერდზე

FRANCE 98

ტემპერამენტიან იტალიელთა და ცივ ნორვეგიელთა ბრძოლაში სამხრეთელებმა იმარჯვეს. ჩრდილოური ყინულის გამჭრელი კრისტიან ვიერი გამოდგა. მთლად სამხრეთამერიკულ წყვილში კი მსოფლიოს ჩემპიონმა ბრაზილიელებმა რონალდოს და სეზარ სამპაიოს დუბლით ჩილელები უშანსოდ დატოვეს.

მერვედფინალი

დღეს

საფრანგეთი — პარაგვაი
ლანსი. 18³⁰

დანია — ნიგერია
სენ დენი. 23⁰⁰

29 ივნისი, ორშაბათი

გერმანია — მექსიკა
მონპელიე. 18³⁰

ჰოლანდია — იუგოსლავია
ტულუზი. 23⁰⁰

30 ივნისი, სამშაბათი

რუმინეთი — ხორვატია
ბორდო. 18³⁰

არგენტინა — ინგლისი
სენტ ეტიენი. 23⁰⁰

სამბაიო პარკ დე პრენსზე

ბრაზილია 4:1 ჩილე

1:0, 2:0 სეზარ სამპაიო (11, 27); 3:0 რონალდო (45პ); 3:1 სალასი (68); 4:1 რონალდო (70)

ოთხი წლის წინ ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, დღეს — მეოთხედფინალშია და კაცმა არ იცის, რას იზამს. შეიძლება ისევ დაეუფლოს ოქროს თასს, შეიძლება ვერა, მაგრამ რომც ვერ დაეუფლოს, მომკალით და ეს ბრაზილია მირჩევნია იმას, ოთხი წლის წინანდელს. მირჩევნია იმიტომ, რომ ფეხბურთი სანახაობაა, იმ ბრაზილიას კი ახლანდელისგან განსხვავებით სპექტაკლების დადგმა არ ეხერხებოდა. უხეშად რომ ვითქვათ, იგი მშრალად იგებდა 1:0-ებს, დღევანდელი გუნდი კი გულს ახარებს.

REUTERS პარი ზიდან

ჩილელებს პირველი სეზარ სამპაიომ გაუტანა

ბოლოს და ბოლოს ჩვენ, ნეიტრალურ გულშემატკივრებს, სანახაობა გვინდა. ცხადია, ამა თუ იმ გუნდის მიმართ სიმპატია გვაქვს და მის გამარჯვებას მივესალმებით, მაგრამ ეს სიმპატია ხომ მათმა თამაშმა განაპირობა. იმ ხალხს, ვისაც ბრაზილიის ნაკრები ჰყავს საქომაგოდ არჩეული, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთა ლამაზი თამაში ახარებს, თორემ დღეიდან ბრაზილიელებმა (დავუშვათ შეუძლებელი) სხვანაირ, ვთქვათ უკიდურესად პრაგმატულ ან მხოლოდ ძალისმიერ ფეხბურთს რომ მისდიონ, საშობლოშიღა უერთგულებენ.

მაგრამ მადლობა ღმერთს, ბრაზილია ბრაზილიად რჩება და ეს წუხელ კიდევ ერთხელ გამოჩნდა. პარიზის „პარკ დე პრენსზე“ ტეტრაკამპიონებმა ჩილეს ნაკრებს კუდით ქვა ასროლინეს.

დიდი განსხვავებაა ბრაზილიასა და ჩილეს შორის. ბრაზილია ათასჯერ უფრო ტექნიკურია, მობილური, ღონიერი, გუნდად შეკრული, დისციპლინიანი. ჩილეს კი სა-სა ჰყავს. ანგარიშიც შესაბამისი დადგინდა, დიდი გუნდის ოთხი გოლი სა-სას ერთის წილ.

ვერ უშველა ჩილელებს „უნივერსიდად კატოლიკას“ 29 წლის მცველის ხავიერ მარგასის წითლად შეღებილმა თმამ. მარგასი იქადნებოდა, თავზე ფერს დავიდებ და ბრაზილიელებს დავამარცხებო, მაგრამ წუხელ გაირკვა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში გასასვლელად მარტო თმის შეღებვა არ არის საკმარისი.

არადა, ჩილეს ცუდად არ დაუწყია. პირველ წუთებში თითქოს ინიციატივასაც ფლობდა, მაგრამ წამზომმა ათჯერ სამოცი რომ დათვალა, მსოფლიოს ჩემპიონთა ერთხელ უკვე ჩემპიონმა კაპიტანმა კარლოს დუნგამ ჯარიმა ჩაწოდა, ბურთს სეზარ სამპაიო გამოუტა და თავურით ანგარიში გახსნა.

ჩილემ სცადა გული არ გაეტეხა. წარბშეუხრელად განაგრძო თამაში სამორანო-სალასის კამპანიამ, მაგრამ სეზარ სამპაიოს რისხვას მაინც ვერ გაექცა. მეორე გოლიც ჯარიმიდან დაიწყო. რობერტო კარლოსმა ძლიერად დაარტყა, ბურთმა ერთი-ორი გადახტომის შემდეგ სამპაიოს ფეხი მოძებნა და იაპონური „იოკოჰამა ფლუგელსის“ 30 წლის ნახევარმცველმა გონივრული დარტყმით მას ნელსონ ტაპიას კარში ამოაყოფინა თავი.

ტაიმის მიწურულს ტაპიამ საჯარიმოში რონალდო დასცა, ფრანგმა მსაჯმა მარკ ბატამ თერთმეტმეტრიანი დარტყმის ნიშნულისკენ გაიშვირა ხელი და თავად რონალდომ პენალტი გოლად გარდასახა.

რონალდო ბუნებრივია საგანგებო საუბრის თემაა. ბოლო ორი წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი განსაკუთრებული დაკვირვებისა და განსჯის ობიექტი გახლავთ. აბა რას აკეთებს? აბა მოატყუა თუ ვერა ორი კაცი? აბა ზუსტად დაარტყა თუ არა? ჯერჯერობით თვალშისაცემ საოცრებებს რონალდო იქნებ ვერც სჩადის, მაგრამ ორისამი მეტოქის ყურადღებას რომ ითხოვს, ხომ ფაქტია? თამაშში სულ მცირე ერთ სახიფათო მომენტს მაინც ხომ ქმნის? ოთხ თამაშში სამი გოლი ხომ გაიტანა? თანაგუნდელებს ზონებს ხომ უთავისუფლებს?

წუხელ რონალდომ ზემოხსენებული პენალტის გარდა კიდევ ერთი გოლი გაიტანა, ორჯერ კი ძელს გაარტყა ბურთი. მოკლედ, ძალიან ახლოს იყო ჰეთ თრიკთან, რომელიც ვერ მოახერხა. განსაკუთრებით რონალდომ მეორე ტაიმში გაილაღა, თუმცა ამ დროს უკვე მთელი ბრაზილიის ნაკრები ლაღობდა.

საგანგებოდ საუბარი ტეტრაკამპიონთა ნახევარდაცვაზეც უპრიანია. ეს რგოლი ალბათ განსაკუთრებით ძლიერია გუნდში. აქ თამაშობენ საუცხოო საყრდენი ნახევარმცველი, გამოცდილი დუნგა, ხსენებული სეზარ სამპაიო, უსწრაფესი და უტექნიკურესი ლეონარდო, აქეთ-იქით მთელ ფრთას რობერტო კარლოსი და კაფუ აკონტროლებენ (თქვენი ნებართვით ამჯერად მათ ნახევარმცველებად მოვიხსენიებ), თან დიდებულად. წუხელ, მადრიდის „რეალის“ მოთამაშე რობერტო კარლოსი ყველგან ყველაფერს ასწრებდა, მთლად ასევე თუ ვერა თითქმის ასევე ირჯებოდა კაფუც.

რივალდო, აი, კიდევ ერთი დიდებული ფეხბურთელი (ყოველ შემთხვევაში, წუხანდელი შეხვედრის მიხედვით). ის ენებავთ ნახევარმცველებში ახსენეთ, ენებავთ უკანა თავდამსხმელი უწოდეთ, ჩილესთან შეხვედრაში ყველაფერს ახერხებდა.

ბებეტო თამაშობდა ცოტა მკრთალად.. რაც შეეხბა სა-სას, ივან სამორანომ თავი დასდო, მაგრამ ჩემპიონატი უგოლოდ ჩაამთავრა, მარსელო სალასმა კი მეოთხე შეაგდო და ისე გაემგზავრა შინ.

მეტი რა იყო? რა და სამბა, სპექტაკლი, ბრაზილიელთა ზეიმი, რომელიც კაცმა საკუთარი თვალით უნდა ნახო და ისიამოვნო.

და მაინც დავეთანხმოთ მათაც, ვინც იტყვის, რომ მსოფლიოს ჩემპიონებს ყველაზე ძნელი მატჩი წინ აქვთ.

ილია ბაბუნაშვილი

REUTERS პარი ზიდან

რობერტო კარლოსმა დიდებულად ითამაშა

მატჩის შემდეგ

მარიო ზაგალო, ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი: „მეორე ტაიმში ისეთი ფეხბურთი ვითამაშეთ, მე რომ მიყვარს და პირობას ვდებ, ამიერიდან ბოლომდე ასე გავაგრძელებთ. რონალდო ამიტომაც იგი ვალდებულია საზოგადოების იმედები გაამართლოს.

რობერტო კარლოსს ამ ჩემპიონატზე ასე ძლიერად ჯერ არ უთამაშია. რივალდომაც ფრიად გამახარა. მართალი რომ გითხრათ მას, სჭირდებოდა ერთი დიდებული მატჩი.

ჩინებული იყო სეზარ სამპაიოც. აქ მთავარი მისი გოლები კი არა, ის ფაქტია,რომ სამპაიო ძალიან აქტიურად ეხმარებოდა თავდასხმას. დღეს მის მოქმედებას შემიძლია სრულყოფილიც კი ვუწოდო.

მეორე ტაიმში ექვსი ან შვიდი გოლის გატანა შეგვეძლო.“

ნელსონ აკოსტა, ჩილეს ნაკრების მწვრთნელი: „თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩილე 16 წელიწადია რაც მსოფლიოს ჩემპიონატზე არ ყოფილა, შეიძლება ითქვას, რომ ძალიან კარგად ვითამაშეთ. სამწუხაროდ, ისეთ გუნდთან მოგვიხდა თამაში, რომელიც უთუოდ ფინალში გავა.

ჩემპიონატის განმავლობაში ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ძალიან კარგი ფეხბურთის თამაშის უნარი შეგვწევს. მე ვამაყობ და ყველანი კმაყოფილნი ვართ, რომ ამ გუნდში ვმოღვაწეობდით.“

ივან სამორანო, ჩილეს ნაკრების თავდამსხმელი: როდესაც იმ გუნდს ეთამაშები რონალდო და სეზარ სამპაიო რომ ჰყავს, გასაგებია რომ უნდა დამარცხდე. მათ შეუძლიათ როცა მოესურვებათ მაშინ გაიტანონ გოლი.“

REUTERS პარი ზიდან

ცხრა ყოველთვის ცხრის ტოლი არ არის. ივან სამორანო და რონალდო

ბრაზილია

1. ტაფარელი
2. კაფუ, 3. ალდაირი, 4. ჟუნიორ ბაიანო, 6. რობერტო კარლოსი
5. სეზარ სამპაიო, 8. დუნგა
18. ლეონარდო, 10. რივალდო
9. რონალდო, 20. ბებეტო

9. სამორანო, 11. სალასი
16. არაოსი, 14. რამირესი, 8. აკუნია, 10. სიერა, 19. კორნეხო
3. ფუენტესი, 5. მარგასი, 6. რეიესი
1. ტაპია

ჩილე

შეცვლა: **რამირესი — 20. ესტაი (46), სიერა — 17. ვეგა (46), ბებეტო — 19. დენილსონი (65), ალდაირი — 14. გონკალვეში (78), აკუნია — 18. მუსრო (80)**

გაფრთხილება: **ლეონარდო, კაფუ, ფუენტესი, ტაპია**

მთავარი მსაჯი: **მარკ ბატა (საფრანგეთი)**

მატჩის ხრონიკა

3 წუთი. ჩილელთა სახიფათო შეტევა. ტაფარელი გამოსვლაზე ეუფლება ბურთს.

11. სეზარ სამპაიოს დუნგას ჩაწოდების შემდეგ თავურით გააქვს გოლი.

13. რობერტო კარლოსის საჯარიმოს კუთხიდან ძლიერად დარტყმული ტაპიას კარს მცირედით სცდება.

27. რობერტო კარლოსის უძლიერესი ჯარიმა ჩილელთა ცოცხალ კედელს ხვდება. არეულობაში ლეონარდო სეზარ სამპაიოს აწვდის და მეორე გოლი გადის.

29. ტაფარელთან შეჭრილ ივან სამორანოს ჟუნიორ ბაიანომ დაასწრო.

33. მარსელო სალასი თამაშგარეში დარჩა.

37. რივალდოსთან უხეში თამაშის გამო ფუენტესს აფრთხილებენ.

41. სამორანოსთან გათამაშების შემდეგ კორნეხო ტაფარელთან პირსპირ დარჩა, თუმცა ბურთს მეკარე დაეუფლა.

45. ტაპია საჯარიმოში შეჭრილ რონალდოს აქცევს. მეკარეს აფრთხილებენ, დაზარალებულს კი გოლი გააქვს.

48. რობერტო კარლოსის გარღვევა საჯარიმოში ჩაწოდებით მთავრდება. ტაპია ადგილზეა.

53. სეზარ სამპაიომ ჰეთ თრიკის შესრულების შანსი გაუშვა. ცარიელი კარის წინ მდგომს ბურთი ფეხებში აებლანდა.

63. სალასს წამით დასწრო ტაფარელმა.

66. რონალდოს უძლიერესი დარტყმა ტაპიას კარის მარცხენა ძელს ხვდება.

68. სალასმა ტაფარელის შეცდომით იხეირა — 1:3.

70. რონალდომ ცრუმოძრაობით ტაპია აცდუნა და მეორე გოლი შეაგდო.

75. რივალდოს ბრწყინვალე გარღვევის შემდეგ ჟუნიორ ბაიანომ ვერ იხეირა.

86. რობერტო კარლოსის პასის შემდეგ რონალდომ ხარიხა შეაზანზარა.

90. სამორანოს საჯარიმო დარტყმულს ბრაზილიელთა ცოცხალი კედელი იგერიებს.

...იქ, მეოთხედფინალში

მატჩი №49. 27 ივნისი. მარსელი. სტად ველოდრომი. 60 000 მაყურებელი

იტალია 1:0 ნორვეგია

1:0 ვიერი (18)

REUTERS მარსელიდან

არეულობა ჯანლუკა პალიუკას კართან იშვიათობა იყო

იტალია მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში გავიდა. ზედიზედ მესამედ. ახლა ორი-სამი დღე დაისვენებს და კვლავ დაძაბული თამაშის გადატანა მოუწევს, ამჯერად გაცილებით ძლიერ (სავარაუდოდ) მეტოქესთან და გაცილებით საპასუხისმგებლო ეტაპზე. წინ მეოთხედფინალია.

ისევ ძველი, კარგად ნაცნობი სურათი, ამაზრზენი თამაში, ისეთი, ცქერა რომ მოგბეზრდება. ანგარიშის გახსნისთანავე ფეხბურთის გარდაცვალება. ერთი სიტყვით, ის, რაც ასე ძალიან ახასიათებს იტალიის ნაკრებს, განსაკუთრებით ჩეზარე მალდინის მოღვაწეობის პერიოდში.

ის, რომ იტალია ლაღი ფეხბურთის სამარის უპირველესი გამთხრელია, ეს ახალი ამბავი სულაც არაა. გუნდი მთელი თავისი დღე და მოსწრება ასე თამაშობდა, თუმცა, თუ ჩეზარე მალდინი თამაშის მოკვლის ტექნიკას ამ დონემდე, ანუ სრულყოფილებამდე აიყვანდა, ვერავინ წარმოიდგენდა. ალბათ, მსოფლიოში არ მოიძებნება მეორე მწვრთნელი, გოლის გაშვებას ასე რომ უფრთხოდეს. ფეხბურთელობისას ჩეზარე მალდინი მცველი გახლდათ და, ეტყობა, მაშინ ისეთი რამ გადაიტანა, წარსულის კოშმარი მოსვენებას არ აძლევს. რაც მან მეორე ტაიმში მოიმოქმედა, ასეთ რამეს მხოლოდ ჯალათები სჩადიოდნენ რამდენიმე საუკუნის წინ — ისედაც ცუდი თამაში, თითქმის ანტიფეხბურთი, უფროსი მალდინის განხორციელებული ცვლილებებით კიდევ უფრო საშინელი გახდა.

წამით წარმოვიდგინოთ, რომ ნორგვეგიელებს ბრაზილიელებთან ნამოქმედარი სანახევროდ გაემეორებინათ. შემოქმედის გარეშე დარჩენილი „სკუადრა აძურას“ ნახვა ასეთ სიტუაციაში მართლაც საინტერესო იქნებოდა, მაგრამ ამჯერად იტალიელებს გაუმართლათ. ნორვეგიამ, როგორც ჩანს, ჩემპიონატი ბრაზილიასთან გამარჯვებით დაასრულა — სანამ სკანდინავიელები ვიერისგან გოლს გაუშვებდნენ, ასე თუ ისე რაცას ცდილობდნენ, ჩამორჩენის შემდეგ კი ერთ-ორ გაბრძოლებას თუ არ ჩავთვლით, ეგილ ოლსენის გუნდს გარჯით თავი დიდად არ მოუკლავს. მეტოქის ზანტი თამაში რომ იხილა, იტალიამაც ძალები დაზოგა, აქედან გამომდინარე, შეხვედრის ბედი სადღაც მეორე ნახევრის დასაწყისში გადაწყდა, დანარჩენი კი დროის საქმე იყო. 45 წუთი, უფრო სწორედ კი 48 უცბად გაილია, ნორვეგიამაც 19-მატჩიანი დაუმარცხებელი სერია დაასრულა, იტალია კი შემდეგ წრეში გავიდა.

კვლავ კრისტიან ვიერი. სამი წლის წინ ეს სახელი გულშემატკივართათვის ცნობილი არ იყო, თუმცა ახლა ყველამ იცის, ვინ არის და რას წარმოადგენს იგი. წარმოშობით ავსტრალიელი ჭაბუკი „იუვენტუსის“ მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ აღმოაჩინა სამიოდ წლის წინ, მერე კი თავდამსხმელის კარიერა სულ მაღლა და მაღლა წავიდა. როცა აწ უკვე გასრულებული სეზონის წინ ვიერი მადრიდის „ატლეტიკოში“ გადაბარგდა, ბევრმა მისი სანაკრებო კარიერა დასრულებულად ჩათვალა, თუმცა პირიქით კი მოხდა — შესანიშნავი თამაშის წყალობით ვიერიმ არათუ დაიმკვიდრა ადგილი იტალიის რჩეულ ფეხბურთელთა შორის, გუნდის უპირველესი ბომბარდირიც გახდა.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ საფრანგეთში ვიერი ბრწყინვალედ თამაშობს — რაც არ უნდა იყოს, უკვე ოთხი თამაშია, იგი მინდვრიდან უგოლოდ არ გასულა, გარდა ამისა, ხუთი გატანილი ბურთით ჩემპიონატის ბომბარდირთა ლიდერია. ბოლო წლების განმავლობაში იტალიას ასეთი გამორჩეული ბომბარდირი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, ნამდვილად არ ჰყოლია. კი, გამოჩნდებიან ხოლმე კიეზა, კაზირაგი, თუნდაც რავანელი, მაგრამ მათ არასტაბილურობა ახასიათებთ, ვიერი კი... არა, კრისტიანი არა მარტო აპენინელთა, არამდე ჩემპიონატის ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელია. ჩინებულად მიღებული ბურთი, ერთი-ორი მოძრაობით დასარტყმელად გასწორებული და ფეხის ერთი მოქნევით მიზანსმიღწეული — აი, ყველაფერი ის, რაც ვიერის გოლს ახასიათებს. ერთი შეხედვით ყველაფერი მარტივია, სადაა, ყოველგვარ გაფორმება-ფინტებს მოკლებული, მაგრამ, რაც მთავარია, შედეგის მომტანი. გროდასის კარში გატანილი ბურთიც სწორედ ზემოთქმულის დამტკიცება გახლდათ — დი ბიაჯოს ზუსტი გადაცემა ვიერიმ გოლით დაგვირგვინა. ბურთი, რომელიც ერთადერთი აღმოჩნდა და რომელმაც გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი.

მართალია, იტალიამ მოიგო, მაგრამ ქომაგებს იმედი ნამდვილად გაუცრუა. უბრალოდ, „სკუადრა აძურამ“ ძალიან დიდი ყურადღება მიაქცია შედეგს, გამარჯვებას კი მსხვერპლად ლამაზი თამაში შესწირა. შეუძლებელი იყო, იტალიელთა თამაშისთვის გეცქირა და გული არ დაგწყვიტოდა. რაზე? — გუშინ ჩეზარე მალდინიმ რობერტო ბაჯო არ ათამაშა, ამ ფეხბურთელის არყოფნამ კი იტალიას ბევრი რამ დააკლო, უპირველეს ყოვლისა კი ხიბლი.

ჩეზარე მალდინი თავდაპირველად რობერტო ბაჯოს ანდობდა გამთამაშებლის ფუნქციებს. თუმცა ეს, როგორც აღმოჩნდა, ალესანდრო დელ პიეროს ტრავმებით ყოფილა გამოწვეული. მოჭიდობინდა თუ არა ჩემპიონთა ლიგის ბომბარდირი, ბუდისტმაც სათადარიგოთა შორის გადაინაცვლა, „სკუადრა აძურამ“ კი რაღაც საგრძნობი დაკარგა. აშკარაა, რომ დელ პიერო შესაძლებლობებზე დაბლა თამაშობს — იგი უდავოდ ნიჭიერი და ძლიერი ფეხბურთელია, მაგრამ საკუთარი თავის სრულიად წარმოჩინებას კლუბთან შედარებით ნაკრებში ნაკლებად ახერხებს, ან სულაც ვერა. თუნდაც ეს შეხვედრა ავიღოთ — დელ პიეროომ სამი საკმაოდ რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა, არადა, „იუვენტუსში“ თამაშისას ორს მაინც გოლად აქცევდა. საქმე, როგორც ჩანს, სხვა რაღაცაშია, იმაში, ჯერ რომ არ დაუდგენიათ.

REUTERS მარსელიდან

ლუიჯი დი ბიაჯო (№14) — კაცი, რომელმაც ვიერის გოლი შექმნა

რა შეიძლება ითქვას ნორვეგიელებზე? — მართალია, საქართველოს ნაკრები ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში სკანდინავიელებს მომავალი წლის გაზაფხულამდე არ ხვდება, მაგრამ არც ახლა იქნებოდა ურიგო, ჩვენი მომავალი მეტოქის ერთი შეხედვით მცირე, მაგრამ მაინც ხარვეზები აღგვენიშნა.

ნორვეგიელთა აქილევსის ქუსლად ამ ჩემპიონატზე იქცა ის, რაც მათ მუდამ უარყოფითად ახასიათებდათ — საკმარისია მათ ტემპში არ აჰყვე, ბურთი „დაიჭირო“, რომ ერთი შეხედვით გრიგალივით მოთამაშე გუნდი ბრინჯივით იბნევა, დისონსნი მეტოქის რიგებში კი შენს წისქვილზე რომ ასხამს წყალს, ამას რა დიდი მიხვედრა უნდა.

თუნდაც აპენინელთა მაგალითი მოვიშველიოთ — ბურთს უმეტესწილად იტალია ფლობდა, ამის წყალობით კი ვერცხლისწყალივით მოუსვენარი ნორვეგია ძალიან იოლად დასამარცხებელი შეიქნა. „სკუადრა აძურამ“ შანსი ხელიდან არ გაუშვა. მართალია, ერთი-ორჯერ პალიუკას კარსაც დაემუქრა საფრთხე, თუნდაც ტორე ანდრე ფლოს თავური ავიღოთ, მაგრამ მთლიანობაში ნორვეგია განიარაღებული დარჩა. მათი მარცხიც ლოგიკური გახლდათ.

...„სკუადრა აძურა“ მეოთხედფინალშია. იქ კი სავარაუდოდ მსოფლიოს ჩემპიონატის უმნიშვნელოვანესი შეხვედრა უნდა შედგეს, თუ, ცხადია, მასპინძელმა საფრანგეთმა მერვედფინალში პარაგვაული ბარიერი დაძლია.

ლაშა გოდუაძე

REUTERS მარსელიდან

ITALIA

12. პალიუკა

5. კოსტაკურტა 3. მალდინი 4. კანავარო 2. ბერგომი

17. მორიერო 14. დი ბიაჯო 11. დ. ბაჯო 9. ალბერტინი

21. ვიერი 10. დელ პიერო

9. ტ. ა. ფლო

21. რისეტი 10. რეკდალი

8. ლეონარდსენი 17. ჰ. ფლო 7. მიუკლანდი

5. ბიორნებიუ 3. იონსენი 15. ეგენი 4. ბერგი

1. გროდასი

ნორვეგია

შეცვლა: **ლეონარდსენი — 22. სტრანდი (13) — 6. სოლბაკენი (40), მორიერო — 15. დი ლივიო (63), ალბერტინი — 7. პესოტო (72), ჰ. ფლო — 20. სოლსკიაერი (73), დელ პიერო — 20. კიეზა (77)**

გაფრთხილება: **მორიერო, დი ბიაჯო, მალდინი, ჰ. ფლო, მიუკლანდი, რეკდალი**

მთავარი მსაჯი: **ბერნდ ჰაინემანი (გერმანია)**

მატჩის ტექნიკურად

ეგილ ოლსენი, ნორვეგიის ნაკრების მწვრთნელი: დღეს იტალიის ცუდ ნაკრებს ვეთამაშეთ. მატჩიც ძალიან ცუდი გახლდათ. ჩვენ შეგვეძლო გოლის გატანა, რადგან რამდენჯერმე მოგვეცა საამისო შესაძლებლობა. მეტოქე გადაღლილი იყო. საბოლოოდ გაწბილებული დავრჩი. ნორვეგიამ შესაძლებლობები ვერ გამოავლინა. ვგონებ, იმდენად იტალიამ არ მოიგო, რამდენადაც ჩვენ წავაგეთ. განსაკუთრებით მეორე ტაიმში გვმართებდა შექმნილი მომენტების გამოყენება. ალბათ სიცხემაც ითამაშა თავისი როლი. იტალიელები ჩვენზე მეტად დასიცხულნი ჩანდნენ.

ჩეზარე მალდინი, იტალიის ნაკრების მწვრთნელი: ძალიან, ძალიან კარგად ვითამაშეთ. გუნდს, რომელიც 16 უძლიერესთა შორის მოხვდა, იოლი თამაში ვერ ექნებოდა.

როდესაც ჰკითხეს, რობერტო ბაჯო რად არ ათამაშეო, მან უპასუხა: ეს ჩემი საქმეა. ეს ტაქტიკის ამბავია. დელ პიერო დღითიდღე უკეთ და უკეთ თამაშობს. ძალიან კმაყოფილი ვარ მისი დღევანდელი მოქმედებით.

მატჩის ტექნიკურად

ეგილ ოლსენი, ნორვეგიის ნაკრების მწვრთნელი: დღეს იტალიის ცუდ ნაკრებს ვეთამაშეთ. მატჩიც ძალიან ცუდი გახლდათ. ჩვენ შეგვეძლო გოლის გატანა, რადგან რამდენჯერმე მოგვეცა საამისო შესაძლებლობა. მეტოქე გადაღლილი იყო. საბოლოოდ გაწბილებული დავრჩი. ნორვეგიამ შესაძლებლობები ვერ გამოავლინა. ვგონებ, იმდენად იტალიამ არ მოიგო, რამდენადაც ჩვენ წავაგეთ. განსაკუთრებით მეორე ტაიმში გვმართებდა შექმნილი მომენტების გამოყენება. ალბათ სიცხემაც ითამაშა თავისი როლი. იტალიელები ჩვენზე მეტად დასიცხულნი ჩანდნენ.

ჩეზარე მალდინი, იტალიის ნაკრების მწვრთნელი: ძალიან, ძალიან კარგად ვითამაშეთ. გუნდს, რომელიც 16 უძლიერესთა შორის მოხვდა, იოლი თამაში ვერ ექნებოდა.

როდესაც ჰკითხეს, რობერტო ბაჯო რად არ ათამაშეო, მან უპასუხა: ეს ჩემი საქმეა. ეს ტაქტიკის ამბავია. დელ პიერო დღითიდღე უკეთ და უკეთ თამაშობს. ძალიან კმაყოფილი ვარ მისი დღევანდელი მოქმედებით.

მატჩის სტენოგრამა

10 წუთი. დინო ბაჯოს შორიდან გასროლილი ზემოდან გადასცდა გროდასის კარს.

12. ტორე ანდრე ფლომ თავის ბიძაშვილ ჰავარდს დაუგორა, მისი დარტყმული პალიუკამ აკრობატული ნახტომით მოიგერია.

17. ფლოებმა საჯარიმოში თავბურთი გამართეს, მალდინიმ განზრახვა ჩაუშალათ.

18. დი ბიაჯომ მოედნის სიღრმიდან გაუჭრა ვიერის, რომელმაც ადევნებული მიუკლანდი ახლოს არ გაიკარა და მის შესახვედრად გამოვარდნილ გროდასს ნაქცეულმა შორეულ კუთხეში გაუტანა.

21. იგივე დი ბიაჯომ კარგად უპასა ვიერის, რომელიც ბურთს ვერ მისწვდა.

22. მიუკლანდმა ქუსლით მიაწოდა სტრანდს, მან ბურთი ვერ დაიმორჩილა და იქვე მყოფმა მალდინიმ განმუხტა მდგომარეობა.

26. ბერგის ჩაკიდულზე ჰ. ფლო ერთი შეხებით ცდილობდა ბურთის კარში გადაგზავნას, პალიუკამ არ დაანება.

36. მორიერომ კუთხურიდან ჩააწოდა, დინო ბაჯო ყველაზე მაღლა ახტა და თავით მძლავრადაც დაარტყა, გროდასმა ბურთი კარის ხაზზე გააქვავა.

40. დელ პიერომ ბურთი მკერდით ჩამოიღო და საჯარიმოში შესული გროდასს შეეყარა, მაგრამ დარტყმული მეკარეს ვერ ააცილა.

44. რეკდალის კუთხურიდან ჩაწოდებულზე ბერგი თავით ცდილობდა კარში დარტყმას, კანავარომ ასევე თავით არ დაანება.

45. დელ პიერო ტექნიკურად ცდილობდა წინ გამოსული მეკარესთვის ბურთი თავზე გადაეგდო, გროდასმა ივარგა.

48. დელ პიერომ ვიერი მოძებნა, მის დარტყმულ ბურთს იონსენი ფეხით გადაეფარა.

65. დელ პიერომ, უკვე მერამდენედ, გოლის გატანის რეალური შანსი დაკარგა, ბურთმა ძელს ჩაუქროლა.

66. დინო ბაჯოს შეუჩერებლივ გასროლილს გროდასი ნახტომში ეუფლება.

71. მიუკლანდმა ჩააწოდა, ტორე ანდრე ფლოს თავური პალიუკამ კარის ხაზიდან სასწაულებრივად გამოიტანა.

77. დი ლივიომ ბიორნებიუს მოჰპარა ბურთი, მაგრამ დაბნეულმა ვერ ივარგა, გროდასმა პასი ჩაუჭრა.

83. ბიორნობიუმ ჯარიმა ჩახვეულად დაარტყა, ბურთი ზევიდან გადასცდა კარს,

84. სოლსკიაერმა იონსენს უპასა, რომელმაც კარის ნაცვლად ბურთი ღრუბლებში გაგზავნა.

89. ვიერიმ საჯარიმოში კიეზა მონახა, ამას კი ტექნიკურად დარტყმული გაუცუდდა.

მატჩი №51. საფრანგეთი — პარაგვაი. ლანსი. 18[30]

ჩილავერტი მთელი საფრანგეთის წინააღმდეგ

ფრანგთა მწვრთნელ ემე ჟაკეს არც არასდროს დაუმალავს, რომ გუნდს საჩემპიონოდ ამზადებდა. მან ამისთვის შეამზადა მთელი ერი და საქმის კეთების დრო დამთავრებულია. რაც გასაკეთებელი იყო, ჟაკემ გააკეთა და მოუთმენლად ელის მერვედფინალს. მისმა გუნდმა ძალიან იოლად, ერთი ამოსუნთქვით გაიარა ჯგუფური ტურნირი და დღეს ლანსშია, რათა დაამტკიცოს, რომ ფინალისკენ გამარვჯებულ სვლას რიხით დაიწყებს.

ფრანგთა მოწინააღმდეგე ლამის მთელი კვირაა ცნობილია. ეს გახლავთ პარაგვაის გუნდი და დღეს რომ გამარჯვებაზე ფიქრობენ ემე ჟაკე და მისი რაზმი, გამორჩევით ერთი კაცის იერსახე უდგათ თვალწინ. ამ კაცს ფრანგული პრესა „ბულდოგს“ უწოდებს და ძნელი გამოსაცნობი არ არის, რომ იგი პარაგვაის ნაკრების კაპიტანი, ლიდერი და მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტია.

სწორედ ამ ზორბა მეკარეს უნდა აცდინონ ბურთი ფრანგებმა, რათა პარიზს გაემგზავრონ და მეოთხედფინალური, ნახევარფინალური და ფინალური მატჩები ახალ სენ დენიურ მინდორზე გამართონ, მაგრამ ეს მხოლოდ ოცნებაა. ოცნებაა ისიც, რომ საფრანგეთი პირველი მასპინძელი ქვეყანა შეიქმნება, ბოლო 20 წელიწადში მსოფლიო თასი რომ მოუგია. ოცნებაა მეოთხედფინალიც, რადგან ჯერ ჩილავერტს უნდა აცდეს ბურთი.

ვინ არის ამისთანა? პარაგვაელთა მეკარე ენერგიის და მყარალი სიტყვების მფრქვეველი გოლიათია. კარიერაში 30-ზე მეტი გოლი გაუტანია, სამი თვით ციხეში მჯდარა და 18-თვიანი დისკვალიფიკაციაც გადაუტანია, მაგრამ კარში საიმედოდ და თამამად დგას. ემე ჟაკეს თავსატეხიც ესაა. ჩილავერტმა სამ ჯგუფურ შეხვედრაში ერთადერთი გოლი გაუშვა და 100-1-ზე შანსის მქონე პარაგვაი მერვედფინალში გაიყვანა. თუმცა, ფრანგებს მისი შიში და კრძალვა ნაღდად არა აქვთ. ეს უფრო მედიის მიერ წამოყენებული მსუბუქი პანიკაა. ჟაკეს კი კარგა ხანია განსაზღვრული აქვს ტაქტიკა და სერიოზულადაც უმზერს ამ თამაშს.

„ჩვენ იოლად ვერ დავიჭერთ მოედანს,“ — ამბობს ის — „გარჯა მოგვიწევს. ჯგუფურ ტურნირში პარაგვაელები თანდათან აუმჯობესებდნენ თამაშს. მათი გრაფიკი აღმავალია. მათ კარგად იციან პოზიტიური თამაში, შეკრული გუნდი ჰყავთ და ბურთს კარგად ატარებენ“.

საფრანგეთის ნაკრებმა ყველაზე მეტი, 9 გოლი გაიტანა ჯგუფში, მაგრამ მწვრთნელი ამბობს:

„ახლა სხვა შეჯიბრი იწყება. ეს ჯგუფი არ არის, მაგრამ ჩვენ სათანადოდ ვიმუშავეთ და ბევრი რამ პლეი ოფის შესაბამისად გადავახალისეთ“.

დღეს ფრანგთა რიგებში კვლავ არ იქნება მათი უპირველესი ვარსკვლავი და გამთამაშებელი ზინედინ ზიდანი. საუდელებთან მატჩში მიღებულმა წითელმა ბარათმა მერვედფინალამდე მოაღწია. ზიდანი დიდი ძალაა საფრანგეთისთვის, მაგრამ დანიელებთანგ მატჩში ჟაკემ დაადასტურა, რომ ნიჭიერი გუნდი ჰყავს. მან ძირითადის რვა ფეხბურთელი შეცვალა, და მატჩი, რომელშიაც ფრეც ჰყოფნიდა, მოიგო. ამ თამაშმა ისიც უჩვენა, რომ იური ჯორკაეფს უნდა ძალუძდეს ზიდანის შეცვლა და თავდამსხმელთა დროული პასებით მომარაგება.

თუკი რაიმე გაჭირვება ადგას ჟაკეს გუნდს, ეს ნაღდი მეგოლის არყოფნაა.

თავდამსხმელთა შორის საუკეთესომ, კრისტოფ დიუგარიმ კარგი თამაში უჩვენა სამხრეთ აფრიკელთა წინააღმდეგ, მაგრამ საუდელებთან მატჩში ბარძაყი დაიშავა და ჩემპიონატის ბოლომდე მისი გამოჩენა სათუოა. მისი დუბლიორები დავიდ ტრეზეგე და სტეფან გივარში კი სრულფასოვნად ჯერაც არ გამოცდილან მსოფლიო ჩემპიონატის საქმეში.

ხოსე ლუის ჩილავერტი — კაცი, რომელიც საფრანგეთს დაუპირისპირდა

სარბიელის არქივიდან

ჩვენ ფრანგთა გასაჭირს ვამბობთ, მაგრამ პარაგვაელებიც ხომ უმძიმესი გამოცდის წინაშე დგანან?

პარაგვაელთა მთავარი იმედი წინა ხაზზე, ბარსელონას „ესპანიოლში“ მოთამაშე მიგელ ბენიტესია. მან საუცხოო გოლი გაიტანა ნიგერიელთა კარში და გუნდი საბრძოლველად აანთო.

თამაში, რა თქმა უნდა, მძიმე იქნება. ფრანგები ყველაფერს კარგავენ, პარაგვაელები - არაფერს.

მათი მწვრთნელი პაულო სეზარ კარპეჯიანი კი იმედიანადაა განწყობილი: „ჩვენ უამრავი საგოლე მომენტი შევქმენით ნიგერიელთა კართან. ჩვენ დინამიურად ვითამაშეთ და საუცხოო დაცვაც ვაჩვენეთ მაყურებელს. იმედი მაქვს, იგივეს გავიმეორებთ. საფრანგეთი ძლიერი გუნდია, მაგრამ მას ნაკლი აქვს. მე ვხედავ ამ ნაკლს“.

ასე რომ, დღეს, ლანსის „ფელიქს ბოლერის“ მინდორზე ბრძოლაა. 42-ათასიან სტადიონზე მთელი საფრანგეთი არ დაეტევა, მაგრამ მთელი საფრანგეთი გულისფანცქალით ელის პირველ ნაბიჯს, ოქროს თასისკენ რომ უნდა გადადგას მათმა საყვარელმა გუნდმა. გზაზე ხოსე ლუის ჩილავერტი დგას — სწორედ მას უნდა აცდეს ბურთი. დანარჩენი კი, დანარჩენი იქნება, თვლიან ფრანგები.

გუნდების სავარაუდო შემადგენლობები

საფრანგეთი: ბარტეზი, ტურამი, ბლანი, დესაი, ლიზარაზუ, დეშამი, პეტიტ, ჯორკაეფი, ანრი, პირესი, გივარში

პარაგვაი: ჩილავერტი, არსე, გამარა, აიალა, სარაბია, კანისა, ენსისო, ბენიტესი, პარედესი, ბრისუელა, კარდოსო

ირაკლი გამყრელიძე

ემე ჟაკე არაფერს ამბობს, თუმცა ბევრს კი ფიქრობს

სარბიელის არქივიდან

ისტორიამ ერთს უნდა გაუღიმოს

მატჩი №52. დანია — ნიგერია. სენ დენი. 23[00]

დღეს ნიგერიას და დანიას ახალი, მათთვის უცნობი მიწის დაპყრობა შეუძლიათ. შეუძლია ორივეს, მაგრამ დაიპყრობს ერთი.

საფრანგეთ 98-ზე აფრიკის კონტინენტს ხუთი გუნდი ჰყავდა. ამათგან ოთხი უკვე შინაა და მხოლოდ ნიგერია იბრძვის დიდ ელიტაში ადგილის დასამკვიდრებლად. ნიგერიელებმა წინა ჩემპიონატზეც მიაღწიეს მეორე ეტაპს, მაგრამ მესამეში „სკუადრა აძურამ“ აღარ გაუშვა. რობერტო ბაჯოს ნიჭმა გადაულობა გზა.

ნიგერია მეოთხედფინალში არ ყოფილა და იქ რა ხდება არ იცის, სამაგიეროდ ეს ადგილები მის მწვრთნელს, სერბ ბორა მილუტინოვიჩს აქვს შემოვლილი. ერთხელ, 1986-ში მილუტინოვიჩი მექსიკის ნაკრებთან ერთად იყო მეოთხედფინალში, მეორედ, 1990-ში კამერუნთან ერთად.

სხვათაშორის კამერუნი არის ერთადერთი აფრიკული ქვეყანა, რომლის ნაკრებიც მსოფლიოს პირველობის მეოთხედფინალშია ნამყოფი.

დღეს ნიგერიას შეუძლია კამერუნელთა რვა წლის წინანდელი მიღწევა გაიმეოროს და გრძნობს, რომ მთელი შავი კონტინენტი უჭერს მხარს.

„დანიელები უნდა შეეგუონ იმ აზრს, რომ დამარცხდებიან“ — თქვა ნიგერიის ნაკრების ნახევარმცველმა ფინიდი ჯორჯმა — „ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ, რადგან გამარჯვებაა ერთადერთი გზა იმის დასამტკიცებლად, რომ აფრიკამ ამ ჩემპიონატზე ძლიერი გუნდი ჩამოიყვანა. თანაც, პარაგვაისთან დამარცხების შემდეგ გულშემატკივართა გულის მოგება გვჭირდება“.

შეგახსენებთ, რომ მერვედფინალში გასასვლელად ნიგერიამ D ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. მან დაამარცხა ესპანეთი (3:2) და მსოფლიოს წინა ჩემპიონატის ნახევარფინალისტი ბულგარეთი (1:0), მაგრამ ბოლო შეხვედრაში, რომელიც მისთვის არაფერს წყვეტდა, ნიგერიელებმა პარაგვაის გაატანეს 1:3. აღსანიშნავია, რომ აფრიკელ „სუპერარწივებს“ იმ მატჩში საუკეთესო ფეხბურთელები არ ჰყავდათ, ისინი დაასვენეს.

ახლა ნიგერიელი მოთამაშეები ერთი მნიშვნელოვანი ამოცანის წინაშე დგანან. მათ საკუთარ თავსა და თანამემამულეებს უნდა დაუმტკიცონ, რომ აღარ არიან ისეთი გულუბრყვილონი ოთხი წლის წინ რომ იყვნენ, როდესაც თითქმის გამარჯვებამდე მიყვანილ თამაშში, საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე გოლი გაუშვეს და საქმე დამატებით დრომდე მიიყვანეს, სადაც დამარცხდნენ.

მაშინ, 1994-ში, ნიგერიელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი დანიელ ამოკაჩი გახლდათ. დღეს ამოკაჩის მუხლის დაზიანების გამო ვერ ვიხილავთ მოედანზე. სამაგიეროდ წინა თამაშში დისკვალიფიკაციის გამო სკამზე გადამჯდარი კაპიტანი უჩე ოკეჩუკვო დაუბრუნდება მოვლენათა გულს.

დანიელებსაც აქვთ დასამტკიცებელი ბევრი რამ. უპირველეს ყოვლისა მათ პასუხი უნდა გასცენ კრიტიკოსებს, რომლებიც აცხადებენ, ამ გუნდის ფეხბურთელთა უმრავლესობა ისეა დაბერებული, რომ ხერიანად სირბილის უნარიც აღარ შესწევთო. ბებრები შეეცდებიან კბილები გამოაჩინონ.

„ნიგერიამ პირველ ეტაპზე ისე კარგად ითამაშა, რომ ირგვლივ ყველა ერთსა და იმავეს იმეორებს, იგი შეიძლება გახდეს პირველი აფრიკული ნაკრები, რომელიც ოქროს თასს დაეუფლებაო“ — განაცხადა დანიელთა ცნობილმა მეკარემ პეტერ შმაიხელმა.

დანიის სხვა მოთამაშეები კი კბილებში სცრიან, ნიგერიელებს უჯობთ გამარჯვებას წინასწარ ნუ იზეიმებენო.

აქედან დაგირტყამენ და ფრთხილად იყავი, ეუბნება ბო იოჰანსონი პეტერ შმაიხელს

სარბიელის არქივიდან

ტარიბო ვესტს ჰგონია, რომ ასე კენწლა-კენწლით გავა მეოთხედფინალში

სარბიელის არქივიდან

„მართალია ამაზე ხმამაღლა არ ლაპარაკობენ, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ ნიგერიელები მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისკენ მიმავალ გზაზე ერთ-ერთ პაწაწინა წინააღმდეგობად მიგვიჩნევენ“ — გაღიზიანებული ამბობდა თურქული „ფენერბაჰჩეს“ მცველი იეს ჰოგი, სხვათაშორის ნიგერიელი აუგუსტინ, იგივე ჯეი-ჯეი ოკოჩას თანაგუნდელი.

„ნიგერიელთა სუსტი წერტილი ის არის, რომ მათ მეტისმეტად მსუბუქი გასეირნების მოლოდინი აქვთ. სანამ ისინი ჯეროვნად არ გვაფასებენ, საკუთარ თავს მეოთხედფინალში გასვლის შანსს აკლებენ“ — ეს დანიელთა ერთ-ერთი ვარსკვლავის, ბრაიან ლაუდრუპის სიტყვები გახლავთ. მან დასძინა — „ჩვენ შეგვიძლია ბარიერის დაძლევა, არადა ნიგერიას კი არა, ვთქვათ გერმანიას, ჰოლანდიას ან იუგოსლავიას რომ შევხვედროდით, ასეთ სიტყვებს ნამდვილად ვერ ვიტყოდი. აი, ამიტომ მგონია, რომ რაღაც დიდი ამბავი უნდა მოხდეს“.

დანიელებიც მეორე ეტაპზე არიან ნამყოფი. 1986 წლის პირველობაზე, მექსიკაში, მათ მესამე ეტაპზე გასასვლელად ესპანეთთან მოუწიათ ბრძოლა, მაგრამ ის დღე ქვეყნის ფეხბურთის ისტორიაში შავი ასოებით ჩაიწერა. ესპანეთმა 5:1 მოუგო.

დანიის ნაკრებმა საფრანგეთი 98-ის პირველ სამ შეხვედრაში მხოლოდ სამი გოლი გაიტანა, რაც მისი თავდასხმის ხარისხზე მთლად კარგად ვერ მეტყველებს, მაგრამ გუნდის დიდი ძალა პეტერ შმაიხელი გახლავთ. ინგლისურ „მანჩესტერ იუნაიტედში“ მოთამაშე გოლკიპერმა ამ დღეებში ერთხელაც აჩვენა მთელს მსოფლიოს, რომ თავისი საქმე ფრიადზე იცის, მისი კოლეგა, დღევანდელ თამაშში საპირისპირო კარის მცველი, პიტერ რუფაი კი სეზნიასავით საიმედო არ გახლავთ.

ასეა თუ ისე, დღეს დანიაცა და ნიგერიაც ისტორიული ნაბიჯის გადადგმას შეეცდებიან ეს კი იმას ნიშნავს, რომ სენ დენში, „სტად დე ფრანსზე“ კარგი თამაშია მოსალოდნელი.

გუნდების სავარაუდო შემადგენლობები

ნიგერია: რუფაი, ბაბაიარო, ოკეჩუკვუ, ვესტი, ფინიდი, ადეპო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერვედიმედი

ჩემპიონატის დღიური

26 ივნისი

ლაშა ეოდყაძე

FRANCE 98

შესავლის ნაცვლად

გაილია სამი კვირა. მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი ეტაპიც დასრულდა. ახლა ის თექვსმეტი გუნდი, მერვედფინალში თამაშის უფლება რომ მოიპოვეს, ოქროს თასისკენ მიმავალი სწორი გზის ძებნაში იქნება. კიდევ ორ კვირაში ერთ-ერთი მათგანი საბოლოოდ მიაღწევს მიზანს, მაგრამ ჩვენ ხომ არ ვიცით, ის ერთი იღბლიანი რომელი იქნება. ჯერ მხოლოდ თექვსმეტი გუნდია შემორჩენილი, ნელ-ნელა მათი რაოდენობა შემცირდება.

მსოფლიოს ჩემპიონატი თავისთავად გულისხმობს იმას, რომ იქ დედამიწაზე უძლიერესის სახელის დასაგდებად იბრძვიან. ჩვენს შემთხვევაში საქმე ფეხბურთელებს ეხება.

თუგინდ უსახელო გუნდები გავიდნენ მერვედფინალში, თამაშები მაინც საინტერესოდ მიმდინარეობს, თუმცა ის, რომ მერვედფინალში რომელიმე გუნდი შემთხვევით მოხვედრილიყოს, არ მომხდარა და, ალბათ, არც მომავალში მოხდება. ახლაც ასეა, სამკვირიანი ჯგუფური ტურნირის გასრულების შედეგად გამოვლინდა ის 16 ნაკრები, მერვედფინალს რომ შემორჩნენ. პირველი ეტაპის თამაშებს თუ გავიხსენებთ, დავრწმუნდებით, რომ შემთხვევით ამ ეტაპისთვის არავის მიუღწევია. უკლებლივ ყველა მერვედფინალისტი იმსახურებდა შემდეგ წრეში გასვლას.

განწირულნი

ვინაიდან ორი მერვედფინალური მატჩი გუშინ გაიმართა (იტალია — ნორვეგია და ბრაზილია — ჩილე), ამჯერად თქვენს ყურადღებას დარჩენილ ექვს წყვილს მივაპყრობ, იმათ, რომლებმაც მეოთხედფინალში დარჩენილი ექვსი ვაკანტური ადგილის მფლობელი უნდა გაარკვიონ.

წყვილებს რომ გადავხედოთ, გონებაში უმალ შეიგულებ ფავორიტებს, განწირულებს, მაგრამ თვალში ისეთი წყვილებიც მოგხვდება, რომლის მონაწილენიც გასავარდნად არ გემეტება. ყველა მერვედფინალი თავისთავად ძალიან საინტერესოა, მაგრამ მათ შორის რამდენიმე მაინც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.

ინგლისი — არგენტინის მატჩით დავიწყოთ. ალბათ, არ შეცდები, თუ ვიტყვი, რომ მერვედფინალებიდან ამ წყვილის შედეგის წინასწარმეტყველება ყველაზე რთულია. ჯგუფურ ტურნირში სამხრეთამერიკელებმა უკეთესად ითამაშეს, მაგრამ ამით ხომ ვერ იმსჯელებ. პირველი ეტაპი სხვაა, მერვედფინალი კი სულ სხვა. თუნდაც იტალიელთა ოთხი წლის წინანდელი მიღწევა გავიხსენოთ — „სკუადრა აძურამ“ ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა, საბოლოოდ კი ფინალს უწინ.

ერთი სიტყვით, ინგლისი — არგენტინა. აღარ დავიწყებ მეტოქეთა ადრინდელი შეხვედრების სრული სიის ჩამოთვლას, მხოლოდ ერთ თამაშს გავიხსენებ, იმას, უკლებლივ ყველა გულშემატკივარს გუშინდელი დღესავით რომ ახსოვს — 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალი.

იმ წელს არგენტინა ბრწყინვალე დიეგო მარადონას ლიდერობით შესანიშნავად თამაშობდა — ინგლისელებთან გამარჯვების შემდეგ არგენტინელებმა ბელგიასაც სძლიეს, ფინალში კი გფრის გუნდის დამარცხებით მსოფლიოს ჩემპიონებიც გახდნენ. თუმცა მანამდე...

ის მეოთხედფინალური მატჩი დღემდე ერთ-ერთ ყველაზე სკანდალურად ითვლება მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში, თუმცა, ამასთანავე, სწორედ იმ შეხვედრაში გავიდა საფეხბურთო ტურნირების ულამაზესი გოლი — დიეგო მარადონამ ხუთი (!) ინგლისელი მეტოქე ჩამოიშორა და ისე დალაშქრა ალბიონელთა კარი. ეს არგენტინელთა მეორე გოლი იყო, პირველი კი, იმავე მარადონამ რომ გაიტანა, ჯერაც ვერ გაურკვევიათ, კანონიერი იყო თუ უკანონო — ვიდეოჩანაწერში ზოგან აშკარად ჩანს, რომ მარადონამ ხელით ითამაშა, ზოგან კი ვერაფერსაც ვერ შეამჩნევთ. ბურთი ჩაითვალა, არგენტინამაც იმარჯვა, ინგლისმა კი წყენა ვერა და ვერ დაივიწყა.

ინგლისი მერვედფინალშია! იქ ახლა გლენ ჰოდლის რჩეული ბიჭებისგან მხოლოდ და მხოლოდ არგენტინასთან გამარჯვებას ელიან

სარბიელის არქივიდან

ჩემპიონატში ერთ-ერთმა საუკეთესომ, იუგოსლავიის ნაკრებმა შესაძლოა მერვედფინალში წაიტეხოს კისერი

სარბიელის არქივიდან

თუ რომელიმე ინგლისურ გაზეთში მარადონაზე ითქმება რამე, გარწმუნებთ, ზემოაღწერილი გოლის ამბავსაც სადმე იქვე წააწყდებით. მას შემდეგ თორმეტი წელი გავიდა, ინგლისმა კი ვერა და ვერ დაივიწყა დიეგოს „საქმენი საგმირონი“.

ოთხი წლის წინანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე, როცა მარადონა აკრძალული პრეპარატების მიღებაში ამხილეს, თითქმის ყველა სპორტული გამოცემა თანაგრძნობით გამოეხმაურა დიედბული არგენტინელის დასჯის ამბავს. მხოლოდ ინგლისელი ჟურნალისტები გამოირჩეოდნენ ენამწარობით.

ახლა ინგლისი კვლავ ხვდება არგენტინას, მაგრამ მარადონა სამხრეთამერიკელთა გუნდში აღარაა. მიუხედავად ამისა, მას ამ საქმისადმი მიძღვნილ წერილებში მაინც მოიხსენიებენ.

„ინგლისო, არ დაივიწყო, რომ მარადონას აჩრდილს არ სძინავს. ჩვენ რევანში გვწყურია. არგენტინა უნდა დამარცხდეს — ასე გამოეხმაურა ამ შეხვედრას „დეილი მეილი“.

ინგლისელებს გამრავჯვება სწყურიათ. ალბიონზე სწამთ, რომ მათ დღევანდელ ნაკრებს შესწევს ძალა, აღმართოს მსოფლიოს თასი. ფეხბურთის სამშობლო მსოფლიოს ჩემპიონი უნდა გახდეს.

ყველა მერვედფინალი რომ დაძაბული იქნება, ამას თქმა არ უნდა, მაგრამ ეს შეხვედრა, არგენტინა — ინგლისის დაპირისპირება, ძველი ამბების გამო მაინც გამორჩეულ ელფერს იძენს. ორივე გუნდი ღირსია, უფრო შორს წავიდეს, თუმცა, ბედმა ასე არ ინება — ერთ-ერთმა გზა მეორეს უნდა დაუთმოს. ერთი სიტყვით, არგენტინა ან ინგლისი.

...წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინამ ჯგუფურ ტურნირში შესანიშნავად ითამაშა, მაგრამ მერვედფინალში იმ მსოფლიოს ჩემპიონატის უდავოდ საუკეთესო შეხვედრაში — რუმინეთთან დამარცხდა. ახლა კვლავ მერვედფინალი და არანაკლებ საშიში და ძლიერი მეტოქე. ვითომ შეძლებენ არგენტინელები გლენ ჰოდლის ბიჭების ძლევას? ძნელია იწინასწარმეტყველო გამარჯვება, ძალიან დაძაბული ბრძოლა იქნება, ბრძოლა უკანასკნელ წუთამდე. ორივე იმსახურებს მეოთხედფინალში თამაშს, მაგრამ ასე არ იქნება და თუ რატომ, ეს ძალიან კარგად ვიცით.

ან არგენტინა, ან ინგლისი! სხვანაირად არ იქნება!

ერთ-ერთი მსოფლიოს ჩემპიონატს უნდა შეეწიროს. ვინ ემსხვერპლება მას, არგენტინა თუ ინგლისი?

არიან სხვანიც

განწირული კიდევ ერთ მერვედფინალში იქნება — ჰოლანდიასა და იუგოსლავიას შორის მანიასთან მატჩი თამამად შეიძლება ტურნირის ერთ-ერთ საუკეთესო შეხვედრად მივიჩნიოთ.

სლობოდან სანტრაჩმა, ისევე, როგორც მისმა ჰოლანდიელმა კოლეგა გუს ჰიდინკმა, საკმაოდ კარგი ნაკრებები შექმნეს. ერთიანი, გუნდური თამაშით რომ გამოირჩევიან ისეთი. გარდა ამისა, იუგოსლავიელებსაც და ჰოლანდიელებსაც საკმაოდ ჰყავთ მაღალი დონის შემსრულებლები, ისეთები, საკლუბო დონეზე ევროპაში და საერთოდ, მსოფლიოში ამინდს რომ ქმნიან.

ისევე, როგორც არგენტინა — ინგლისის დაპირისპირებამ, ჰოლანდია — იუგოსლავიის მატჩმაც ერთი გუნდი უნდა გაარკვიოს, ის, მეოთხედფინალში რომ იასპარეზებს. ფავორიტს ვერც აქ დაასახელებ — ორივე თანაბარძალოვანი გუნდია. ასე რომ, გამარჯვებულის დადგენა ძალიან გაჭირდება.

„თუ ჩვენი ძალის დამტკიცება გვსურს, ამაზე უკეთეს შანსს დღესდღეობით ვერ ვიპოვით. იმედია, პირველ სერიოზულ წინააღმდეგობას დავძლევთ“ — „ფუტბოლ ინტერნეშენალს“ (ჰოლანდიური ჟურნალია) მიაჩნია, რომ იუგოსლავია სწორედ ის გუნდია, რომელთან გამარჯვებაც მისი ნაკრების სიძლიერეში დაარწმუნებს ყველას.

ჰოლანდიელებმა მსოფლიოს ჩემპიონატამდე მთელ რიგ ამხანაგურ მატჩებში ბდღვირი ადინეს მეტოქეებს, პარაგვაისა და ნიგერიას სულაც 5:1 მოუგეს, თუმცა შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალება მათ აქამდე არ ჰქონიათ.

ვნახოთ, რა იქნება იუგოსლავიასთან. რაც შეეხება თავად იუგებს, თუ მათი მწვრთნელის სლობოდან სანტრაჩის საკმაოდ თამამ გაცხადებას ვენდობით, ჰოლანდიელებს მის ნაკრებთან შანსი არა აქვთ, რადგან მას თურმე „ნარინჯისფერთა“ ყველა წვრილმანი კარგად შეუსწავლია და მეტოქესთან ბრძოლის ხერხებიც დაუმუშავებია.

სანტრაჩი კი იძახის, ჩვენ გაიმარჯვებთო, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. წინ ხომ ძალიან დაძაბული საათნახევრიანი ბრძოლაა, რომლის გამარჯვებულის წინასწარმეტყველება, ისევე, როგორც უკლებლივ ყველა მერვედფინალში, ძალიან ძნელი იქნება.

რა ვიწროა ეს გზა

ინგლისი — არგენტინა და ჰოლანდია — იუგოსლავიის შეხვედრები იმიტომ გამოვყავით, რომ ეს გუნდები მსოფლიოს ჩემპიონობის კანდიდატებად ითვლებიან. ოთხივე ძალიან ძლიერი ნაკრებია, მაგრამ, სამწუხაროდ, მეორე ეტაპზე ორი მათგანი მეტოქეებს გზიდან უნდა ჩამოეცალოს.

მსოფლიოს ჩემპიონატისთვის განკუთვნილი ოქროს თასისკენ მიმავალი გზა თანდათან ვიწროვდება, ამიტომ, იგი ბევრ პრეტენდენტს, რაც უნდა ძლიერი იყოს ესა თუ ის გუნდი, უბრალოდ ვერ დაიტევს.

უძლიერესმა უნდა იმარჯვოს! სხვანაირად არ იქნება!



ბოლო თექვსმეტი წლის მანძილზე უმარადონოდ პირველად დარჩენილი არგენტინის ნაკრები კვლავაც მსოფლიოს ჩემპიონობის კანდიდატია

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი უჭმური და დაკავებული

ორი წლის წინ სსხვა დრო იყო, იააპ სტამი ევრო 96-ზე მიმავალ ნაკრებში ჰოლანდიელებმა მხოლოდ იმიტომ ჩართეს, რომ ფრანკ დე ბური არ იყო.

დღეს სხვა დროა, მაისიში სტამი მსოფლიოს უძვირესი მცველი გახდა.

ახლა, მსოფლიოს ჩემპიონატზე ის ყველა ღონეს ხმარობს, რათა ფასი გაამართლოს. ჯგუფური ეტაპის სამივე შეხვედრაში სტამი თვალსაჩინო ფიგურა გახლდათ, მაგრამ უძლიერესთა შორის უძლიერესთ ჯერ რომ არ დაპირისპირებია, ესეც ფაქტია.

სტამმა კარგად იცის, როდის უნდა გამოიჩინოს ნამდვილმა ვარსკვლავმა თავი. იგი ამბობს, რომ მთავარი ბრძოლები მეორე რაუნდიდან იწყება. ჰოლანდიის მეორე რაუნდი კი ორშაბათს, იუგოსლავიის წინააღმდეგ გაიმართება.

ო, ორშაბათს სტამს მართლა სერიოზული ბრძოლა ელის. იუგოსლავიელთა მთავარი თავდამსხმელი, მადრიდის „რეალის“ გოლგამტანი პრედრაგ მიატოვიჩი გამოჯანმრთელდა, მას მუხლის ტკივილმა საბოლოოდ მიანება თავი. მიატოვიჩის მოედნიდან გაქრობა უშუალოდ ააპის მოვალეობაა.

ახლა ოდნავ დავცაბოთ ფანტაზია და ჰოლანდიის ნაკრები მეოთხეფინალში გავიყვანოთ. იქ მას კიდევ უფრო დიდი მატჩი ელის, მისი მოწინააღმდეგე ან ინგლისი, ანაც არგენტინა იქნება. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ სტამს ან ალან შირერს ჩააბარებენ პერსონალურად, ან კიდევ გაბრიელ ბატისტუტას.

როგორი ჩასაბარებელია?

რა გაეწყობა, როცა მსოფლიოს უძვირესი მცველი ხარ...

ძვირი, ძვირი... მაინც რამდენი? რამდენი და 17 მილიონი დოლარი. ეს ის თანხაა, ინგლისურმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ სტამის ყოფილ გუნდს „ეინდჰოვენს“ რომ გადაუხადა.

გულშემატკივრებმა კარგად უწყიან სტამის ღირსებები. იგი ღონიერია, საჰაერო ბრძოლებში ძლიერი და ტანმაღალი კაცის კვალობაზე ძალიან მოქნილი.

და მაინც არიან ადამიანები, ასეთ კითხვას რომ სვამენ: ააპ ვინ?

პოპულარობით სტამი არც პატრიკ კლუივერტია და არც კლარენს ზეედორფი. მიზეზი ალბათ, იქ უნდა ვეძიოთ, რომ იგი არასდროს ყოფილა ამომავალი ვარსკვლავი. სტამი თანდათან აუმჯობესებდა თამაშს. გარეგნულადაც, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 25 წლისაა, ვეტერანს ჰგავს.

ბევრ კლუბს უნდოდა ააპ სტამის ყიდვა. ამ კლუბთა შორის იყვნენ იტალიური და ესპანური ლიგების გოლიათები, მაგრამ სტამმა მხოლოდ „მანჩესტერ იუნაიტედს“ უთხრა თანხმობა.

აი რატომ: „ინგლისური ფეხბურთი ყველაზე მეტად შემეფერება. მომწონს იქაური ატმოსფერო და ბევრი სხვა რამ“— ამბობს ჰოლანდიელი მცველი.

მისი პროინგლისური გემოვნების ჩამოყალიბებაში უთუოდ დიდი როლი ითამაშეს სტამის თანამემამულეებმა დენის ბერხკამპმა და მარკ ოვერმარსმა. ბერხკამპი და ოვერმარსი ერთი ხანია ლონდონის „არსენალში“ გადავიდნენ სათამაშოდ და ინგლისის ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს.

„ჰოლანდიაში ჩემპიონთა ლიგას უფრო მეტ პატივს სცემენ, ვიდრე ეროვნულ პირველობას. ინგლისში, როგორც ვატყობ, პირიქითაა“ — განმარტავს სტამი, რომელსაც ცხადია, იმის იმედიც აქვს, რომ მისი ახალი გუნდი, „მანჩესტერ იუნაიტედი“ აღრე თუ გვიან ჩემპიონთა თასსაც მოიპოვებს.

მექსიკელმა ერნანდესმა სტამს (№3) აჯობა და გოლი გაიტანა, წინ კი მიატოვიჩია

და მაინც, არსადაა იმის გარანტია, რომ „იუნაიტედის“ მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა სტამში გადახდილი დიდძალი ფული ქარს არ გაატანა. სიტყვა ვარსკვლავი ხომ სტამზე არ ითქმის.

სტამი იხტიბარს არ იტეხს. მას არად მიაჩნია ინგლისური ტაბლოიდების აჟიოტაჟი პრემიერლიგაში გადასული სხვა ვარსკვლავების გამო.

არც სკანდალური წერილების პერსონაჟად ივარგებს ჰოლანდიელი მცველი. ერთი-ორჯერ შეიძლება შევიდეს ღამის კლუბში, მაგრამ... მეუღლესთან ერთად.

„სამ სიტყვას იტყვი და მეორე დღეს გაზეთში მთელ გვერდს ნახავ. თუმცა, მართალი რომ გითხრათ, ეს ამბავი დიდად არ მაწუხებს. ჩემნაირ უჟმურ კაცზე ბევრს ვერაფერს დაწერენ“ — ამბობს ის.

სტამს „იუნაიტედში“ 9 ივლისს ელიან, არადა მას შეიძლება 12-მდე მსოფლიოს ჩემპიონატზე მოუწიოს ყოფნა.

„არდადეგები არ მექნება. თუ ჰოლანდიელები მსოფლიოს პირველობის ფინალში გავალთ, 12 ივლისსაც ვითამაშებ, 13-ში, ორშაბათს კი უკვე მანჩესტერში ვიქნები“ — სტამს მომავლის არ ეშინია.

კაპუნა კედია

სიკვდილი და არგენტინა

„უეცარი სიკვდილი“ მსოფლიოს ჩემპიონატს აქამდე არ დარევია. ისე, ზოგიერთნი მას „ოქროს გოლსაც“ უწოდებენ, თუმცა რაღა ზოგიერთნი თავად ფიფა ითხოვს დამატებით დროში გატანილ გოლს ოქროსი დაარქვითო, მაგრამ პრესას ეგ არ შეეშლება. კარგად იციან ჟურნალისტებმა, რომ ეგ უფრო მკვლელობაა, ვიდრე სხვა რადაც.

წესი წესია და თითზე კბენანიც გვიანი, არადა ამ ჩემპიონატის შესარჩევში არ იყო დანიელი ბრაიან ლაუდრუპის ჩაწოდებული ბურთი ქარმა ხორვატიის ნაკრების კარში რომ შეადგო? ეს ამბავი დამატებით დროში არ მომხდარა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს? რა, ქარი დამატებითში ვერ დაუბერავს? მიდი მერე და თქვი, „ოქროს გოლიაო“, ოქროსი კი არა, „სიკვდილის გოლია“.

მაშ ასე, ძირითადი დროის ფრედ დამთავრების შემთხვევაში ინიშნება ორი 15-წუთიანი ტაიმი. თუ ამ დროის განმავლობაში გოლი არ გავიდა, გუნდები პენალტებს დაარტყამენ, ხოლო თუ გავიდა (თუნდაც ქარმა გაიტანოს), ეგ არის და ეგ.

ეს „ოქროს სიკვდილის“ წესი ფიფამ პირველად იუნიორთა მსოფლიოს პირველობაზე 1993 წელს დააჭაშნიკა. შემდეგ ოლიმპიადაზე მიიტანა, მერე კი კონფედერაციათა თასზე.

მსოფლიოს ჩემპიონატზე (შესარჩევში), პირველი ოქროს მკვლელობა იაპონელმა მასაიუკი ოკადამ ჩაიდინა, მან 118-ე წუთზე ირანი მოკლა და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მიიღო.

გეხსომებათ, ევრო 96. გერმანიამ ჩეხეთს სულაც ფინალში გაუტანა მკვლელი გოლი. იგი ოლივერ ბორჰოფმა შეაგდო.

ახლა ისტორიას გადავხედოთ. ეგ რაღაც სიკვდილი თავიდანვე რომ მოეგონებინათ, 1970 წელს, მექსიკაში ფინალისტი იტალია კი არა, გერმანია იქნებოდა და კაცობრიობა ერთ-ერთ ულამაზეს მატჩს ვერ იხილავდა.

მაშინ, ნახევარფინალის ძირითად დროში იტალიამ და გერმანიამ 1:1 ითამაშეს. მერე, დამატებით დროში ჯერ გერმანელებმა ივარგეს. მაგრამ საბოლოოდ 3:4 წააგეს.

1982 წელსაც სხვანაირი ფინალი გაიმართებოდა: იტალია — საფრანგეთი და არა იტალია — გერმანია. მერე რაო, იტყვის ვიღაც. რადა, იმ შემთხვევაშიც დაიკარგებოდა ისტორიის ერთი უდიდეს მატჩთაგანი. იმან, რომ „ოქროს გოლი“ არ არსებობდა, კარლ-ჰაინც რუმენიგე ყველა დროისა და ყველა ქვეყნის გმირად აქცია. კაცი დაიკარგებოდა, ხასითი, პიროვნება, ვაჟკაცობა...

მაშინ ძირითადი 1:1-ის მერე, დამატებითში ჯერ ფრანგებმა გაიტანეს. მაგრამ საბოლოოდ მატჩი 3:3 დამთავრდა და ფინლისტის ვინაობა პენალტებით გაირკვა. იმ პენალტებშიც გამოჩნდა გერმანული ხასიათის სიძლიერე.

მაშ რას კლავს სიკვდილის გოლი?

კაპუნა კედია



ხავიერ კლემენტე

ხალხი ერთს ამბობს, ფეხბურთელები კი მეორეს

წლევანდელი ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე უიღბლო გუნდი — ესპანეთის ნაკრები ჯგუფური ტურნირის მატჩების გასრულების მეორე დღესვე შინ დაბრუნდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ფეხბურთელებს არც აეროპორტში დახვედრია ვინმე და არც პრესასა თუ ტელევიზიას შეუწუხებია დიდად თავი ნაკრების ესპანეთში დაბრუნების შესახებ სიუჟეტების კეთებით. მათ ამის არც განწყობა ჰქონდათ და არც სურვილი. ესპანეთი ხომ D ჯგუფის ერთ-ერთ ფავორიტად იყო შერაცხული და ერთგული გულშემატკივრები მთგან სულ მცირე, მერვედფინალში გასვლას მაინც ელოდნენ.

ისე უნდა აღინიშნოს, რომ ესპანეთის რადიოარხი „კადენა“ დაინტერესდა და მოსახლეობის სატელეფონო გამოკითხვა ჩაატარა. რესპონდენტებს ერთადერთ კითხვაზე უნდებოდათ პასუხის გაცემა — მსოფლიოს ჩემპიონატზე ესპანელთა წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ უნდა დარჩეს თუ არა გუნდის მთავარი მწვრთნელი ხავიერ კლემენტე დაკავებულ თანამდებობაზე. როგორც გამოკითხვამ აჩვენა, ესპანელი ქომაგების 90 პროცენტი თვლის, რომ მწვრთნელი უნდა დათხოვონ.

ესპანეთის ერთ-ერთი უმძლავრესი სპორტული გაზეთის „მარკას“ მიერ მოწყობილ გამოკითხვაშიც მსგავსი შედეგი დაფიქსირდა. მართალია, ამ გაზეთის მკითხველნი უფრო შემწყალებელნი აღმოჩნდნენ, მაგრამ კლემენტესათვის ამას არა გვეონია დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, რადგან მის წინააღმდეგ მკითხველთა 58,1 პროცენტმა გაილაშქრა.

თავად მწვრთნელი კი მშვიდად შეხვდა მის ირგვლივ ატეხილ აურზაურს და ჯენტლმენობით ყოველგვარი კომენტარების გაკეთებისგან თავს იკავებს.

— გულშემატკივართა კრიტიკული დამოკიდებულება სრულიად ბუნებრივად მიმაჩნია. დაველოდეთ, სანამ ეს აურზაური ჩაცხრება. ალბათ, შემდეგ უფრო მომეცემა ჩემი შეხედულებების წყნარად გამოთქმის საშუალება. მანამდე კი ჩუმად ვიჯნები და მოვლენების განვითარების თვალს მივადევნებ — განაცხადა კლემენტემ ერთ-ერთი ტელეარხისათვის მიცემულ ინტერვიუში.

ბოლო ორი დღის განმავლობაში ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის დიდმოხელე პირები კი აშკარად მწვრთნელის მხარეს იჭერენ. ისინი არანაირ ყურადღებას არ აქცევენ ზოგიერთი საინფორმაციო საშუალების მიერ მოწყობილი გამოკითხვის შედეგებს და განუწყვეტლივ აცხადებენ, რომ კლემენტეს არსად არ გაუშვებენ.

— ყველას მინდა განვუცხადო, რომ ხავიერ კლემენტე უდიდესი მწვრთნელია. იგი წლების განმავლობაში თვალისმომჭრელი წარმატებით მუშაობდა ესპანეთის ნაკრებში და მისი ხელმძღვანელობით ჩვენ არაერთი ტრიუმფალური გამარჯვების მომსწრე გავხდით. მართალია, წელს საფრანგეთში ნაკრებმა ისე ვერ ითამაშა, როგორც მისგან მოველოდით, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ წარუმატებლობა მთლიანად მთავარ მწვრთნელს დავაბრალოთ და თანამდებობიდან გავათავისუფლოთ — ასეთი გახლდათ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ანგელ მარია ვილარის აზრი.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მწვრთნელს საკუთარი ქვეშევრდომებიც გამოექომაგნენ და პრესისა და ტელევიზიის წინაამდეგ სასტიკად გაილაშქრეს.

— ჩვენ, ფეხბურთელები, უკვე რამდენიმე დღეა, ვისმენთ კლემენტეს კრიტიკას და გვინდა, განვაცხადოთ, რომ მავანთა საყვედურები ნაკრების ხელმძღვანელის მიმართ უსამართლოა. ეს ხალხი რატომღაც არ ითვალისწინებს იმ წარმატებებს, რომელსაც ხავიერ კლემენტეს წინამძღოლობით ესპანეთის ნაკრებმა მიაღწია. მათ არც მრავალთვიანი წაუგებელი სერიის გახსენება სურთ და არც ბევრი სხვა რამისა. კლემენტე უდიდესი მწვრთნელია და .მის გათავისუფლებას ჩვენ მხარს არ დავუჭერთ — ნაკრების ერთ-ერთი სათადარიგო გოლკიპერი სანტიაგო კანისარესის გამოსვლა სიფიცხით კი გამოირჩეოდა, მაგრამ ამ ფეხბურთელმა ყველას დუმტკიცა, რომ ნაკრების წევრები ერთსულოვანნი არიან და აზრის შეცვლას არ აპრებენ.

შეგახსენებთ, რომ კონტრაქტის მიხედვით ხავიერ კლემენტემ, თუკი რამე არ შეიცვალა, ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე კიდევ ორ წელი უნდა იმუშაოს.

ირაკლი ხმელიძე

იცით თუ ჯერ, რომ...

...მსოფლიოს ჩემპიონატზე H ჯგუფში მოთამაშე სამი დებიუტანტიდან სამივემ ინდივიდუალური რეკორდი დაამყარა. იამაიკის ნაკრებმა თავისი პირველი მატჩი მოიგო იაპონიასთან 2:1; ამომავალი მზის ქვეყნის გუნდმა ხორვატებთან შეხვედრაში პირველი გოლი გაიტანა, ხოლო ექსიუგოსლავიელებმა პირველად მარცხი განიცადეს არგენტინასთან 0:1.

* * *

...ტუნისის ნაკრებისთვის რუმინეთის კარში გატანილი გოლი იყო პირველი, რომელიც ამ ქვეყნის ფეხბურთელებს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გამართულ მატჩებში შეუგდიათ. ფრედ 1:1 დამთავრებულ შეხვედრაში მოპოვებული ქულა ამ აფრიკული გუნდისთვის ასევე პირველი გახლდათ საფრანგეთში. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ოცდათორმეტივე გუნდმა შეძლო სულ მცირე, ერთი გოლის გატანა.

* * *

...არგენტინის ნაკრებს 1930 წელს ურუგვაიში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ამ დიდ ტურნირზე პირველი სამი შეხვედრა არ მოუგია. წლეულს სამხრეთამერიკელებმა ეს უსიამოვნო ტრადიცია დაარღვიეს და ჯგუფური ტურნირის სამივე თამაში მოიგეს. იაპონიასთან 1:0, იამაიკასთან 5:0 და ხორვატებთან 1:0. ასევე საგულისხმოა, რომ 1930 წელს არგენტინამ ზედიზედ სამი მოგებული მატჩის შემდეგ მეოთხეშიც იმარჯვა, მაგრამ ბოლოს ეს ტრიუმფალური სვლა ვერ შეინარჩუნა და ფინალში ურუგვაისთან 2:4 წააგო.

* * *

...არგენტინის ნაკრებმა 1990 წელს იტალიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მერვედფინალიდან მოყოლებული ზედიზედ სამი შეხვედრა ჩაატარა ისე, რომ გოლი არ გაუშვია. სამხრეთამერიკელებმა 1:0 მოუგეს ბრაზილიას, ფრე 0:0 ითამაშეს იუგოსლავიელებთან და იტალიელებთან. წლეულს არგენტინამ ეს შედეგი გაიმეორა, თანაც, მსოფლისო ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირის სასტარტო მატჩებში.

* * *

...რუმინეთის ნაკრებმა, რომელმაც გუშინწინ ტუნისთან 1:1 ითამაშა, ექვსამდე გაზარდა მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე წაუგებელი მატჩების სერია. ეს გუნდი უკანასკნელად 1994 წელს ამერიკაში გამართულ პირველობაზე შვეიცარიასთან 1:4 დამარცხდა. იქიდან მოყოლებული კი რუმინელებს აგერ უკვე მეექვსე შეხვედრაა, არ წაუგიათ.

* * *

...რუმინეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გამართულ შეხვედრებში აფრიკულ გუნდს აქამდე მხოლოდ ერთხელ გადაჰყრია. ეს 1990 წელს იტალიაში მოხდა და მაშინ ევროპელებმა კამერუნელებთან 1:2 წააგეს. წლეულს საფრანგეთში კი რუმინეთის ნაკრები ტუნისელებს 1:1 ეთამაშა.

* * *

...ინგლისის ნაკრებისთვის გუშინწინ კოლუმბიასთან 2:0 მოგებული შეხვედრა საფრანგეთში მეორე გახლდათ, რომლებშიც ბრიტანელებს ამ ანგარიშით უმარჯვიათ. მანამდე მათ 2:0 ტუნისი დაამარცხეს. საგულისხმოა, რომ ამგვარ შედეგს ინგლისელებმა ბოლოს 1966 წელს გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მიაღწიეს. მაშინ ალბიონელები ამ ტურნირის მასპინძლები გახლდნენ, ორჯერ 2:0-ით მოგებას სხვაც ბევრი მიამატეს და მსოფლიოს ჩემპიონობაც დაიბევეს.

* * *

...კოლუმბიის ნაკრებს თავისი არსებობის ისტორიაში მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე სულ 13 მატჩი გაუმართავს და აქედან 8-ში დამარცხებულა. აღსანიშნავია, რომ კოლუმბიას მსოფლიოს ჩემპიონატზე სულ ოთხჯერ უასპარეზია და ოდენ სამი გამარჯვებისთვის მიუღწევია.

* * *

...ტუნისის ნაკრებისთვის რუმინელებთან 1:1 ნათამაშევი მატჩის შედეგად მოპოვებული ქულა გახლდათ პირველი მას შემდეგ, რაც 1978 წელს არგენტინაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მათ დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს დასავლეთ გერმანიის უძლიერეს ნაკრებს და ფრედ 0:0 ეთამაშნენ. ეს სენსაციია გახლდათ.

ესკობარი სიმშვიდისკენ მოუწოდებს

კოლუმბიის ნაკრებს პარასკევს მერვედფინალში გასვლის ბოლო შანსი ჰქონდა, მაგრამ მათმა მეტოქე ინგლისელებმა საუცხოოდ ითამაშეს და სამხრეთამერიკელებს ყოველგვარი იმედი გადაუწურეს. ამ მარცხის შემდეგ კოლუმბიელები იძულებული შეიქნენ მსოფლიოს ჩემპიონატიდან შინ ნაადრევად გაბრუნებულიყვნენ, სადაც მათ მეტად ფრთხილად ყოფნა მართებთ, რათა განაწყენებული გულშემატკივრების რისხვა თავიდან აიცილონ.

გახსოვთ, ალბათ, 1994 წელს ამერიკაში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის დროს კოლუმბიელმა მცველმა ანდრეს ესკობარმა მასპინძლებთან შეხვედრისას ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. ის მატჩი სამხრეთამერიკელებმა წააგეს, რის გამოც ჯგუფური ტურნირის გავლა ვერ მოახერხეს და ჩემპიონატიც დატოვეს. იმ წელს კოლუმბიელები ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდნენ და გულშემატკივრებმა მარცხი მეტად მტკივნეულად აღიქვეს. სამშობლოში დაბრუნებულ ესკობარს წარუმატებლობით გულდაწყვეტილი ქომაგები მოსვენებას არ აძლევდნენ და სიკვდილით ემუქრებოდნენ. საბრალოს ეს დანაპირები აუსრულეს კიდეც. მაშინ, როცა როცა ესკობარი საღამოს ერთ-ერთ კოლუმბიურ რესტორანში ვახშმობდა, მას შეიარაღებული პირი მიუახლოვდა და უმოწყალოდ ჩაცხრილა...

ეს სულისშემძვრელი ფაქტი კარგად ახსოვს მთელს საფეხბურთო მსოფლიოს და, რა თქმა უნდა, ამის შესახებ არც კოლუმბიაში დავიწყებიათ. ამიტომ ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ესკობარის ძმა პარასკევს ქვეყნის ტელევიზიით გამოვიდა და კოლუმბიელებს სიმშვიდისკენ მოუწოდა.

— ეჭვგარეშეა, რომ ჩვენმა ნაკრებმა მეტად უსუსურად იასპარეზა. ის კი არა, ფეხბურთელების თამაშმა ყველა აღგვაშფოთა, მაგრამ ყველას გთხოვთ, ოთხიწლისწინანდელი ამბავი გავიხსენოთ და მსგავსი ტრაგედიის განმეორება არ დავუშვათ. ყველაფრის მიუხედავად ბიჭებმა თავი დადეს და უკანასკნელ წუთებამდე ვაჟკაცურად იბრძოდნენ. რა გაეწყობა, თუ ამჯერად მეტოქეები ჩვენზე უკეთ მომზადებულნი აღმოჩნდნენ. ამისათვის მოთამაშეებს ფიზიკური თუ მორალური შეურაცხყოფა არ უნდა მივაყენოთ, რადგან ისინი ხომ თითოეული ჩვენგანის მსგავსად ჩვეულებრივი მოკვდავები არიან და არა საფეხბურთო მინდორზე მოქმედი მანქანები. საწყენია, რომ ამჯერად სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ, მაგრამ რას იზამ, ეს ხომ თამაშია, რომელშიც ხან ერთი გუნდი იგებს და ხან მეორე — განაცხადა ანდრეს ესკობარის ძმა სანტიაგო ესკობარ სალდარიაგამ.

ისე, უნდა აღინიშნოს, რომ კოლუმბიაში ნაკრების წლევანდელი მარცხი ოთხიწლისწინანდელზე არანაკლებ მტკივნეულად მიიღეს. მათი საყვარელი გუნდი ხომ ერთადერთია იმ ექვსი ამერიკის კონტინენტის წარმომადგენელთაგან, რომელმაც ჯგუფური ტურნირის დაძლევა და შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლების მოპოვება ვერ შეძლო. მაშინ, როცა კოლუმბიელები შინ გაემგზავრნენ და საფეხბურთო ზეიმს მხოლოდ ტელეეკრანებიდან თუ მიადევნებენ თვალს, ბრაზილიის, არგენტინის, პარაგვაის, ჩილესა და მექსიკის ნაკრებები კვლავინდებურად საფრანგეთში არიან და შემდგომი წარმატებების მიღწევის იმედიც არ დაკარგავთ.

— მართალია, ჩვენმა ნაკრებმა ამერიკის კონტინენტის სხვა გუნდებისგან განსხვავებით სუსტად იასპარეზა, მაგრამ ფეხბურთელები მაინც მადლობას იმსახურებენ. მათ გუნდის ხელმძღვანელობასთან ერთად უდიდესი სამუშაო გასწიეს, შესარჩევი ტურნირიც წარმატებით განვლეს და მთლიანობაში არც საფრანგეთში შეურაცხვენიათ თავი — ამბობს სანტიაგო ესკობარი, რომელსაც 27 წლის ანდრესის სიკვდილი მეტად მწარედ ახსოვს და აღარ სურს, მსგავსი რამ კოლუმბიაში კიდევ მოხდეს. ამის საბაბი კი ნამდვილად არსებობს. კოლუმბიის ნაკრების თავკაცმა ერნან დარიო გომესმა და რამდენიმე ფეხბურთელმა უკვე ინგლისთან წაგებული მატჩის მეორე დღეს მიიღეს ანონიმური წერილები, სადაც მათ უცნაურობები სიკვდილით ემუქრებიან...

ირაკლი ხმელიძე

სარბიელის არქივიდან

ესკობარის ბედი შესაძლოა სხვა კოლუმბიელებმაც გაიზიარონ

ბეკენბაუერი უკმაყოფილოა

„აქ საფრანგეთში ერთი გუნდი და ერთი თამაშიც არ მომეწონა“ — დაწერა გერმანულ გაზეთ „ბილდში“ მისმა მესვეტემ, ფეხბურთელობისას და მწვრთნელობისას მსოფლიოს ჩემპიონმა ფრანც ბეკენბაუერმა.

იგი დასძენს: „დიეგო მარადონამ მითხრა, რომ მისი აზრით, აქ ძალიან ბევრ ფეხბურთელს შეშის ფეხები აქვს. სრულიად ვიზიარებ ამ შეხედულებას. ბოლო კარგი თამაში, რაც მე ვნახე, ჩემპიონთა თასის ფინალი იყო.“

საფრანგეთში ბეკენბაუერი გერმანული ტელევიზიის კომენტატორად მუშაობს.

„მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე 32 გუნდის დაშვება ლამაზი იდეა იყო. ამით პატარა ქვეყნებს გზა გაეხსნათ დიდი ფეხბურთისკენ, მაგრამ ამას ნაღდ მსოფლიოს პირველობასთან რა აქვს საერთო? როგორ უნდა შედგეს კარგი თამაშები, როდესაც ბევრი პატარა გუნდი მხოლოდ დაცვაში დგას და ჩაშლის გარდა არაფერს ფიქრობს? ამიტომაც პირველი ეტაპის შემდეგ მონაწილეთა ობიექტური შეფასება ძალიან ძნელი საქმეა. სანამ დიდი ქვეყნები არ შეხვდებიან ერთმანეთს, მანამდე ვერ ვიტყვი, ვინ ამოწურა თავისი შესაძლებლობანი და ვინ ძალები დაგოზა. ნამდვილი ჩემპიონატი პლეი ოფებიდან იწყება. დამატებითი დრო, „ოქროს გოლი“ და პენალტები გამოაჩენენ ყველაფერს.“ — წერს კაიზერ ფრანცი.

რამირესი ორი მატჩით მოკვეთეს

მექსიკის ნაკრების ნახევარმცველ ხესუს რამირესს პარასკევს ფიფამ მკაცრი სასჯელი გამოუტანა. საქმე ისაა, რომ ჰოლანდიელების წინააღმდეგ გამართულ ჯგუფურ ტურნირის ბოლო შეხვედრაში ამ ფეხბურთელმა არბიტრს წითელი ბარათი „დასტყუა“. ამგვარ დანაშაულს კი ფიფა არავის პატიობს.

— ჩვენ არბიტრებს მკაცრი დირექტივა მივეცით, რომლის თანახმადაც მათ უხეშად მოთამაშე ფეხბურთელები წითელი ბარათით უნდა დასაჯონ. საგულისხმოა, რომ საფრანგეთში შენდობა არც სხვა სახის დამრღვევებს ეშნებათ. რამირესი ჰოლანდიელებთან მატჩში შეხვედრის მთავარ მსაჯს მეტად აქტიურად ეკამათებოდა, რის გამოც სამართლიანად გააძევეს მოედნიდან. ამ ფაქტზე საგანგებოდ ვიმსჯელეთ და ორთამაშიანი დისკვალიფიკაციით დავაჯარიმეთ — განაცხადა უძლიერესი საფეხბურთო ორგანიზაციის ერთ-ერთმა დიდმოხელემ.

ფიფას მიერ გამოტანილი განაჩენი იმის მაუწყებელია, რომ რამირესს მერვედფინალური მატჩის გამოტოვება მოუწევს, ხოლო თუ მისი თანაგუნდელები გერმანიის ნაკრების წინააღმდეგობას წარმატებით დაძლევენ და შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლებას მოიპოვებენ, იქაც მოკამათე ხესუსის გარეშე გაიჯვებიან. ფიფას ამ გადაწყვეტილებამ ყველაზე მეტად მექსიკის ნაკრების მთავარის მწვრთნელი მანუელ ლაპუენტე აღაშფოთა.

— კარგად მესმის, რომ მსაჯები ზემოდან მიღებულ მითითებებს მკაცრად უნდა დაექვემდებარონ და ამის საწინააღმდეგო პირადად მე არაფერი მაქვს, მაგრამ იმ მომენტში ჰოლანდია — მექსიკის მატჩის არბიტრს მეტი ყურადღების გამოჩენა მართებდა. რამირესი მეტოქის არაკორექტული მოქმედებით იყო გაღიზიანებული და მსაჯს სწორედ ამის თაობაზე მიუთითა, ამ უკანასკნელმა კი სიტუაცია სულ სხვაგვარად აღიქვა და ჩემი გუნდის ფეხბურთელს მინდორი დაატოვებინა. სამწუხაროა, რომ რამირესი დასანანი გაუგებრობის გამო გააძევეს, მაგრამ ამას ახლა ვეღარაფერს ვუშველით. ხესუსი მექსიკის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გახლავთ და ამიტომ გერმანელებთან შეხვედრაში მისი არყოფნა ჩვენთვის დიდი დანაკლისი იქნება. — განაცხადა მექსიკელმა მწვრთნელმა, რომელსაც ახლა იმაზე მოუწევს ტვინის ჭყლეტა, თუ რომელ ფეხბურთელს ანდოს მერვედფინალში თავისი წამყვანი ნახევარმცველის ადგილი.

ჩემი თმა ჩემი დროშის ფერია

ქაჩლებმა და ხოტორებმა რა ქნან?

...პარასკევს საღამოს მთელი საფეხბურთო მსოფლიო მორიგი შეტაკებების საცქერლად მოემზადა — G ჯგუფისა და საერთოდ, ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩებს მერვედფინალური შეხვედრების უკანასკნელი ორი წყვილის შემადგენლობა უნდა გაერკვია. მაინც, ვინ შეხვდება შემდეგ წრეში ერთმანეთს: არგენტინა — ინგლისი? თუ პასარელას გუნდი ხორვატებთან დათმობს და მეტოქედ რუმინეთის ნაკრებს აირჩევს? — კითხულობდნენ ქომაგები და თვალსასიერო შეხვედრების მოლოდინში ხელებს იფშვნიდნენ. მართალია, იმ საღამოს თამაშები უდავოდ კარგი სანახავი გამოდგა, მაგრამ გულშემატკივართა ყურადღება სულ სხვა რამემ მიიპყრო. რუმინეთის ნაკრების ყვითელი თავები! აი, რა იყო მთელი ამ ხნის განმავლობაში მათი ჟრიამულის საბაბი. მართლაც საოცარი სანახავი გახლდათ, როდესაც ტუნისის წინააღმდეგ გასახდელებიდან მოედანზე გამომავალი რუმინელი ფეხბურთელები და გუნდის ხელმძღვანელები ახალგამოჩეკილი წიწილებივით ერთნაირნი, ყვითლად შეღებილი თმებით გამოცხადდნენ სტადიონზე. ამაზე მეტი თვალსასიერო რა უნდა ყოფილიყო. გულშემატკივრებმაც ერთი ჟივილ-ხივილი ატეხეს. ზოგს სასტიკად არ მოეწონა რუმინელთა ასეთი საქციელი, ზოგი კი ამას არაფრად მიიჩნევდა და ამბობდა, თმებს რას უყურებთ, სჯობს, ამათი თამაშის ხილვით დატკბეთ და დააკვირდეთ, დღეს საბრალო აფრიკელებს როგორ გაანადგურებენო.

სპორტსმენების ასეთი უცნაურობა ჩვენთვის სიახლე ნამდვილად არ არის. გავიხსენოთ თუნდაც თავქარიანი ჩიკაგოელი კალათბურთელი დენის როდმანი, ანაც კანადელი ავტომრბოლი ჟაკ ვილნევი, გერმანელი ფეხბურთელი ტომას შტრუნცი ანდა ფრანგ ხელბურთელთა ნაკრები, რომლის წევრებიც რამდენიმე წლის წინ გამართულ მსოფლიოს პირველობაზე მეტად ორიგინალური თმის ვარცხნილობით წარდგნენ. თუმცა რაღა შორს მივდივართ, აგერ საფრანგეთში ჩილელი მარგასის გასაკვირი საქმე გავიხსენოთ. ამ დამთხვეულმა ბრაზილიელებთან მერვედფინალური მატჩის წინ თმები წითლად შეიღება. სპორტსმენები სპორტსმენებად, მაგრამ როცა პარასკევს რუმინეთის გუნდის ხელმძღვანელებიც ყვითელი თავებით გამოცხადდნენ თამაშზე, ეს უკვე მეტისმეტი იყო. ყველაზე სალაღობო კი რუმინელთა თავკაცის, გენერალ ანგელ იორდანესკუს საქციელი გახლდათ. იგი, ეტყობა, მოერიდა გადაპარსული თავის სახალხოდ გამოჩენას და მთელი შეხვედრის განმავლობაში სპორტული კეპი არ მოუშორებია. ახლა რუმინელთა ამგვარი „სვლის“ მიზეზს აღარ იკითხავთ? მოგეხსენებათ, ამ ქვეყნის ეროვნული დროშა ძირითადად ყვითელი ფერითაა გაწყობილი. ჰოდა, რუმინელთა გადაწყვეტილებაც სწორედ ამან განაპირობა, მას შემდეგ, რაც ჯგუფური ტურნირის პირველ ორ მატჩში დაგროვილი ქულების წყალობით მათ მერვედფინალში გასვლა გაინაღდეს ფეხბურთელებისა და მწვრთნელების აზრით, ეს მათ უფრო მეტ თავდაჯერებას შემატებს და მსოფლიოს ჩემპიონატზე მაღალი მიზნების მიღწევაშიც დაეხმარება.

რუმინელთა თვითრწმენა ტუნისელებთან მატჩის წინ იმდენად თვალშისაცემი გახლდათ, რომ კაცი იფიქრებდა, ამათ გამარჯვება უკვე ჯიბეში უდევთო. მაგრამ არც მთლად ასე ყოფილა საქმე. აფრიკელები, რომლებსაც პირველ ორ შეხვედრაში განცდილი მარცხის შემდეგ მერვედფინალში გასვლის ყოველგვარი შანსი გადაეწურათ, ისეთი მონდომებით ეკვეთნენ მეტოქეს, რომ მატჩის საწყის წუთებშივე რუმინელთა თავდაჯერება სადღაც გაქრა. აღარსად იყო ის მწყობრი რუმინული გუნდი, რომელშიც მართლაც ბრწყინვალე სტილში გაუსწორდა ინგლისსა და კოლუმბიას. ეტყობა, ტუნისელებს მეტოქის ყვითელი თმები არ მოეწონათ და ჩათვალეს, რომ რუმინელთათვის იმ საღამოს უფრო შესაფერისი სირცხვილისგან აწითლებული სახეები იქნებოდა. ჩვენ ვხუმრობთ და აფრიკელებმა კი მართლაც კინაღამ აისრულეს საწადელი. ყოველ შემთხვევაში, ჯგუფის ფავორიტი ისე ანერვიულეს, რომ საბრალო იორდანესკუ მთელი თამაშის მანძილზე ცდილობდა, თავისი ქვეშევრდომების უფერული თამაშით გამოწვეული დაბნეულობა როგორმე დაეშალა. ცნობისმოყვარე კამერები განუწყვეტლივ აჩვენებდნენ გაოგნებულ სახეს, რომელსაც კეტბურთის კეპიც ვერ ფარავდა...

ისე, ჩვენ თუ გვკითხავთ, რუმინეთის გაყოყოჩებული გუნდი ღირსი იყო, დიდგული ბრაზილიელებისა და განსაკუთრებით კი ნიგერიელების მსგავსად დასჯილიყო ამ ჩემპიონატზე. ამათ ხომ მართლაც უღირსი საქციელი ჩაიდინეს. გახსოვთ, ალბათ ბრაზილიამ და ნიგერიამ, აქაოდა შემდეგ წრეში თამაში გავინაღდეთო, ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩები შესაბამისად ნორვეგიისა და პარაგვაის ნაკრებებთან უბრძოლველად დათმეს. იქნებ მავანი გულშემატკივარი შემოგვედაოს — ამათ პირველი ორი შეხვედრის შემდეგ ექვს-ექვსი ქულა ჰქონდათ, ჯგუფში პირველ ადგილს ვერავინ შეეცილებოდა და ბოლო თამაშებში, თავის მოკვლას დასვენება და ძალების შემდგომი უნელესი ბრძოლებისთვის შემონახვა არ სჯობდაო? ერთი მხრივ, ძნელია ასეთი კაცი გაამტყუნო, მაგრამ ფეხბურთში ხომ დაუწერელი კანონებიც არსებობს, რომელთა თანახმადაც ნიგერიამ თუ არა, ბრაზილიამ ხომ მაინც ბოლომდე უნდა იბრძოლოს და ჩვეულ სტილში ჩატარებული შეხვედრებით გული გაუხაროს მილიარდობით (!) ფეხბურთის გულშემატკივარს. დიახ, მათ არა აქვთ ძალების დაზოგვის უფლება, რადგან საფრანგეთის ცხელ ბატალიებს მიჩერებულ ფანებს სწორედ მსოფლიოს საუკეთესო გუნდების თამაშის ცქერა თუ მიანიჭებს უდიდეს სიამოვნებას.

— გეთანხმებით, ჩემი გუნდი ტუნისელებთან გამართული მატჩის პირველ ტაიმში მეტად უსუსურად გამოიყურებოდა. ფეხბურთელები არაორგანიზებულად მოქმედებდნენ და მეტოქის ნახევარზე მწყობრად გადასვლას ვერაფრით ახერხებდნენ. ყველაფრის მიზეზი კი თავად. ვარ, რადგან ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი არ ვათამაშე — განაცხადა მატჩის შემდეგ ანგელ იორდანესკუმ.

ისე, უნდა აღინიშნოს, რომ ბრაზილიელებისა და ნიგერიელებისგან განსხვავებით რუმინელებს იმდენი ვაჟკაცობა ეყოთ, რომ გულზე ხელი არ დაეკრიფათ და შეხვედრა ფრედ მაინც დაემთავრებინათ. თუმცა, ალბათ, ყველა დაგვეთანხმება, რომ ორიგინალობა მინდორზე უფრო სჯობს. ფეხბურთელებიც ხომ ასე უფრო მოიგებენ თავგადაკლული ქომაგების გულს.

ირაკლი ხმელიძე

სარბიელის არქივიდან

რუმინელები ტუნისელებთან შეხვედრაში ყვითელი თავებით თუ გამოირჩეოდნენ

გიო ახვლედიანის

სამი სვეტი

თმა, როგორც ფეხბურთი ანუ ყმენობა მინდორზე

FRANCE 98

ეჰ, ფეხბურთი კი მიმდინარეობს, მაგრამ ბევრს ეს საქმე არც აინტერესებს და არც მოსწონს. მეტიც, ფეხბურთის გამასხრებაც კი დაუწყია. ეს, ალბათ, თავად ფეხბურთის ბრალია. თავი სასაცილო მდგომარეობაში არ უნდა ჩაიგდო.

მაგრამ ვინ ამასხრებს ამ ფეხბურთს? ის, ვისაც მისი არაფერი გაეგება.

„აიეტის“ მოყვარე ქართველობამ იცის, რომ ღამის ეთერის წმირი სტუმარია ერთი ამერიკელი ტელეწამყვანი, სახელად ჯეი ლენო. ლენოს მოუების არსი გამოჩენილი ადამიანის სტუდიაში მოწვევა და მათი გაღადავებაა. ვთქვათ, შონ პენის, ან ევანდერ ჰოლიფილდის, ან ვინმე ეგეთის. ეს ლენო მაღალ-მაღალი, ყბაჩა კაცია და მეტად კომიკური გარეგნობა აქვს. მთელს ქვეყანას იგრე კოხტად გაასწორებს ხოლმე მიწასთან, რომ თქვენი მოწონებული.

ახლა ფეხბურთსაც მიადგა.

სწორედ იმ დღეს იყო, რომ ლენომ საზოგადოებას ჰკითხა, აბა თუ იცით, სადღეისოდ რა არის სამი ყველაზე უფრო მოსაწყენი რამეო და თავადვე უპასუხა, პირველი ესო, მეორე ისო და მესამე კიდევ მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთშიო. ძალიან მოსაწყენია — სულ რომ არ უყურო და ამბები მოიკითხო, მაინც მთქნარებით მოკვდებიო. მიკვირს იმ ადამიანების, როლმ კითხულობენ იემენმა და ტუნისმა როგორ გაიბურთავეს ერთმანეთშიო.

ამით ლენოს იმის თქმა უნდოდა, რომ კაცი თუ იკითხავს, „ატლანტა ჰოქსმა“ და „სანანტონიო სფურზმა“ ერთმანეთში რა ქნესო, მოსაწყენი ამბავი არ არის. ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი კი მოსაწყენია.

მდაა, ფეხბურთი მოსაწყენია.

სწორედ გუშინწინ იყო: ინგლისკოლუმბიის მატჩის ტრანსლაციის დროს „იესპიენის“ არსი ამერიკის მეიჯორ ლიგის ფეხბურთს გადმოსცემდა. ერთი გუნდი „დი-სი იუნაიტედი“ იყო, მეორე „კოლუმბიაო“, თუ „კოლორადოო“. ტრიბუნები ცარიელი იყო, ანგარიში 3:0, თამაში მოსაწყენი და საერთოდ, ბეისბოლის (ჩვენში კეტბურთი დაარქვეს) პატრონს, ფეხბურთის მოსაწყენობაზე სიტყვა უნდა დასცდეს?

ამერიკელებს ყოვლად ჯიგარი ფეხბურთელები ჰყავთ, მაგრამ მათი თამაში პრიმიტიულია. კარგა ხანია ასე პრიმიტიულად არ თამაშობს მაროკო, ეგვიპტე, ტუნისი და სხვა მაშრიყმაღრებელები. ფეხბურთი უბრალო თამაშია, მაგრამ არა პრიმიტიული. თანაც, ფეხბურთის არსი იმგვარია, რომ მისი შოუდ გადაქცევა ძნელად ხერხდება. ამერიკული სოკერის მამები ბევრს ცდილობენ ამის გამო. პენალტი ბულიტადაც კი გადაკეთეს, მაგრამ არაფერი გამოსდით. ფეხბურთში არ არის ოთხი მეოთხედი, ან სამი პერიოდი. არ არის სუფთა დრო. არის ერთი შესვენება. ფეხბურთი ძალიან ფარჩაკი უნდა იყოს, რომ კაცს მთქნარება დააწყებინოს. ამიტომ ფეხბურთს უჭირს შოუდ გადაქცევა, მასში ერთადერთი და დასამახსოვრებელი ის არის, რაც მოედანზე ხდება.

თუმცა, ამ მხრივაც შეინიშნება წინსვლა.

ბევრ ფეხბურთელს გადაუწყვეტია, რომ თამაშს ოდნავ გასართობი, სახალისო იერი მიანიჭოს და ამის გამო ბევრ უცნაურობასაც სჩადის. ფეხბურთელის სამოსი კი ისეთი რამ არის, რომ ამის საშუალებას დიდად არ იძლევა. თუმცა აქაც გამოინახა გართობის საშუალება. ფაბრიციო რავანელიმ რომ ზეიმის აღნიშვნა თავზე მაისურის წამოფარებით დაიწყო, მაგანმა ბიზნესმენებმა მოიფიქრეს, სათამაშო მაისურს შიგნით ფაბრიციოს უმკლავო მაისური ჩავაცვათ და ზედ რაიმეს რეკლამა განვათავსოთო. რავანელის ილეთი კი იმგვარად გავრცელდა მსოფლიოში, რომ რეკლამას ვინღა დაგიდევს და, შიდა მაისურზე ლოზუნგებიც გამოჩნდა. ვთქვათ "ALLEZ MOROCCO", და ასე შემდეგ. გასულ შემოდგომაზე იან რაიტმა „არსენალის“ შემადგენლობაში გატანილი გოლების რაოდენობაც კი წაიწერა გულზე. ასე რომ, ერთგვარი სიახლე აქაც შეიქმნა.

საერთოდ კი, უნდა ითქვას, რომ ფეხბურთელები საკმაოდ მკაცრ პირობებში მოქმედებენ. მაისურის ამოჩაჩვა ეკრძალებათ და გეტრების ჩაჩაჩვაზე ხომ საერთოდაც აფრთხილებენ. ასე რომ, გამორჩევის საშუალება მეტად შეზღუდული აქვთ. მათ კალათბურთელთა დარად უსახელოო სამოსი არ აცვიათ, რომ თავიანთი სვირინგები დაანახონ ხალხს. არ[illegible]ლათბურთელებივით გოლიათები ა[illegible]ან, რომ ბიცეპსებით ვინმე გაკვირვონ და ერთადერთი, რაც შეუძლიათ, ის არის, რომ თავ-პირს დამართონ რამე, ან თმა გადაიხოტრონ, ან კიდევ დაიწნან (რაც გულიტმა შემოიღო ბობ მარლისგან), ან ყური გაიხვრიტონ, ან კიდევ ცხვირი.

თუმცა, ყველაზე ეფექტური მაინც თმის ღებვაა. იმ ოხერმა დენის როდმანმა იმდენფრად და იმდენჯერ შეიღება თმა, რომ მსოფლიოს მაგ ფეხბურთელებს სხვაც არაფერი დარჩენოდათ. იბრაჰიმ ბა ხომ თავისი ქერა კულულებით გამოირჩა. მაგრამ ბა ჯერ კიდევ მამამის იბრაჰიმს (ზუსტად ასე ჰქვია) ეხმარებოდა სუპერმარკეტში, როცა გაზა თმას

ნილტონ სანტოსი და ფერენც პუშკაში თმას იღებავდნენ. მათ უამისოდაც კარგად ცნობდა ხალხი

იღებავდა შავად, ან ქერად. გაზას ამბავი მოგეხსენებათ. ბევრი არაფერი მოეკითხება ამ საქმეში. არც ადოლფო ვალენსიას, რომელმაც შინდისფერი საღებავი გადაიტარა თავზე, არც ნაკატას, რომელსაც ნაღდად არ უხდება ულალი ფერი. ამ საქმეში პიონერი რომ კარლოს ვალდერამაა, ბევრი ფიცომტკიცი არ სჭირდება. ვალდერამას ოქროს ბუჩქი სწორედ რომ შოუს ამბავია.

და გუშინ რომ ბობანის კეფაზე წითელი „ათიანი“ გამოჩნდა? კარგი იყო, კაცს თავისი ამბავი აქვს.

მისმინეთ:

მე რომ რუმინელი ვიყო, თმას ჩალისფრად არ შევიღებავდი. ბრაზილიელებს ეგებ მოხდენოდათ კიდეც ეს ფერი. მაგრამ მათ უმრავლესობას თავი აქვს გადაპარსული. თითქოს ნიგერიელებსაც არ აწყენდათ ერთი-ორი ფერი. ფრანგებსაც — ამათ ყველაფერი უხდებათ. თვით ინძაგის რომ მოერგო ჟღალი პარიკი, სავსებით ასატანი იქნებოდა, მაგრამ ჰაჯი და ლაკატუში? ტელევიზორში რუმინელები ხომ ისედაც ერთმანეთს გვანან და ახლა კიდევ ქერა თმა. ხომ გეუბნებით? ესთეტიკურად ეს ძალიან მძიმე აღსაქმელი რამ იყო.

რუმინელებს, ალბათ, იმის თქმა თუ უნდოდათ, რომ ძალიან გახარებულნი არიან ინგლისელთა ძლევით. ანდა სურდათ ამ ერთიანი გადაღებვით ტუნისელები დაებნიათ, აბა გამოიცანით, რომელი რომელი ვართო. ყველაზე სარწმუნო კი ის არის, რომ რუმინელებს მოუნდათ ნორვეგიელებს და დანიელებს დამსგავსებოდნენ. ჯიკა პოპესკუ — ეს დროული კაცი. ნორვეგიელები და დანიელები დიახაც ქერანი არიან. მაგრამ განა ვინმეს ერთმანეთში ერევა ძმები ლაუდრუპები? ან თუნდაც ძმები ფლოები და მათი ბიძაშვილი ასევე ფლო?

რუმინელები კი ერთ თარგზე მოჭრილ ჯეელებს ჰგავდნენ. ასე რომ, მოუ არ გამოვიდა მხოლოდ იმიტომ, რომ ის რუმინეთის ნაკრებმა შემოგვთავაზა.

თუმცა, არის კიდევ ერთი ვერსია, რომ რუმინელთა ყვითელი ქოჩორი მათ წითელ-ყვითელ ფორმას მოუხდებოდა. ამგვარ გემოვნებას ჩვენში ერთი სიტყვით ახსნიან ხოლმე. ამ სიტყვის ხსენება ახლა საჭირო არ არის. თუმცა, აქ ისიც უნდა ითქვას, რომ მეტად საეჭვო იერი ჰქონდა ანგელ იორდანესკუსაც. მას თავზე კეპი ჩამოეფხატა და ცოცხალი თავით არ გვიჩვენებდა თავის შეთხელებულ ქოჩორს. ეგებ გენერალიც შეღებილი იყო? თუ ასეა, სწორი უქნიათ, რომ გენერლობა ჩამოურთმევიათ. აბა, შეღებილი გენერალი ვის გაუგია. კი ბატონო, ბურების ომის გმირ გენერალ კიჩენერს საერთოდაც მამათმავლობა დაუმტკიცეს, მაგრამ ეს მისი სიკვდილიდან 70 წლის შემდეგ მოხდა.

გენერალი კი გენერალი უნდა იყოს, ყეენი ხომ არა?

რუმინელებმა ყეენობა კი გამართეს მინდორზე, მაგრამ ყეენობა ყეენობაა და ფეხბურთი ფეხბურთი.

ეგებ ფსიქიკური შეტევის ამბავში გაყვითლდნენ?

ან სულაც ეგებ გამოვიდა ვიორელ მოლდოვანი და დაიგინა, ვინც არ შეიღებოს, იმის ასე და ისეო.

რა, არ მოხდებოდა?

ჩვენი ბიჭები არ არიან ეს რუმინელები?

მე კი მიხარია, რომ როცა საქართველოს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე გავა, არც ერთი ფეხბურთელი არ შეიღებავს თმას შინდისფრად. რა თქმა უდა, იმიტომ არა, რომ შერცხვებათ. არამედ იმიტომ, რომ არ მოუხდებათ. არის ხალხი, ვისაც უხდება შეღებილი თმა და არის ხალხი, ვისაც არ უხდება. ჩვენ ის ხალხი ვართ, რომ არ უხდება. სამაგიეროდ, ჩვენ გვიხდება ხიჯალი, დენის როდმანმა და რიგობერტ სონგმა კი არ იციან, რა არის ხიჯალი.

ჯეი ლენო მოუცლელი კაცი კია, მაგრამ რუმინელები რომ ენახა, აღარ იტყოდა, ეს რა მოსაწყენი რამ ყოფილა ფეხბურთიო. ჯეი ლენოს ეყოფოდა სალაპარაკოდ.

მგონი, ასეა.

და ვინ ბასტენი რატომ არ იღებავდა თმას?

არ ეცალა, ალბათ. ძალიან კარგად თამაშობდა საიმისოდ, რომ ქოჩორის ფერით გეძებნა მინდორზე.

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

FRANCE 98

მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში თბილისში, კინოთეატრ რუსთაველის მეოთხე სართულზე, კროკოს კლუბში შეგეძლებათ თამაშების პირდაპირი რეპორტაჟების ნახვა და ფსონების დადება.

კროკო ფეხბურთის ყველაზე აზარტულ მოყვარულებს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და რუსთავში მოემსახურება.

ფსონების მიმღები „კროკოს“ ახალი ბიუროები გაიხსნა თბილისის №2, №63 და №67 ფოსტის განყოფილებების შენობებში

№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე

№63 ვარკეთილი. I მიკრორაიონი, XV კორპუსი

№67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი

მერვედფინალები

28 ივნისი

საფრანგეთი — პარაგვაი	(1,05-7,5)	1,15	5,3	12,0
ნიგერია — დანია	(1,4-2,3)	1,8	3,0	3,8

29 ივნისი

ჰოლანდია — იუგოსლავია	(1,55-1,9)	2,2	2,9	3,0
გერმანია — მექსიკა	(1,05-7,5)	1,15	5,3	12,0

30 ივნისი

არგენტინა — ინგლისი	(1,7-1,7)	2,3	2,9	2,7
რუმინეთი — ხორვატია	(1,7-1,7)	2,5	2,9	2,5

პირველი ტაიმი/სამოღოო შედეგის გამოცნობაზე და სხვა ჯოეფიციენტებს თსონემის შეცანის ადგილზე გაეცნობით

ფსონები მიიღება ყოველდღე 13-დან 16 საათამდე.

თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან;

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში;

ბათუმში — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

რუსთავში — კინოთეატრი „რუსთაველი“; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

დღეს გუნდი მგლების ხროვას უნდა ჰგავდეს



გუცაევი მსოფლიოს უყურებს და ევროპაზე ფიქრობს

მესამე კვირაა, ასეა. დაახლოებით ერთი ამდენი ასევე გაგრძელდება, მსოფლიოში ხომ მისი უდიდებულესობა — ფეხბურთი სტუმრობს. სადაც უნდა წახვიდე, ვისაც არ უნდა ეწვიო, ქუჩაში თუ ტროლეიბუსში, იცოცხლეთ, ქართველებს სალაპარაკო თემა არ გამოელევათ, მაგრამ ახლა ყველას ერთი აქვს საფირალი, ტელევიზორს მისხდომიან და გაუთავებელად კამათობენ, პროგნოზებს აკეთებენ... თითქმის ყველა თავისას ამტკიცებს, ზოგს ვისიმე სიმპათია აქვს, ზოგს — პირიქით. ქომაგობენ, ლანძღავენ. წარმომიდგენია, საფრანგეთის მინდვრებზე ქართველებიც რომ თამაშობდნენ, მაშინ აქ, ჩვენთან, რა მოხდება. ჯერჯერობით ამის საშუალება არ მოგვცემია. ალბათ, 2000-ის ამ დროს ჩვენც მსგავს ფერხულში ჩავებმებით. მანამდე რაც არის, იმას დავყაბულდეთ, ყველაფერს ისევ ჩვენეული კომენტარები დავურთოთ.

ახლა უკვე დროა, ვთქვათ — გაგანია მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს. გასავარდნები გავარდნენ, ფავორიტები ფავორიტებად რჩებიან. იმის დროც დადგა, გასული საფრანგეთული სამკვირეული საქართველოს ეროვნული გუნდის მწვრთნელს — ვლადიმერ გუცაევს შევაფასებინოთ. ხომ ფაქტია, რომ მისი კომენტარი ერთობ საინტერესოა, მეტად ფასობს. ჰოდა, წაიკითხეთ ეს ინვიტრვიუმით უმეტეს, როცა საქმე ჩვენს, უკვე სახლში აბარგებულ მომავალ მეტოქეს, ნორვეგიელთა ნაკრებს ეხება.

— ყოველთვის ვამბობდი, ახლაც გავიმეორებ, ნორვეგია ძალიან ძლიერი გუნდია — გვითხრა მწვრთნელმა — მართალია, პირველი ორი მატჩი არცთუ კარგად ითამაშეს და მავანნი თავიანთ შესაძლებლობებში დაიეჭვეს, მაგრამ ბრაზილიელებთან ყველას დაუმტკიცეს, როგორი ფეხბურთი იციან. მაროკოსთან და შოტლანდიასთან ბურთაობისას ისინი, ეტყობა, სათანადო ფორმაში არ იყვნენ, ალბათ, ბრწყინვალედ ჩატარებული ამხანაგური თამაშების შემდეგ ენერგია სწრაფად ვერ აღიდგინეს. აბსოლუტურად ყველა გუნდისთვის ნორვეგია სერიოზული ძალაა. ეგილ ოლსენი ჭკვიანი კაცია, კარგად ესმის ფეხბურთი, ბიჭებიც ისეთი შეარჩია, რომლებიც ბოლომდე აკმაყოფილებენ მის მოთხოვნებს. თანამედროვე ფეხბურთს თამაშობენ. ვინმემ არ თქვას, ტექნიკასთან მწყრალად არიანო. ნურას უკაცრავად, რატომღაც ვერ შევნიშნე, რომ ნორვეგიელებს ბურთის გაჩერება, პასის მიცემა, კაცის მოტყუება უჭირდეთ. მათ იციან როდის რა არის საჭირო. ხანდახან ტექნიკურად თამაშობენ, ხშირად კი ძალისმიერ ფეხბურთს ამჯობინებენ. კი, შეიძლება ბარხლელთა დარი ტექნიკური მოთამაშეები არ ჰყავდათ, იქნებ რონალდოს, დენილსონის, რობერტო კარლოსის მსგავს ფოკუსებს მინდორზე ვერ აკეთებენ, მაგრამ თანამედროვე ფეხბურთისთვის ყველაფერი იციან. ტორე ანდრე ფლომ რომ ბრაზილიას ანგარიში გაუთანაბრა, განა ეს ტექნიკის დემონსტრირება არ იყო? დრიბლინგით საჯარიმოში შეიჭრა და მახვილი კუთხიდან მოჭრილი დარტყმით გაუტანა ტაფარელს. მსგავსს ბევრი ევროპელი, თუნდაც სამხრეთამერიკელი გააკეთებს? ნურც იმას იტყვით, ბრაზილიას მოსაგებად არანაირი სტიმული არ ჰქონდა, წაგება-მოგებას მათთვის ერთი იყო. ძალიანაც უნდოდათ ნორვეგიელებთან რევანშის აღება, მაგრამ მეტოქემ საშუალება არ მისცა. ოლსენმა ბიჭები სწორად დაარიგა, ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინა, ფეხბურთელებმაც მოინდომეს, იმ თამაშისთვის ძალთა სრული კონცენტრაცია მოახდინეს და მოუგეს, თანაც უკვე მეორედ. გუშინ კი უბრალოდ, მრისხანე მეტოქე შეხვდათ და მიუხედავად ამისა, საკმაოდ ანერვიულეს მალდინის გუნდი. გაიხსენეთ, იტალიელებთანაც რამდენი მომენტი გააკუდეს. პალუკას რომ არ ეყოჩაღა, ღმერთმა იცის, ეგებ ნორვეგიასაც მოგო. ფაქტობრივად, მთელი მეორე ტაიმი ხომ მათი უპირატესობით მიმდინარეობდა. შეიძლება იტალიელებმა ინიციატივა შეგნებულად დათმეს, მაგრამ, მაინც მათი დამსახურებაა თამაში რომ შეტრიალდა.

— მართლაც კარგი გუნდია, მაგრამ რაიმე ნაკლსაც შეამჩნევდით.

— უნაკლო აბა, რომელია. როგორც შევამჩნიე, სწრაფ კონტრშეტევაზე შეიძლება მათი დაჭერა. ისევე როგორც იტალიელებმა გააკეთეს. თავდასხმიდან უკან დაბრუნებას ხშირად ვერ ასწრებენ. შეიძლება ბურთის გაგორების ტაქტიკაც გამოიყენო, ბურთი დაუჭირო, ბრძოლაში არ დაუთმო, ტემპი შეგნებულად დაუგდო. გაარნია, სად თამაშობს, შინ თუ სტუმრად. გარდა ამისა, ფლანგების ამოკეტვაა საიჭრო, მაქსიმალურად უნდა მოუსპო ჩაწოდებების საშუალება, თორემ გუნარ ჰალე ძალინ კარგად ერთვება შეტევებში და ბევრი ხიფათის შექმნა შეუძლია. მოკლედ, ხარვეზები აქვთ. მთავარი ამის ჩვენთვის სასარგებლოდ გამოყენებაა. მათი ყველა თამაში ჩაწერილი გვაქვს. ჩემპიონატის მერე ყველაფერს გავანალიზებთ და შესაბამის ტაქტიკურ ვარიანტს მოვუძებნით.

— ნორვეგიელ ფეხბურთელთაგან ვინ მოგეწონათ?

— გროდასია ყოველმხრივ დახვეწილი მეკარე, თუმცა გუშინდელი ბურთი მცველებთან ერთად მის სინდისზეაცაა. იგი თანაბრად თამაშობს ხაზზე და გამოსვლებზეც. ნახევარდაცვაში კეტილ რეკდალს გამოვარჩევ, ტორე ანდრე ფლოზე ზემოთაც გითხარით. მის გარდა ვიდარ რისეტი კარგი, მოძრავი ბიჭია და ჰავარდ ფლოც გონიერი ფეხბურთელი ჩანს. სოლსკიაერზე ცოტა წამოდგენა წამიხდა, მაგრამ, ალბათ, ფორმაში არ არის, მახსოვს მის „მანჩესტერში“ ნთამაშეი და ამტომ ვამბობ. ისე კი ძალიან დაბალანსებული, შეკრული გუნდია, ყველამ თავისი საქმე იცის.

— კარგით, ნორვეგიაზე მოვრჩეთ. ახლა რუმინეთზე გკითხავთ. მათი მწვრთნელი ანგელ იორდანესკუ ხომ მსოფლიოს ჩემპიონატის მერე საბერძნეთის ნაკრებს ჩაიბარებს.

— ახლანდელი რუმინეთის ნაკრები ფაქტობრივად რვა წელია, იორდანესკუს ხელმძღვანელობით თამაშობს. შემადგენლობა პრაქტიკულად არ შეცვლილა. ვინც 1990 წელს იყვნენ, ახლაც თითქმის იგივე ხალხია. ერთი ილიეა დამატებული და მეორე მოლდოვანი, თუმცა ესენიც არ არიან გამოუცდელნი. იორდანესკუს რამდენიმე წელი ილიეც და მოლდოვანიც სათადარიგოებად ჰყავდა. ყოველივე იმად ვთქვი, რომ იორდანესკუს თავისი საქმე უკვე გაკეთებული აქვს. დარწმუნებული ვარ, თამაშის წინ ის არც ერთ ფეხბურთელს არ უხსნის, მინდორზე რა აკეთოს. ბიჭებმა იციან, მწვრთნელი რას მოითხოვს და იმას ასრულებენ. ძალიან სტაბილური შემადგენლობაა. მწვრთნელმა მათ უკვე ჩაუნერგა თავისი სათამაშო სქემა — სად, ვინ, როგორ უნდა დააზღვიოს, როგორ შეუტიონ ფეხბურთელებმა უთქმელად იციან. იორდანესკუ ადრე სტაჟირებაზე გერმანიაში იყო, სამი თვე ისწავლა, მერე ნაკრები ჩააბარეს და იქ მიღებულ ცოდნას უკვე რვა წელია, რუმინეთს ახმარს. დიდი სპეციალისტია და ნორმალური, თანამედროვე ფეხბურთის მოთამაშე გუნდიც ჩამოაყალიბა. ამასვე გააკეთებს საბერძნეთში, ოღონდ საკითხავია, დრო თუ ეყოფა ჩვენთან შეხვედრამდე, თორემ, უეჭველია, გაისად ბერძნები ძლიერ მოღონიერდებიან. ჩემპიონატის მერე კი თამაშის მნიშვნელოვნად შეცვლა ცოტა გაუჭირდებათ.

— მთლიანად ჩემპიონატზე რას იტყვით?

— ისაა ცუდი, რომ მონაწილე გუნდების რაოდენობა გაზარდეს, მაგრამ გამართლებას ვხედავ, ღღევანდელი ფეხბურთი ხომ კომერციისკენ გადიხარა. ნახეთ, ტელევიზია რა დღეშია, რამდენი რეკლამაა. ყველა თამაშზე ტრიბუნები სავსეა, ძალიან ბევრი ფული შეუვიდა ფიფას. ყოველივე კი წმინდა საფეხბურთო მხრივ არასასიამოვნოა. საფრანგეთში ბევრი ისეთი გუნდი თამაშობს, იქ ყოფნას რომ არ იმსახურებს. აქედან გამომდინარე, არაფრისმთქმელი მატჩებიც მრავლადაა, ისეთი, რომლის დროსაც კაცი ანგარიშის გარდა ვერაფერს გაიგებს.

— რაიმე ახალი თუ შენიშნეთ?

— პრაქტიკულად არაფერი. რამდენიმე გუნდი დღეს რომ საფრანგეთში თამაშობს, ისეთ დაკვით ხაზს იტალიის ლიგაში „იუვენტუსი“, „მილანი“ და სამი-ოთხი კლუბი სამი წლის წინ იყენებდა. ოთხ სწორხაზოვან მცველთა განლაგებაზე ვამბობ. ამას თუ ჩავთვლით სიახლედ, თორემ სხვა მნიშვნელოვანი არაფერია. ასეთი სქემა 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე გამოიყენა იტალიამ და არიგო საკიმ. მერე „იუვემ“ მიბაძა, მოგვიანებით კაპელომ. ახლა საფრანგეთშიც იგივეა. ამას წინათ ჩვენც გამოვიყენეთ ასეთი განლაგება რუსებთან მატჩისას, მაგრამ შევატყვე, რომ ბიჭები ვერ შეეგუენ, ცოტა გაუჭირდათ. ასე თამაშისას ნახევარმცველები მაქსიმალურად მჭიდროდ უნდა იყვნენ დაკავშირებულნი მცველებთან და არა ისე, როგორც კოლუმბიელებს ჰქონდათ ინგლისელებთან მატჩისას — მცველებს თავდამსხმელებამდე 70 მეტრი რომ აშორებდათ. გუნდი მგლის ხროვას უნდა ჰგავდეს. სხვანაირად არ გამოვა, ვერ მოიგებ. თანამედროვე ფეხბურთი ამას მოითხოვს, ჩვენ კი — ჩვენი ფეხბურთელებისაგან. ვინც ამას არ გააკეთებს, ნაკრებს ვერ გაეკარება.

— ჩვენთან ნათამაშევი შესარჩევი მატჩების შემდეგ ინგლისისა და იტალიის ახლანდელ თამაშებში განსხვავება თუ არის?

— ინგლისმა ძალიან შეცვალა თავისი თამაში. ახლა ვხვდები, ჰოდლმა გაზა საფრანგეთში რატომ არ წაიყვანა. საქმე ალბათ ისაა, რომ გესქოინს დაცვაში თამაში არ ეხერხება, მწვრთნელისთვის კი ეს მიუღებელი იყო. ახლა ისინი ისეთი ნახევარმცველებით თამაშობენ, შეტევასთან ერთად თავდაცვაც რომ ეხერხებათ. ევროპის ჩემპიონატზეც იგივე გააკეთა საკიმ, რომელმაც ბაჯო დატოვა იტალიაში. ახლა რომ ინგლისს გაზა ჰყავდეს, ან მაშინ იტალიას ბაჯო ჰყოლოდა, მათი თამაში აირეოდა. აი, ამ განსხვავებას ვხედავ. ინგლისიც და იტალიაც უფრო დაცვის ძლიერებას აქცევენ ყურადღებას, თუმცა, რა თქმა უნდა, თავდასხმასაც არ ივიწყებენ. ავსტრიელებთან მატჩში კი მალდინმ საერთოდ მცველი პესტო ათამაშა ნახევარდაცვაში.

— ფავორიტად ვინ მიგაჩნიათ?

— ახლა ამის თქმა ძნელია. კონკრეტულ თამაშს გააჩნია, საამისოდ როგორ მოემზადები. წინასწარ კი ვერავინ განსაზღვრავს ჩემპიონის ვინაობას. შეიძლება, გუნდი მთელი თამაში უტევდეს, მეტოქემ კი ბურთი წამოიღოს და ერთი, კინკილა გოლით დაგამარცხოს. ისე, კარგი იქნება, ბრაზილია ან იტალია თუ გაიმარჯვებენ. მათ თავიანთი სტილი აქვთ და ვერავინ იტყვის, შემთხვევით მოიგესო.

ნუ დავივიწყებთ, რომ საფრანგეთი მასპინძელია, ხოლო ჰოლანდიამ დიდი პროგრესი განიცადა, ჯგუფური თამაშები იოლად მოიგეს. მათ გარდა კი ინგლისს გამოვყოფ, განსაკუთრებით კოლუმბიასთან გამარჯვების შემდეგ.

— გერმანია არ გიხსენებიათ. ამბობენ, მოხუცები არიან და შანსი ნაკლებად აქვთო. ეთანხმებით ამ აზრს?

— როცა გერმანიაზეა ლაპარაკი, ამ ერის ფსიქოლოგიაც გასათვალისწინებელია. რას ჰქვია მოხუცები. არა, თქმა არ უნდა, ასეთი აზრისგან შორს ვარ. მათ იუბილეებისათან დაამტკიცეს, რისი მაქნისებიც არიან. ერთხელ გერმანელთა მცველმა იურგენ კოლერმა თქვა, როცა მეტოქეს თავი გამარჯვებული ჰგონია, ჩვენ მაშინ ვიკრეთ ბოლო ძალებს, სრულ მობილიზაციას ვახდენთ და წაგებას არ ვეგუებითო. ასეა. გერმანიის ნაღდ თამაშს კიდევ ვნახავთ, ესენი კლანჭებს გამოაჩენენ.

— სენსაციურიო, ითქმის რომელიმე მატჩზე?

— არა. შემდეგ ეტაპზე ის გუნდები გავიდნენ, რომლებიც მოსალოდნელი იყო. მხოლოდ ესპანეთის გავარდნას არ ველოდი. ისიც ნიგერიამ დაჯაბნა, კარგმა გუნდმა, თუმცა ბოლოს მაინც შეეძლოთ ესპანელთა მერვედფინალში გაყვანა, მაგრამ აფრიკელები არიან და...

— ფეხბურთელებზეც ვთქვათ.

— რონალდო, რონალდოა. დენილსონიც მომწონს, ჰოლანდიელი ოვერმარსიც, რომელმაც მძიმე ტრავმის შემდეგ ფორმა სრულფასოვნად აღიდგინა. მეტს ველოდი ჩილელი სალასისაგან. ის არ ყოფილა რამდენსაც ლაპარაკობენ. აჭარბებდნენ, რომ ამბობდნენ, მაგარი ბიჭიაო. განსაკუთრებით კი მაიკლ ოუენს გამოვყოფ, კარგი ფეხბურთელი გაიზრდება. გოლის შექმნაც იცის და გატანაც, სწრაფია, გონიერი.

— შეიძლება ფინალში გასულმა გუნდებმა მეორე შემადგენლობით ითამაშონ ბოლო მატჩი. ყოველ შეხებაზე წითელ-ყვითელთა ამოღებაზე რა აზრის ხართ? მსაჯობის ახალ მეთოდზე გეკითხებით.

— უხეშობის აღკვეთა საჭიროა, უკნიდან დარტყმის და ასე შემდეგ, მაგრამ მსაჯები ზოგჯერ მართლაც უაზროდ აფრიალებენ ბარათებს. საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი სულაც არ ნიშნავს მათ სიძლიერეს. ფიფას კი... არის მატჩები, რომლებსაც არაკომპეტენტურ მსაჯებს ანდობენ. მაგალითისთვის, ბრაზილია — ნორვეგიაც გამოდგება. ამერიკელმა მსაჯმა, ბოდიში და რაც მიქარა, ყველას მოეხსენება. ხანდახან გასაგდებს არ აგდებენ, წესიერ მოთამაშეს კი უსამართლოდ სჯიან. ერთი სიტყვით, მსაჯი მატჩის რანგის შესაფერისი უნდა იყოს.

— მიმდინარე ჩემპიონატზე უპირატესობა სამხრეთამერიკელებისაა თუ ევროპელების?

— ევროპელების, მაგრამ საბოლოოდ სამხრეთამერიკულმა ფეხბურთმა უნდა გაიმარჯვოს. ევროპაში სამი სკოლაა. ბრიტანული ფეხბურთის, სამხრეთული და კონტინენტური. ამათი სინთეზით რომ ვიმსჯელოთ და არგენტინა — ბრაზილიას შეავადაროთ, უპირატესობას მაინც ამერიკელების ამ ორ ქვეყანას მივანიჭებ. ამას არც ევროპელები უარყოფენ, წუწუნებენ, ჩვენ ყველანაირი პირობა გვაქვს, კლიმატი, ინვენტარი, მაგრამ ამერიკა უფრო ძლიერიაო. ბრაზილიაში ბავშვები ფეხბურთს ფეხშიშველები თამაშობენ, რადგან ბუცები არა აქვთ. კლიმატური პირობებიც უჭვეულოა. რა გამოდის? ესე იგი ამერიკელებს ჭკვიანი მწვრთნელები ჰყავთ და ბუნებრივი ნიჭიც ხელს უწყობთ. დიდი ხანია, ისინი ტაქტიკურად მომჯობინდნენ, აღარაფერს ვამბობ ტექნიკაზე. სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობენ და ვგულშემატკივრობ კიდეც.

— თქვენი კოლეგების ნაბიჯი-ნაბიჯ-ნამოქმედარს როგორ შეაფასებთ?

— გლენ ჰოდლმა დაამტკიცა თავისი კარგი სპეციალისტობა. ეტყობა, სკანდალებს არ უშინდება. პრინციპულ კაცად წარმომიდგენია. იმდენი გააკეთა, რომ ფეხბურთელებს ისე დააწყობინა თამაში, როგორც თავად სურს. საწადელს მიაღწია და ფეხბურთელებიც აჰყენენ. არა სულელურად, არამედ გონივრულად. ძალიან კარგად ჩანს, ბიჭები ჰოდლის დავალებას ხუთაინზე ასრულებენ. თუნდაც რად ღირს, მწვრთნელმა გესქოინი რომ შინ დატოვა. თითქმის იგივე გააკეთა თბილისში, როცა მაკმანამანი არ ათამაშა. მაშინ ჰკითხეს, რატომ გყავდა მაკმანამანი სათადარიგოებში. მან კი, ტაბლოს შეხედეთო, უპასუხა.

კვალიფიცირებული მწვრთნელია იტალიელი ჩეზარე მალდინი და ჰოლანდიელი გუს ჰიდინკიც.

— ახლა გულშემატკივრები დაწყნარეთ. საქართველოს ნაკრები რომ საფრანგეთში თამაშობდეს, რას მიაღწევდა?

— ფაქტია, არ შევრცხვებოდით. დანარჩენს კარს მომდგარი შესარჩევი თამაშები გვიჩვენებს, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩებზე ნაკლებ მძაფრი როდია. ყველა გუნდი შესაძლებლობების მაქსიმუმს აჩვენებს, რათა ევროპის ჩემპიონატზე ითამაშოს. ჩვენს ჯგუფში კი ნორვეგია და საბერძნეთი ისეთი გუნდები არიან, საფრანგეთში მოთამაშე სამი-ოთხი გუნდის გარდა არავის არაფრით ჩამოუვარდებიან. მაროკოს, იამაიკას, ტუნისს, ბელგიას ამათ რიცხვში არ ვთვლი. ჰოდა, დაველოდოთ მათთან ოფიციალურ თამაშებს. და თუ შესარჩევებში გავიმარჯვეთ, მაშინ თავად დაფიქრდით, რას მივაღწევდით საფრანგეთში. პასუხი თავისთავად იქნება. გულშემატკივრის მოვალეობა და საქმე კი ეგაა, უნდა თქვას, უნდა იკამათოს, აბა, რა...

კობა ინასარიძე

ვის შერჩევა ქობულაძე?

ვინ არ იცის, ჩვენში საკონტრაქტო პრობლემები რომ ჯერაც მოუგვარებელია. მთავარია, ფეხბურთელმა ხელშეკრულებას ხელი მოაწეროს, თორემ დიდად არ დაგიდევთ, შიგ რა წერია. მაინცდამაინც არც კლუბის ხელმძღვანელები იკლავენ თავს, მოთამაშეთა წაყენებულ პირობებს საფუძვლიანად გაეცნონ. იმხელა თანხებს შეჰპირდებიან, რისი გადახდის თავიც არ ეჭნებათ, სამაგიეროდ, სულ ცოტა, ერთი წრე მაინც ფეხბურთელი მათ განკარგულებაშია.

მერე, ერთ მშვენიერ დღეს, მოთამაშეს ყველაფერი მოსწყინდება და ფედერაციას საჩივრით მიაკითხავს, საკონტრაქტო პირობები არ შემისრულეს და ხელშეკრულების დარღვევას ვითხოვო.

რა ხანია, ასე გრძელდება. ფედერაციის საგანგებო კომისიაც თვეში ერთხელ მაინც შეიკრიბება და მტყუან-მართლის გარჩევას ლამობს. ზოგჯერ ფეხბურთელი იმარჯვებს, ზოგჯერაც — კლუბი.

სამი ბობოლა ქართული კლუბის მონაწილეობით მსგავსი ინციდენტი ახლაც მოსალოდნელია. „დინამო“, „ბათუმი“ და „კოლხეთი“ ის გუნდებია, რომელთაც ეროვნულ ჩემპიონატში ყოჩობენ.

დავის მიზეზად „კოლხეთის“ და ეროვნული გუნდის მცველი მიხეილ ქობულაძე გადაქცეულა. მიმას ყველა უპრეტენზიო, თავის საქმის ერთგულ მოთამაშედ იცნობს და იკითხავენ, კი მაგრამ, რა დაშავა ასეთიო. არაფერი, მაგრამ კოლხთა და ბათუმელთა დავაში ისიც რომ ურევია, ფაქტია.

ქობულაძე ოზურგეთელი ბიჭია. ბურთაობაც, ბუნებრივია, „ჭერცხალში“ დაუწყია. ამ სამიოდ წლის წინ „დინამომ“ ფეხბურთელთა მისაღებად მორიგი კონკურსი გამოაცხადა. გემახსოვრებათ, ბაზაზე არაერთი ვარჯიშობდა. დავით ყიფიანს ქობულაძეც ნიშანში ამოუღია, მაგრამ მერე ყიფიანმა უარი თქვაო. ქობულაძე ფოთელებმა გადაბირეს, უფრო სწორად ინათხოვრეს, რადგან მიშა კონტრაქტით „დინამოს“ ეკუთვნისო.

ასე იყო თუ სხვაგვარად, ქობულაძემაც „კოლხეთში“ ბურთაობით დამახსოვრა თავი გულშემატკივრებს და ეროვნული გუნდის თავკაცებმა სწორედ ამ გუნდში ჩატარებული მატჩების შემდეგ დასასახელეს ნაკრების კანდიდატად.

ქობულაძე რუსების წინააღმდეგაც ითამაშედა, იმ დღეებში ღვიძლს რომ არ შეეწუხებინა.

ჩემპიონატი გასრულდა. კოლხები შვებულებაში გავიდნენ, თავად კლუბს ცოტა საქმეები აეწეწა, მაგრამ ასე ყოფილა ყველი სეზონის დასაწყისში. დასვენების ვადა ამოიწურა. სოსო ფილიამ გუნდის შეკრება დაიწყო, ძველსა თუ ახალს ყველას თავი მოუყარა, მხოლოდ ქობულაძე მოისაკლისა. ელოდა ერთი დღე, მეორე, მაგრამ მიშა არ გამოჩენილა. შეწუხდნენ ფოთელები, დაგვიანება და უპასუხისმგებლობა ქობულაძეს არ სჩვევია. მოიკითხეს და იგი ბათუმში აღმოჩნდა — ფოთში მიმბრუნებელი არა ვარ, თასების თასზე ვითამაშებო.

რატომ უგანა ქობულაძემ "კოლხეთს"? ფოთელებს რომ ჰკითხოთ, ხელებს გაშლიან, აბა, რა გითხრათ, მისთვის პატივსცემა არ დაგვიკლიაო.

მოთამაშე კი ამბობს, რამდენიმე თვეა, კუთვნილი ხელფას-პრემიები არ მომიღიაო.

პასუხი „კოლხეთის“ ხელმძღვანელებსაც მზადა აქვთ, დავალიანება სრულად მაისის ბოლოს დავფარეთ, ყველამ კუთვნილი მიიღო, ქობულაძის ფულიც ხელუხლებელი დევს, მოვიდეს და ვინ დაუჭერსო.

ქობულაძე ახლა ფულის მიღებაზე უარს ამბობს, ფედერაციაში საჩივრის შეტანას აპირებს და იმ კონტრაქტის დარღვევას ითხოვს, რომლის ვადაც 31 ივლისს იწურება.

ევროტურნირში ეთამაშა და მერე წასულიყოო, ბობოქრობენ ფოთელები. ივლისს ბოლომდე უეფას თასის ერთი წრე „კოლხეთს“ ჩამთავრებული ექნება და ისიც საკითხავია, მეორეს ითამაშებენ, თუ არა.

ფეხბურთის ფედერაცია ამ დავის გარჩევას უახლეს დღეებში აპირებს, მაგრამ ფოთელთათვის რა ხერხი. სოსო ფილიამ გუშინ უქობულაძოდ „კოლხეთი“ თურქეთში წაიყვანა. სამსუნში ორკვირიანი შეკრება კოლხებს დღეს დაეწყებათ.

კონფლიქტი გადაუჭრელი ვერ დარჩება. თუ მაინცდამაინც ქობულაძე დაკარგეს, ფოთელები რაღაც კომპენსაციას მაინც მიიღებენ, მაგრამ ერთიც საკითხავია, თუ ქობულაძე წესით და რიგით „დინამოს“ ეკუთვნის, მაშინ ვის ფეხბურთელზე დაობენ „კოლხეთი“ და „ბათუმი“?

მაგრამ ჩვენში არაფერია გასაკვირი. საბუთზე მეტად ხალხი სიტყვიერ შეთანხმებას ენდობა. ფეხბურთელებიც ასე შეპირებებით მიჰყავთ, მერე კი ფედერაციაში ხელდახელ შეკოწიწებულ კონტრაქტებს წარადგენენ, რომელშიც ტყუილ-მართალი ისეა ერთმანეთში არეული, ვერავინ არჩევს.

მამუკა კვანტალიანი

ДИНАМО საქართველოს მარად ჩემპიონს ისევ გაახალგაზრდავება ემუქრება, მურთაზ ხურცილავას დიდი გარჯა მოუწევს

დინამოს მე-11-ედ მოსვლა?

გასული ჩემპიონატის გასრულების შემდეგ „დინამოს“ ახალდანშნულმა მწვრთნელმა მურთაზ ხურცილავამ დიღმის ბაზაზე შეკრებილ ჟურნალისტებს გამოვიცხადა, ცოტა მადროვეთ, ყველაფერი გაირკვევა და მოგვიანებით პრესკონფერენციას გავმართავო.

მწვრთნელმა სიტყვა შეასრულა, ახლახან ბაზაზე საბაასოდ მიგვიწვია, მაგრამ რატომღაც ბევრი რამ ჯერაც გაურკვეველად დარჩენილა. კერძოდ, „დინამო“ სრულად არ დაკომპლექტებულა, თორემ ვარჯიშით, იცოცხლეთ, ბევრი ვარჯიშობს.

ჯერაც არ გარკვეულა იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებიც ახალი ჩემპიონატიდან კლუბის ღირსებას დაიცავენ.

— გუნდი მთელი შემადგენლობით ორიოდ დღეა, შეიკრიბა და როგორ გავარკვევდით. თანაც იტალიაში მყოფი ჩვენი ფეხბურთელები ტრავმირებულები დაგვიბრუნდნენ. აშვეთიას კოჭი აწუხებს და ჯერაც ვერ ვტვირთავთ, მუჯირს ვარჯიშზე ცალ ფეხზე ბუცი აცვია, მეორეზე კეტი. გემზაშვილს მოტეხილობა დაუდგინდა და თაბაშირიანი დაიარება.

ხომერიკის ამბავი გასარკვევია. ლევანს წელის ტკივილები აწუხებს. სამი დღეა, გამოკვლევებზე დაგვყავს, მაგრამ ჯერ ვერ დაგვიდგენია, შეიძლება თუ არა მისთვის მაღალი დატვირთვების მიცემა. თავადაც ძლიერ განიცდის. მოლოდინია ყველაზე ძნელი გადასატანი, როცა არ იცი, ხვალ რა მოგელის.

ფაქტობრივად უფორვარდოდ ვრჩებით. აშვეთია და ხომერიკი ფეხზე თუ ვერ დადგნენ, მაშინ ალექსიძის წინ წაწევა მოგვიწევს, რომელსაც, ალბათ, ქუთაისიდან შემატებულ შენგელიას შევუწყვლებთ. ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან.

დღეს ცხოვრება ისე მოეწყო, ფეხბურთელებს ხელს ვერ ვაჯდე, შენთან გადმოსვლას ვერ შესთავაზებ. კლუბთან თუ საკითხი მოაგვარე, მერე სულ ცოტა, ოთხ მეპატრონესთან გიწევს ურთიერთობის გარკვევა. ზოგი მენეჯერი ვარო გაიძახის, ზოგიც — მეპატრონეო. სინამდვილეში ნამდვილ პატრონს არავინ ეკითხება, ახალგაზრდა, დამწყები მოთამაშისთვის რა და როგორ აჯობებს.

რაკი ასეა, ერთადერთ გამოსავლად საკუთარ რეზერვთან ჯანსაღი მუშაობა მიგვაჩნია, სათხოვარი არავისთან არაფერი გვექნება.

გუნდი ფაქტობრივად ყოველდღე ვარჯიშობს, ზოგჯერ ორჯერაც. მწვრთნელებიც ადგილზე არიან. არავინ მოგვკლებია, გარდა ზურაბ მაისურაძისა. მას ბორის სიჭინავა შეცვლის.

არ ვიცი, ვერ გეტყვით ევროთასებზე რამდენი ეტაპის გავლას მოვახერხებთ, მაგრამ ერთს გპირდებით, ბიჭები ნებისმიერ მეთოქეს თავს შეაკლავენ, ბოლომდე იბრძოლებენ. ბევრსაც ნუ მოგვთხოვთ, გუნდი ხომ თავიდან ყალიბდება.

მე ჩემი პრინციპები მაქვს. ფეხბურთელი, რომელსაც წასვლა უნდა და არ ჩერდება, უნდა გაუშვა, მაგრამ ისიც ეცოდინება, რომ თუ საქმეები ვერ აიწყო, უკანაც ვერ მობრუნდება. გუნდიდან გუნდში მოხეტიალეს და ფორმადაკარგულს „დინამოში“ ვეღარ მივიღებთ. თვენახევარი უსაქმოდ მყოფი მოთამაშე ფორმას მთელი სეზონის განმავლობაში ვერ აღიდგენს და სკამი ტყუილად რად ვახეხინო.

გოგიჩაიშვილზე და ანჩაბაძეზე უარი



ვთქვი. ამათ რომ გუნდში მოიყვან, ცხადია, ადგილს სათადარიგოებში ვერ მიუჩენ. თანაც ნახევარი წლის მერე ისევ უცხოეთს მიაშურებენ. ამიტომ მათი მოწვევა გაუმართლებლად მიმაჩნია. იმ ნახევარ წელიწადში რომელიმე ახალგაზრდა გაიხსნება, საგრძნობლად მოუმატებს და „დინამოს“ კარგა ხანს გამოადგება.

დავით ჭიჭვეიშვილზე მკითხეთ, იგი კონტრაქტით ჯერაც „დინამოს“ ეკუთვნის. მასზე კი ვფიქრობთ, მაგრამ ჯერ საბოლოო პასუხს ვერ გაგცემთ.

ორ ივლისს ტალინში გავემგზავრებით ორკვირიან შეკრებაზე. იქ ოთხი საკონტროლო შეხვედრის გამართვაა დაგეგმილი. მოვითხოვე, რაც შეიძლება ძლიერი სპარინგ-პარტნიორები გამოეძებნათ. იმ მატჩების საბოლოო შედეგი არ მაინტერესებს. მინდა, გუნდის ძალაში დავრწმუნდე. ხომ უნდა ვუთხრათ სეზონის წინ გულშემატკივრებს, რისი იმედი ჰქონდეთ და რისთვის გვიქომაგონ. ერთი კი შეშიძლია თამამად გითხრათ, ტალინში ნაღდი „დინამო“ წავა.

ხურცილავას ეს მონოლოგი იმას გვაფიქრებინებს, რომ „დინამოში“ ახალი, განსხვავებული ერა იწყება. იდეები და გეგმები, იცოცხლეთ, კარგია, არაერთიც გვსმენია, მაგრამ მერე რეალურად არ განხორციელებულა.

შეძლებს კი ხურცილავა ბრძოლისუნარიანი, იმედისმომცემი გუნდის შეკრებას. რაღა დაგიმალოთ, გვეეჭვება, მაგრამ მწვრთნელის მონდომება და იმედიანობაც ყურადსაღებია.

დიდი ხნის ლოდინი არ დაგვჭირდება. „დინამოს“ ძალას პირველივე თამაშში დავინახავთ. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპამდე ხომ ცოტაღა დარჩა. გაუჭირდება ჩვენს „დინამოს“, მით უმეტეს, როცა კლუბიდან კიდევ სამი გამოცდილი ფეხბურთელი წავიდა.

ლობჟანიძემ, კიკნაძემ და ზოიძემ თავად გადაწყვიტეს თავიანთი ბედი, გვითხრა მურთაზ ხურცილავამ. მწვრთნელს მხოლოდ ის არ დაუკონკრეტებია, რომელ კლუბებში ვიხილავთ უკვე ყოფილ დინამოელებს.

„დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტმა რომან შოთაძემ, „დინამო“ — „მრეტების“ საქმის ირგვლივ ახალი ხომ არაფერიაო რომ ვკითხეთ, გვიპასუხა — სასამართლო მერამდენედ გადაიდო. ფედერაციიდან არავინ მოდის სასამართლოზე, ხოლო „მრეტებს“ ახლა დასჭირდა ადვოკატი, არადა, მოდავე მხარეს ხომ ადვოკატთა საბჭო წარმოადგენს. ადრე იმას გვიკიჟინებდნენ, „დინამოს“ თავკაცები დროს საგანგებოდ წელავენო, ახლა რა გამოდის, ჩვენ ვცდილობთ დროის მოგებას, თუ ისინი?!

ასე გრძელდება რა ხანია, სასამართლო მერამდენედ გადაიდო, ალბათ ახლაც ასე იქნება, რადგან არა მგონია, ფედერაცია სასამართლოში მოვიდეს. ჩვენ ერთხელაც ვაცხადებთ, რასაც სასამართლო გადაწყვეტს, რა განაჩენსაც გამოიტანს, იმას დავემორჩილებით.

მოკლედ, „დინამოს“ მშფოთვარე წელი ელის, რომელიც კლუბს ახალ სახელს და დიდებას მოუტანს, რა თქმა უნდა, იქნება იმედგაცრუებაც, მაგრამ ყველაფერი ხომ ფეხბურთის თანხვედრია.

მამუკა კვანტალიანი

ЛЕГИОНИ „დინამოდან“ დათხოვნილ თავდამსხმელს ბელგიელები იწვევენ

წიტაიშვილიც ბელგიაში

თავდამსხმელი კობა წიტაიშვილი „ოდიშიდან“ „დინამოში“ რომ გადმოდიოდა, სპეციალისტებს იმედი მიეცათ, ახლა ამას გვარიან ლაგამს ამოსდებენ, ჭკუაზე მოიყვანენ და კიდევ ერთი ძლიერი თავდამსხმელი შეგვემატებაო.

მოგეხსენებათ, წიტაიშვილი „დინამოდან“ გარიცხეს, თანაც მურთაზ ხურცილავას მწვრთნელობისას, ვის ხელქვეითაც წიტაიშვილს დიდხანს უბურთავია.

ზუგდიდელის გაშვების მიზეზად „დინამომ“ სპორტული რეჟიმის დარღვევა დასახელა.

წამყვან ფორვარდთა ტრავმების შემდეგ მოსალოდნელიც იყო, წიტაიშვილი „დინამოში“ მიებრუნებინათ, მაგრამ ხურცილავა შეუუვალი აღმოჩნდა.

კობა თვის ბოლოს ბელგიას მიემგზავრება. ამბობს, იქაური კლუბი მეპატიჟება და მეც ჩავალო. ჯერ თავადაც არ იცის, რა კლუბია, მაგრამ გამალებით რომ ემზადება, ფაქტია.

ამბობენ, ქართველის სავარაუდო კლუბი ერთ-ერთი ძლიერთაგანიაო. იმედია, კობა ამჯერად საქმეს სერიოზულად მოჰკიდებს ხელს.

მამუკა კვანტალიანი

ИНТЕРТОТОს თასის საკვალიფიკაციო ეტაპი

ერევანი „რაზდანი“ 27 ივნისი

19 93

ЕРЕВАНИ 1:1 ТОРПЕДО

საპასუხო მატჩი

ЕРЕВАНИ: ა. ავაქიანი, კ. სიმონიანი, ნარიმანიანი, თბოევოსიანი, დალაქიანი (გ. ავაქიანი 84), მკრტჩიანი (ოვსეფიანი 68), საფარიანი, მიქაელიანი (რ. სიმონიანი 57), ოვანესიანი, არზუმანიანი, ნაზარიანი

ТОРПЕДО: გრ. ჭანტურია (მამარდაშვილი 84), ჩხაბერიძე, კ. კვეტენაძე, შ. ხუჯაძე, ვაჩიბერაძე, დ. ჯანაშია, მაისურაძე, მეგრელაძე, თურმანიძე, ნატროშვილი (ჩხეტიანი 68), ჯინჭარაძე (შეყრილაძე 78)

1:0 ოვანესიანი (22), 1:1 ხუჯაძე (30)

გაფრთხილება: თურმანიძე, ნარიმანიანი

მსაჯი: რ. ჰანლონი (ირლანდია)

იუზა კაციტაძე ერევნიდან

მატჩამდე

ფეხბურთში ჭიპმოწყვეტილი კაცია ლევონ კეგეიანი, სომეხთაგან ერთ-ერთი პირველი სპორტის დამსახურებელი ოსტატი. თავის დროზე იგი კარგადაც თამაშობდა და სამწვრთნელო ასპარეზზეც ბევრისთვის მიუღწევია. სხვა რომ არაფერი, 1973 წელს „არარატმა“ რომ საკავშირო ჩემპიონობა და თასი ერთდროულად მოიპოვა, კეგეიანი ერევნელთა თავკაცის ნიკიტა სიმონიანის მარჯვენა ხელი გახლდათ. მას შემდეგ მთელი მეოთხედი საუკუნეა, ლევონ კეგეიანი „რაზდანის“ სტადიონის დირექტორია. აბა, მას რას გამოაპარებ? იგი იყო, მატჩის წინდღით რომ გვიმტკიცებდა, აი, ნახავთ, რაც იქნება, ჩვენ ბილეთებსაც არ გავყიდით, მაგრამ 200 კაცზე მეტი თამაშზე არ მოვაო. 75-ათასიან სტადიონზე 200 კაცი?! მაგრამ, ასემც ყველაფერი კარგი აგიხდეთ.

სომხების სხვა ქალაქებისა რა გითხრათ და, ერევანში ფეხბურთი გადაყვარებათო, ვერავინ იტყვის. აქ ბევრს გამოველაპარაკე, დიდსაც და პატარასაც. ძალიანაც უყვართ, ყველაფრის კურსში არიან. ბუნებრივია, ახლა მსოფლიოს ჩემპიონატით ცხოვრობენ, ნებისმიერი წვრილმანი იციან და შეუძლიათ დაუსრულებლად ისაუბრონ. მხოლოდ ერთს ნუ გააგონებთ — სომხეთის პირველობას. არა, შინაურ ფეხბურთზე გულგატეხილი ჩვენთანაც ბლომადაა, მაგრამ ასეთი პესიმიზმი (!) ღმერთმა გვაშოროს. ქვეყნის პირველობას აქ თურმე არავინ წყალობს. თამაშებზე თითო-ოროლა კაცი დადის. დაბალი დონეა. კლუბებს ფინანსურად უჭირთ. მიმდინარე გათამაშებაში 16 გუნდი რომ უნდა ჩაბმულიყო, მხოლოდ 9 გამოდის. არც ეროვნულ ნაკრებს აქვს კარგად საქმე. ამის შესახებ ისედაც ვიცით. მოკლედ, სომხურ ფეხბურთში უამრავ პრობლემას მოუყრია თავი, გადაჭრაზე კი მხოლოდ ახლა დაუწყიათ ფიქრი. სულ ერთი თვის წინ შეცვლილა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა. პრეზიდენტად ერევნის მერი სურენ აბრამიანი აურჩევიათ. ახალი კაცი მოვიდა ეროვნული ნაკრების სათავეშიც. ხორენ ოგანესიანი ამ ბოლო დროს ლიბანურ კლუბებში ნამუშევარმა სურენ ბარსეგიანმა შეცვალა. ბარსეგიანს დამხმარედ ყოფილი არარატელი აშოთ ხაჩატრიანი მიუჩინეს. წინასწარ ძნელი სათქმელია, რას იქმს ახალი ხალხი, მაგრამ დაინტერესება და ოპტიმიზმის საფუძველი არის და ეგებ, სომხურ ფეხბურთს მართლაც ეშველოს. ჩვენ ამით არაფერი დაგვაკლდება.

ახლა მოდით, ისევ მთავარ თემას დავუბრუნდეთ. „რაზდანზე“ ვამბობდით. ამ მართლაც უნიკალურ ნაგებობას ძველი ხიბლი კი შემორჩენია, მაგრამ სავალალო მდგომარეობაშია. სტადიონის შესაკეთებლად 6 მილიონი ამერიკული დოლარია საჭირო, ამ თანხის გამღები კი არავინ არისო, შემოგვჩივლა კეგეიანმა. ასე ნელნელა სტადიონი დაგვენგრევაო, ანგარიშზე ერთი დრამიც (სომხური ფულის ნიშანი. 1 აშშ დოლარი — 500 დრამი) არ გვიდევსო. ჩვენი შემოსავლის ერთადერთი წყარო საერთაშორისო მატჩებია, მაგრამ ხალხი ნაკრების მატჩებსაც აღარ ესწრება და თქვენი „ტორპედოს“ თამაშზე თუ არ მოვა, ნუ გაგიკვირდებათო.

აბა, რა იყო გასაკვირი. ჯერ ერთი, მარტო კეგეიანის ნათქვამიდან გამომდინარე და ახლა სხვა გარემოებებს არ იკითხავთ? ჟურნალისტებს სტადიონზე ელემენტარული სამუშაო პირობებიც ვერ შეგვიქმნეს. ფაქსი და ტელეფონი რომ არ იყო, ამას ვიღა ჩივის, მაგრამ ორი საათი ფეხზე დგომა როგორია, პრესლოჟაში სკამებიც არ დაგვიდგეს.

მატჩი

მოსალოდნელიც იყო და, მასპინძლები

ბადრი კბილაძის ფოტო

ერევანში ჯანაშიამ (№9) ვეღარ და ხუჯაძემ (№8) კი გაიტანა

თავიდანვე შეტევაზე გადავიდნენ. დაახლოებით 15 წუთი უპირატესობა სომხებს ჰქონდათ. განზრახ იყო თუ რა, ტორპედოელებმა, რომელთა სასტარტო შემადგენლობაში ორი დებიუტანტი — უკანა მცველი მაისურაძე და ნახევარმცველი ნატროშვილი გამოჩდნენ, უკან დაიხიეს და დროის ამ მონაკვეთში საიერიშოდ ვერ მოიცალეს. სომხეთაგან ყველაზე აქტიური ფორვარდი ოვანესიანი მე-6 წუთზე საჯარიმოში შეებრძოლა ქუთაისელ მცველებს. აქ ჩხაბერიძემ იმარჯვა და დაძაბულობა განმუხტა. მე-11 წუთზე ისევ ოვანესიანმა აგვაფორიაქა. ახლოდან, მაგრამ მახვილი კუთხიდან დაარტყა და ოდნავ ააცილა მიზანს. ამას საჯარიმოს წინა ხაზიდან მიქაელიანის სახიფათო დარტყმა მოჰყვა, ამჯერად ჭანტურიამ აიღო. სტუმრებმა თანდათან გაათანაბრეს თამაში. მოედნის ცენტრში კვეტენაძე გააქტიურდა. მე-16 წუთზე სომხებმა იგი თავიანთ საჯარიმოსთან ახლოს აკრძალული ხერხით შეაჩერეს. ნატროშვილმა ძლიერად დაარტყა ჯარიმა, მაგრამ კარს ააცილა. სტუმრებმა მსირებულ შეტევებზე ფიქრი რომ დაიწყეს, მაშინ მიიღეს გოლი. მარჯვნიდან ჩაწოდებულ კუთხურზე ოვანესიანი გავიდა კარგად, ტორპედოელ მცველებს დაასწრო და თავურით ანგარიში გახსნა. გასაყიმებლად რვა წუთი შეიჭნა საჭირო. ხუჯაძემ მართლაც ჩინებულად ითამაშა, ცრუმოძრაობით რამდენიმე ერევნელი ჩამოიტოვა და კარიდან გამოსულ ავაქიანს შორეულ კუთხეში ზუსტად დაურტყა. აქედან მოყოლებული შესვენებამდე ინიციატივას ჩვენები ფლობდნენ, მაგრამ რეალური საფრთხე სომხებისთვის არ შეუქმნიათ. ტაიმი კი ნაზარიანის შორიდან გასროლილი და ხარიხას ოდნავ აცილებულით დასრულდა.

მეორე ტაიმზე რა ითქმის. თამაშის ტემპმა საგრძნობლად იკლო. სომხები დაღლილნი ჩანდნენ და ძველებურად ვეღარ ირჯებოდნენ, თუმც ბრძოლა არ შეუწყვეტიათ. ტორპედოელებს მეტი ფხა რომ გამოეჩინათ, ალბათ შეძლებდნენ კიდეც მეტოქის გატეხვას, მაგრამ მეტწილად შუა მინდორში აგორებდნენ ბურთს, ხოლო თუ შეუტევდნენ, არცთუ დიდი ძალით. 49-ე წუთზე მეგრელაძემ მარჯვენა ფლანზე ითამაშა კარგად, მაგრამ ბოლოს ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ ჯანაშიას გადაცემა დაუგვიანა. 65-ე წუთზე ჯანაშიამ 15 მეტრიდან მეკარის თავზე სცადა ბურთის გადაგდება, მაგრამ ავაქიანი მიუხვდა ჩანაფიქრს და აუღო. 3 წუთის შემდეგ ისევ ჯანაშიას ჰქონდა კარგი მომენტი. ვაჩიბერაძისგან მიღებული ბურთი საჯარიმოს კუთხემდე ატარა, ბოლოს სახიფათოდაც დარტყა მეკარისგან შორეულ კუთხეში, მაგრამ ამჯერადაც ივაჟკაცა არმენ ავაქიანმა. ეს იყო და ეს. სხვა რამ საინტერესო და აღნიშვნის ღირსი არც ერთ მხარეს არ შეუქმნია. „ერებუნიმ“ საპატიო ფრეს მიაღწია, „ტორპედო“ კი ამ ფრეს დაყაბულდა.

ქუთაისელთა ინტერტოტოს გათამაშების შემდეგ ეტაპზე გასვლა ოფიციალურადაც გაფორმდა და ახლა წინ ბელგიაა. 5 ივლისს „ტორპედო“ „ლომელს“ სტუმრად უნდა შეხვდეს.

მატჩის შემდეგ

არამ ფარსადანიანი: რა უნდა ვთქვა, გაიმარჯვა მეგობრობამ. „ტორპედოს“ წარმატებებს ვუსურვებ. ჩვენ მეტი არ შეგვეძლო.

სოსო ფრუიძე: გაგანია სიცხეში „ტორპედომ“ ის ითამაშა, რამაც მომდევნო ეტაპზე გაგვიყვანა.

სომხური დრამის დასასრული?

КОЛХЕТИ ფოთელებმა მეტი ფხა გამოიჩინეს და შალამბერიძე გადაიბირეს

შალამბერიძემ თსუ-ს უგანა

თსუ-ს ფეხბურთელებს მოსწყინდათ კლუბის ხელმძღვანელთა ყოველდღიური, არაფრისმომცემი დაპირებები და რაკი ახალი ჩემპიონატიც ახლოვდება, ყველამ თავის შველა გადაწყვიტა.

სტუდენტთა მეკარეები ბათიაშვილი და დოლიძე რახანია გუნდს გაეყარნენ. ზურამ ბედი „დინამოს“ დაუკავშირა, მართალია, გუბაზის მომავალი ჯერაც გაურკვეველია, მაგრამ უსაქმოდ არ დარჩება.

რუსიას გადაბირებას ბათუმელები ცდილობენ. თსუ-დან ისეც წასულია.

ჯონი შალამბერიძე გუშინდლამდე უკეთესი დროების დადგომას ელოდა. მას დედაქალაქური „ლოკომოტივიც“ სთავაზობდა სარფიან წინადადებას და ქუთაისური „ტორპედოც“ მაგრამ ფოთელებმა უფრო მეტი ფხა გამოიჩინეს და ახალი სეზონიდან ჯონიც კოლხთათვის გაირჯება.

მოგეხსენებათ, შალამბერიძეს დაცვაში და ნახევარდაცვაშიც ერთნაირი წარმატების შეუძლია თამაში. ახალ გუნდში მას მეტად პასუხსაგები ამოცანა დაეკისრებაო.

როგორც ფოთელებმა თქვეს, სოსო ფილია შალამბერიძეს დაცვის ორგანიზებას და ლიბეროობას დაავალებს.

რომელ ამპლუაში დაფუძნდება შალამბერიძე, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ფაქტი ერთია — ჯონის სტუდენტური დროება დასრულდა.

ლატვია ტალინში

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩვენი ნაკრების მეტოქე ლატვიამ ტალინში ორი მატჩი გამართა. პირველად ძირითადი შემადგენლობით მასპინძლებს მოუგო 2:0, მერე კი მეორე შემადგენლობით და ამავე ანგარიშით ანდორის ნაკრებიც დამარცხა.

ლატვიელებმა ასე ითამაშეს

ЭСТОНЕЦТОМАС: კარავაევი, ლუკაშევიჩი, ზაკრეშევსკი, ი. ლაიზანსი, ვ. ლობანოვი, შარანდო (შტოლცერსი 73), ბლეიდელისი, ასტაფიევი, პახარი (პილი 69), ბაბიჩევი, რიმკუსი (სპროგისი 37)

1:0 პახარი (19), 2:0 ბაბიჩევი (87)

АНДОРАСОМАС: რ. ლაიზანსი, სპროგისი, ზაკრეშევსკი, დრაგუნი, ა. ლობანოვი (შტოლცერსი 56), პოლიაკოვი, ი. ვ. სტეპანოვი (ი. ლაიზანსი 84), ბლეიდელისი, მოლოტკოვი, (შარანდო 60), დობრეცოვი (ნოვიკოვი 46), რიმკუსი

1:0 რიმკუსი (73), 2:0 ბლეიდელისი (81)

არანჩას უძაღლობა აწუხებს

WIMBLEDON'98

უიმბლდონს უკვე გამოაკლდნენ ანა კურნიკოვა და მარი პირსი, ლასვეგასელი შოუ-მენი ანდრე აგასიც ნაადრევად აიბარგა, მაგრამ, ტურნირის ორგანიზატორთა გასახარად, მსოფლიოს ათ ყველაზე სექსუალურ მამაკაცთა ნუსხაში მოხსენიებული პატრიკ რაფტერი თავის მატჩებზე ლონდონელ თინეიჯერ გოგონებს ისევ იზიდავს.

მესამე წრეში კიკინიანი ავსტრალიელის მეტოქე ვეტერანი შვედი მაგნუს გუსტაფსონი იყო და ოზის თითოეულ ბადესთან გასვლას და ხეირიან მოქმედებას ტრიბუნებიდან იმდენი ოხვრა-კვნესა, „უუუ“ და „ააა“ ახლდა თან, თავის დროზე „ბითლზიც“ კი არ დაიწუნებდა თავისი კონცერტებისთვის. რაფტერმა პირველი ხელი იოლად მოიგო, მეორეში უპირატესობა გაფლანგა და ტაი-ბრეიკზე დამარცხდა კიდეც, მაგრამ ეს იყო და ეს. შვედის საფირმო ფორჰენდი საბოლოოდ გაუფერულდა, ავსტრალიელს კი ერთადერთ პრობლემად ისღა დარჩა, რომ მოწოდებისას მაღლა აგდებულ ბურთს ქარი სულ გვერდზე მიაქანებდა და ამ მოქმედების ისევ და ისევ გამეორების წინ, მეტოქეს სულ ბოდიშებს უხდიდა, რა ვქნა, გაწბრაზ არ ვაკეთებო — 6:3, 6:7 (7:9), 6:2, 6:1.

როგორც იქნა, მორჩა თავის მეორე წრის მატჩს ესპანელი არანჩა სანჩეს-ვიკარიო. მეხუთედ განთესილ როლან გაროსის ჩემპიონს პოლონელ მაგდალენა გრეიბოვსკასთან შეხვედრა სამ დღედ გაეწელა: პირველის შემდეგ 6:3, 3:1-ს იგებდა, მეორის მერე საქმე გაუფუჭდა — 6:4, 4:6, 4:3, მაგრამ საბოლოოდ გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა და არანჩაც მეთექვსმეტედფინალში აღმოჩნდა — 6:4, 4:6, 6:3. ისე, გამარჯვებით ესპანელს საქმე დიდად არ გაიოლებია, ამავე დღეს მას კიდევ ორი მატჩი გაუხდა სათამაშო — ჯერ წყვილებში, მერე კი მესამე წრისა ერთეულებში. თუმცა, თავად არანჩას თუ ვერწმუნებით, ყველაზე მძიმე მისთვის თავის ტერიერ როლანთან და ფინია გაროსსთან განშორებაა, ინგლისის მკაცრი საკარანტინო წესების გამო ბარსელონაში რომ მოუხდათ პატრონის დის მეთვალყურეობის ქვეშ დარჩენა.

სანჩესისგან განსხვავებით, მის თანამემამულეს, უიმბლდონის 1994 წლის ჩემპიონ კონჩიტა მარტინესს (8) ნაკლებად გაუმართლა. 26 წლის ინგლისელი სამანტა სმიტი აქამდე მიღწევებით ნაღდად ვერ დაიტრაბახებდა — დიდი სლემის მშობლიურ ტურნირზე ხუთი ცდით პირველ წრეს არ გასცდენოდა, მაგრამ ამჯერად თავისიანთა გულშემატკივრობით შეგულიანებულმა ფრთები შეისხა, მარტინესს 2:6, 6:3, 7:5 აჯობა და მერვედფინალში გასვლისთვის განკუთვნილი 41 700 დოლარიც დაიბეგა. „ვერც კი წარმომიდგენია ამდენი ფულის პატრონი რომ ვარ... არ ვიცი, მათ რა უნდა ვუყო. თან, როგორც იქნა, ნანატრი ამისრულდა და ცენტრალურ ან პირველ კორტზეც მომიწევს თამაში, ნამდვილად მეცხრე ცაზე ვარ“ — თუ ამ მილიონერთა სპორტში ასეთ თანხაზე გადარევა გაგაკვირვებთ, გაცნობებთ, რომ მთელი გასული წლის განმავლობაში სმიტს 40 ათასი დოლარიც კი არ მეთვალა საპრიზოებით.

არანჩა სანჩეს ვიკარიო

გუშინ უიმბლდონზე ერთი ინციდენტი მოხდა — „ოლ ინგლენდ კლაბს“ გადმომყურე ათსართულიანი კოშკის ბოლო სამი სართული გაურკვეველი მიზეზების გამო ცეცხლის ალში გაეხვია. ამით ბევრი არაფერი დაშავებულა — კვამლით სულშეხუთულ ერთ ქალბატონს სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს, უიმბლდონის ბოლო, მე-18 კორტზე კი უსაფრთხოების მიზნით ორი ტოდის — მარტინისა და ვუდბრიჯის მატჩი შეწყვიტეს და მაყურებლები ახლომახლო ტერიტორიებზე გახიზნეს.

მესამე წრე. კაცები: ტიმ ჰენმანი (12, ინგლისი) — ბაირონ ბლექი (ზიმბაბვე) 6:4, 6:4, 3:6, 7:5; მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — დანიელე ბრაჩალი (იტალია) 6:3, 6:4, 6:4; მაგნუს ლარსონი (შვედეთი) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:3, 6:3, 6:2; ჯეისონ სტოლტენბერგი (ავსტრალია) — მარკ ვუდფორდი (ავსტრალია) 6:1, 3:6, 6:3, 3:6, 6:3; იონ ვან ლოტუმი (ჰოლანდია) — ტომი ჰაასი (გერმანია) 6:3, 6:3, 6:3.

ქალები: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:2, 6:1; ნატალი ტოზია (16, საფრანგეთი) — ჟული ალარი (საფრანგეთი) 7:6 (7:5), 3:6, 6:4; ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — მარია ალეხანდრა ვენტო (ვენესუელა) 6:3, 1:6, 6:2; სანდრინ ტესტიუ (14, საფრანგეთი) — ლორი მაკნილი (აშშ) 6:3, 7:6 (9:7); მაუი სერნა (ესპანეთი) — ნაოკო სავამაცუ (იაპონია) 6:3, 5:7, 6:0.

ავთანდილ სვანიძე



სამანტა სმიტი

უსამშობლო არც პრიზია

1906 წლის 25-27 ივლისს საფრანგეთის ქალაქ ლემანის გარეუბანში მოეწყო ავტორბოლა „დიდი პრიზის“ სახელწოდებით. ამან მისცა სწორედ დასაბამი ამ პოპულარულ ასპარეზობას და 1950 წლიდან ტარდება მსოფლიოს ჩემპიონატიც, რომლის ერთ-ერთი ეტაპიც „საფრანგეთის დიდი პრიზია“. პილოტები 48-ედ გამოვლენ სტარტზე „დიდი პრიზის“ სამშობლოში (1955 წელს აქ რბოლა არ გამართულა), არადა, სეზონის დაწყების წინ მანი კურში რბოლის გამართვა საჭვო შეიქნა ტელერეპორტაჟის უფლებაში გაურკვევლობის გამო, საბოლოოდ კი ფიამ ეს რბოლა მაინც შეიტანა კალენდარში.

მანი კურის ტრასა მომქანცველია პილოტებისა და ძრავებისთვის. საბურავებსაც უმოწყალოდ ანადგურებს. შარშან აქ შესანიშნავად იასპარეზა შუმიმ, რომელმაც ბოლო წრეებზე გაავდრების მიუხედავად „სლიკებით“ განაგრძო ასპარეზობა და გაიმარჯვა. ვილნევმა კი ბოქსებიდან მე-7 პოზიციაზე დაბრუნების შემდეგ მეოთხე ადგილზე დაამთავრა რბოლა და ბოლო მოსახვევში ირვინის გასწრებისას რომ არ მოცურებულიყო, იქნებ პოდიუმზეც გვეხილა. წლეულსაც დაძაბული რბოლაა მოსალოდნელი, „მაკლარენი“ შეეცდება დაამტკიცოს, რომ კანადაში წარუმატებლობა შემთხვევითობა გახლდათ. გამარჯვებით წახალისებული „ფერარი“ და შუმი კი შეეცდებიან, კვლავაც დაამარცხონ „ვერცხლისფერები“. „უილიამსის“ ბოლიდი ამ ტრასისთვის უფრო მოხერხებული გახლავთ და მომზადებისთვისაც საკმაო დრო იყო. ამიტომ ვილნევიც აუცილებლად გამოიღებს ხელს. წარმატებაზე ბენეტონელებიც ფიქრობენ და ისინიც მოდიფიცირებულ ბოლიდს გამოიყვანენ მანი კურში. დაძაბული ბრძოლაა მოსალოდნელი საშუალოსნებს შორისაც. „ზაუბერი“ და „სტიუარტი“ ქულათა მარაგის გაზრდას ეცდებიან, „ჯორდანს“ და „პროსტს“ კი ამ სეზონში პირველი ქულები აქვთ მოსაპოვებელი.

მიუხედავად იმისა, რომ იან მაგნუსენმა კანადაში 1 ქულის მოპოვება შეძლო, ჯეკი სტიუარტმა იგი მაინც შეცვალა ჰოლანდიელი იოს ვერსტაპენი. „რენაულს“ 48 რბოლა აქვს ჩატარებული, „ბენეტონისა“ და „ეროუსის“ გუნდები და საფრანგეთში ამ სეზონში პირველად მიუჯდება „სტიუარტ-ფორდის“ საჭეს.

საფრანგეთში „ფერარი“ 595-ედ გამოვა სტარტზე, „ტირელი“ 410-ედ, „ზაუბერი“ 90-ედ, „სტიუარტი“ 25-ედ. რალფ შუმახერი, რომელიც ზეგ, 30 ივნისს 23 წლის გახდება, 25-ედ გამოვა სტარტზე, მისი ძმა მიხაელი კი 110-ედ ირბოლებს. მიკა სალოსთვის ეს მე-60 ასპარეზობა იქნება, ნაკანონთვის 25-ე.

ჩემპიონატის ამ პერიოდისთვის გუნდებს ახალი საზრუნავი უჩნდებათ ხოლმე, მომავალ სეზონზე იწყებენ ფიქრს. არც წლეკანდელი წელია გამონაკლისი და აქა-იქ უკვე ჩნდება ცნობები ზოგიერთი გუნდისა და პილოტების შესახებ. ამბობენ, ჟაკ ვილნევი მომავალ სეზონსაც „უილიამსში“ გაატარებსო, მიუხედავად იმისა, რომ წელს გუნდმა ვერ შეძლო ჩემპიონატის საკადრისი ბოლიდის მომზადება. „ზაუბერი“ გაისად „ფერარის“ ძრავის „მეკაქრომით“ შეცვლას ფიქრობს, თუმცა კი ამისთვის „ბრიტიშ-ამერიკან რეისინგთან“ (ჯერ კიდევ „ტირელი“ რომ ჰქვია) მოუწევს ბრძოლა. გაისად კიდევ ერთი ახალი გუნდი — „ჰონდა“ გამოჩნდება ტრასებზე. გუნდის დირექტორი სატორუ ნაკაჯიმა იქნება, ხოლო ბაზას იაპონელები ლონდონის სამხრეთ მისადგომებთან აგებენ. პირველ სეზონში გუნდი „დალარას“ შასით იასპარეზებს, შემდგომში კი ჰარვი პორტლუაიტისა და მაიკ გაისკონის მიერ მოშზადებულ ბოლიდს გამოიყვანს. შეგახსენებთ, რომ „ჰონდას“ გუნდმა 60-იან წლებში 35 რბოლა ჩაატარა და ორში გაიმარჯვა კიდეც. სულ უფრო მეტი ინვესტორი იჩენს ინტერესს ფორმულა 1-სადმი და მრავალმა გუნდმა მიიღო მათგან წინადადებები. მათ შორის არიან ჯონ სარტისი და უოლტერ ვოლფი, რომელთა გუნდებიც 70-იან წლებში ასპარეზობდნენ, შემდეგ კი შეწყვიტეს ჩემპიონატში მონაწილეობა.

ალეკო ჭაბუკიანი

ფორმულა 1

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

VIII ეტაპი

საფრანგეთის დიდი პრიზი

28 ივნისი, მანი კური

ტრასის სიგრძე 4,250 კმ. რბოლის დისტანცია 72 წრე — 305,814 კმ

რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 16 საათზე



1997 წლის შედეგები:

1. *მ. შუმახერი* (ფერარი)	1:38,50,492 (185,639 კმ-სთ)
2. *ფრენცენი* (უილიამსი)	ჩამორჩა 23,573 წამით
3. *ირვინი* (ფერარი)	
4. *ვილნევი* (უილიამსი)	
5. *ალეზი* (ბენეტონი)	
6. *რ. შუმახერი* (ჯორდანი)	

საუკეთესო წრე: *მ. შუმახერი* 1.17,910 (196,380 კმ-სთ)
პოული: *მ. შუმახერი* 1.14,648 (204,817 კმ-სთ)

წინა წლების გამარჯვებულები:

1996 ჰილი (უილიამს-რენო)	1994 მ. შუმახერი (ბენეტონ-ფორდი)
1995 მ. შუმახერი (ბენეტონ-რენო)	1993 პროსტი (უილიამს-რენო)

რაფტერი ქომაგობისთვის მადლობას გასაბერი ხელებით იხდის

ქალებო, ჩემთან!

— პატრიკ, ყველაფერი ისე მიდის, როგორც დაგეგმეთ?

— ყველაფერი კარგადაა, შესანიშნავი მატჩი იყო. სხვათა შორის, წაგება შემეძლო, მაგრამ მესამე სეტის დასაწყისში მაგნუსმა (გუსტაფსონი) რამდენიმე კარგი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან, მე კიდევ ამით ხასიათზე მოვედი და თამაშიც თანდათან უკეთ წამოვიდა.

— დღესდღეობით საკუთარ მოწოდებას როგორ აფასებთ?

— უნდა ვაღიარო, რომ იგი წინა წრეებთან შედარებით თანდათან უარესდება, თუმცა დღეს მძიმე პირობები იყო — ძლიერი ქარი ქროდა. მთლიანობაში გასულ წელთან შედარებით მოწოდებაცა და მის შემდეგ ბადისკენ მოძრაობაც გამიუმჯობესდა, რიტმიც უკეთესი მაქვს და თუ ბურთის წესიერად აგდებასაც ვახერხებ, რაც, სამწუხაროდ, არცთუ ხშირად ხდება, მაშინ არაფერს ვუჩივი.

— ტურნირს შემორჩენილ ჩოგბურთელებზე რას ფიქრობთ?

— ბადისთვის ნორმალურად არც გადამიხედავს, მხოლოდ ის ვიცი, რომ ახლა ჰენმანისა და ბაირონ ბლექის მატჩის გამარჯვებულს უნდა შევხვდე, ზოგიერთ დარჩენილს კი სავსებით არ ვიცნობ. მაგრამ ყველაზე ნიჭიერი მოასპარეზეთა შორის უდავოდ პიტ სამპრასია. არ უნდა დაივიწყოთ კრაიჩეკიც. საერთოდ, აქ კიდევ ბევრი კარგი ჩოგბურთელია.

— საკუთარ შანსებზე რას იტყვით?

— თუ მოწოდების ცოტა უკეთეს რიტმს დავიჭერ, არავისზე ნაკლები შანსი არ მექნება. მართალია, ჯერ კიდევ ისეთი ფორმისთვის არ მიმიღწეია, შარშანდელ ამერიკის ღია პირველობაზე რომ მქონდა, მაგრამ, ჩემდა გასახარად, გადამწყვეტ ქულებსაც ვიგებ და თუ საჭიროა, თამაშის დონესაც ვიმაღლებ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ნებისმიერ შემთხვევაში უკვე მერვედფინალში ვარ, ასე რომ, ცდას არ დავაკლებ.

— ავსტრალიელს ავსტრალიის ღია პირველობა ედმონდსონს აქეთ არ მოუგია, ბრიტანელ ჩოგბურთელს უიმბლდონი — პერიდან მოყოლებული, ფრანგებსაც ნოას აქეთ როლან გაროსის გამარჯვებული არა ჰყავთ. როგორ ფიქრობთ, შინ თამაშს გარკვეული უარყოფითი ეფექტი აქვს მეტი ზეწოლის გამო?

— დიახ, შინ შენგან ყოველთვის გამარჯვებას ელიან, თუმცა ხალხი იმასაც აფასებს, რომ კორტზე 100 პროცენტით იხარჯები. ამას ავსტრალიის ღია პირველობაზე მივხვდი. იქ ლამის თავი დავდე და მიუხედავად იმისა, რომ წავაგე, მხარდაჭერა მაინც არ დამკლებია.

— ქომაქობა არც აქ გაქლიათ...

— აქ ბევრი ავსტრალიელია.

— ეს გეხმარებათ?

— დიახ. თვით ინგლისელებიც გვარიანად მქომაგობენ.

— უმეტესად სუსტი სქესის წარმომადგენლები.

— ქალები, არა? მეც შევამჩნიე. ეს ცუდი სულაც არ არის. იმედია, ტიმთან თამაშის დროსაც ჩემს მხარეს იქნებიან.

— აქ ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ კაცების ჩოგბურთი უინტერესო ხდება, ყურადღების ცენტრში ქალები არიან. თქვენ როგორ გგონიათ?

— ვიმედოვნებ, კაცების ჩოგბურთის საქმე მთლად წასული არ არის. მთავარი ისაა, რომ ზოგიერთ ჩვენგანს სტაბილური შედეგები ჰქონდეს, რითაც ამ ბოლო ხანებში, სამწუხაროდ, თავად ვერ დავიკვეხნი. მაგრამ იმედი მაქვს, ამას მალე გამოვასწორებ, აქეთ ანდრე (აგასი) დაბრუნდა თავისი გულშემატკივრებით, გვყავს ფილიპუსისი და რიოსი, რომელიც საქმეს ნამდვილად ველის. მას ყველა საფარზე შეუძლია თამაში, უსაზღვროდ ნიჭიერია. ყველას რომ მისი სტაბილურობა გააჩნდეს, კაცების ჩოგბურთი ძალიან საინტერესო იქნებოდა.

— დეპრესია, რაც ჯერ კიდევ ორი კვირის წინ გაწუხებდათ ქუინსის ტურნირზე, უკვე შორეული მოგონებაა?

— დიახ, მართლაც ასეა. ჰაინეკენის ტურნირის ნახევარფინალში გასვლის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. ამით რწმუნდები, თუ რა მცირე ზღვარი არსებობს ცუდ თამაშსა და ამით გამოწვეულ იმედგაცრუებას და იმ მდგომარეობას შორის, რომელშიც ახლა ვარ. ამას ყველა აღნიშნავს, მაგრამ სანამ კრიზისს თავს არ დააღწევ, არაფრის გეკერა.

— ბურთს ცუდად აგდებთ ხოლმე, თუ უბრალოდ, პერფექციონისტი ხართ?

— სამწუხაროდ, ცუდად ვაგდებ.

— ყოველთვის ასე იყო?

— გარკვეულწილად, მგრამ ამაზე ვმუშაობ.

პატარებმა დიდებს აჯობეს

საქართველოს ახალგაზრდა კალათბურთელთა ნაკრები გუშინწინ გაემგზავრა ბაქოს საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად და პირველი შეხვედრის გამართვაც მოასწრო. ჩვენს ბიჭებს თურქეთის ერთ-ერთი რეგიონის ნაკრები 89:82 დაუმარცხებიათ. ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვაჟა მხეიძე განსაკუთრებით ლაშა ლოსაბერიძის თამაშით დარჩენილა კმაყოფილი. მომდევნო მატჩს ქართველი ჭაბუკები აზერბაიჯანის ეროვნულ გუნდთან გამართავენ.

გოლები

5 — კრისტიან ვიერი (იტალია)

4 — გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა), მარსელო სალასი (ჩილე)

3 — ლუის ერნანდესი (მექსიკა), სეზარ სამპაიო (ბრაზილია), რონალდო (ბრაზილია)

2 — ტიერი ანრი (საფრანგეთი), დავორ შუკერი (ხორვატია), მარკ ვილმოტსი (ბელგია), არიელ ორტეგა (არგენტინა), რობერტო ბაჯო (იტალია), აბდელჯილილ ჰადა (მაროკო), სალაჰედინ ბასირი (მაროკო), ბებეტო (ბრაზილია), შონ ბარტლეტი (ს. აფრიკა), ფერნანდო იერო (ესპანეთი), ფრანსისკო მორიენტესი (ესპანეთი), კიკო (ესპანეთი), ფილიპ კოკუ (ჰოლანდია), რონალდ დე ბური (ჰოლანდია), იურგენ კლინსმანი (გერმანია), ოლივერ ბირჰოფი (გერმანია), თეოდორ უიტმორი (იამაიკა), ვიორელ მოლდოვანი (რუმინეთი)

1 — ჯონ კოლინზი (შოტლანდია), დან ეგენი (ნორვეგია), მუსტაფა ჰაჯი (მაროკო), პიერ ნჯანკა (კამერუნი), ტონი პოლსტერი (ავსტრია), მარკ რიპერი (დანია), კრისტოფ დიუგარი (საფრანგეთი), რაული (ესპანეთი), მუტიუ ადეპოჟუ (ნიგერია), სანდი ოლისე (ნიგერია), ჰა სეკ ჯუ (კორეა), რიკარდო პელაესი (მექსიკა), სინიშა მიჰაილოვიჩი (იუგოსლავია), მარიო სტანიჩი (ხორვატია), რობერტ პროსინეჩკი (ხორვატია), რობი ერლი (იამაიკა), ალან შირერი (ინგლისი), პოლ სქოულზი (ინგლისი), ადრიან ილიე (რუმინეთი), ანდრეას მიოლერი (გერმანია), ჰავარდ ფლო (ნორვეგია), კრეიგ ბარლი (შოტლანდია), რივალდო (ბრაზილია), ივიცა ვასტიჩი (ავსტრია), ლუიჯი დი ბიაჯო (იტალია), ბენედიქტ მაკართი (ს. აფრიკა), ალან ნილსენი (დანია), დავიდ ტრეზეგე (საფრანგეთი), ბიქსენტე ლისარასუ (საფრანგეთი), ვიკტორ იკპება (ნიგერია), გარსია ასპე (მექსიკა), კვატემოკ ბლანკო (მექსიკა), მარკ ოვერმარსი (ჰოლანდია), დენის ბერხკამი (ჰოლანდია), პიერ ვან ჰოიდონკი (ჰოლანდია), პრედრაგ მიატოვიჩი (იუგოსლავია), დრაგან სტოიკოვიჩი (იუგოსლავია), ჰამიდ ესტილი (ირანი), მეჰდი მაჰდავიკია (ირანი), ბრაიან მაკბრაიდი (აშშ), ლიდერ პრესიადო (კოლუმბია), დან პეტრესკუ (რუმინეთი), მაიკლ ოუენი (ინგლისი), ანდრეას ჰერცოგი (ავსტრია), პატრიკ მბომა (კამერუნი), ხოსე სიერა (ჩილე), ტორე ანდრე ფლო (ნორვეგია), კეტილ რეკდალი (ნორვეგია), იური ჯორკაეფი (საფრანგეთი), ემანუელ პეტი (საფრანგეთი), მიქაელ ლაუდრუპი (დანია), სამი ალ ჯაბერი (საუდეთი), იუსუფ ალ ტინიანი (საუდეთი), ლუის ენრიკე (ესპანეთი), ემილ კოსტადინოვი (ბულგარეთი), სელსო აიალა (პარაგვაი), მიგელ ბენიტესი (პარაგვაი), ხოსე კარდოსო (პარაგვაი), ვილსონ ორუმა (ნიგერია), რიკარდო პელაესი (მექსიკა), ლუკ ნილისი (ბელგია), იუ სენგ ჩუი (კორეა), სლობოდან კომლიენოვიჩი (იუგოსლავია), ექტორ პინედა (არგენტინა), მასაში ნაკაიამა (იაპონია), სკანდერ სუია (ტუნისი), დარენ ანდერტონი (ინგლისი), დევიდ ბექემი (ინგლისი)

ავტოგოლები

2 — პიერ ისა (სამხრეთ აფრიკა)

1 — ტომი ბოიდი (შოტლანდია), იუსუფ ჩიპო (მაროკო), ანდონი სუბისარეტა (ესპანეთი), სინიშა მიჰაილოვიჩი (იუგოსლავია)

წითელი ბარათები

კამერუნი — რაიმონდ კალა, რიგობერტ სონგი, ლავრიანო ეტამე
დანია — მიკლოშ მოლნარი, მორტენ ვიგჰორსტი
მექსიკა — პაველ პარდო, ხესუს რამირესი
შოტლანდია — კრეიგ ბარლი
ს. აფრიკა — ალფრედ პირი
საფრანგეთი — ზინედინ ზიდანი
საუდეთი — მუჰამედ ალ ხალაივი
ბულგარეთი — ანატოლი ნანკოვი
კორეა — ჰა სეკ ჯუ
ჰოლანდია — პატრიკ კლუივერტი
ბელგია — გერტ ვერჰეინი
იამაიკა — დერილ პაუელი

ყვითელი ბარათები

ჩილე — პარაგესი, როხასი, ვილიაროელი, ფუენტესი, ტაპია
ხორვატია — სოლდო
ნიგერია — ოკეჩუკვუ
რუმინეთი — ფილიპესკუ
იტალია — მალდინი, დი ბიაჯო, მორიერო
ბრაზილია — სეზარ სამპაიო, ლეონარდო, კაფუ
ნორვეგია — მიუკლანდი, რეკდალი, ჰ. ფლო

მერვედფინალების წინ ფეხბურველებს ჯგუფურ ტურნირში მიღებული 2 გაფთხილება გაუნახევრდათ, თითო კი გაუუქმდათ.

ჯგუფური ტურნირის სტატისტიკა

გავიდა 126 გოლი. საშუალო შედეგიანობა — 2.625 ბურთი მატჩში.

ყველაზე მეტი მოგება: საფრანგეთი და არგენტინა — 3

ყველაზე მეტი გოლი: საფრანგეთი — 9

ყველაზე ნაკლები გაშვებული გოლი: არგენტინა — 0

ყველაზე მეტი ფრე: ბელგია და ჩილე — 3

ყველაზე მეტი წაგება: აშშ და იაპონია — 3

ყველაზე ნაკლები გოლი: ბულგარეთი, აშშ, კოლუმბია, იაპონია და ტუნისი — 1

ყველაზე მეტი გაშვებული გოლი: კორეა და იამაიკა — 9

წითელი ბარათები: 16. კამერუნი — 3; დანია, მექსიკა — 2-2; საფრანგეთი, სამხრეთ აფრიკა, კორეა, ბულგარეთი, ბელგია, იამაიკა, საუდეთი, შოტლანდია, ჰოლანდია — 1-1

ყვითელი ბარათები: 174. ჩილე — 11; დანია, ხორვატია — 8-8; მექსიკა, საფრანგეთი, სამხრეთ აფრიკა, კორეა, იაპონია, ნიგერია, რუმინეთი, ესპანეთი, ტუნისი — 7-7; კამერუნი, ბულგარეთი, გერმანია — 6-6; ავსტრია, კოლუმბია, იტალია — 5-5; ბელგია, იამაიკა, საუდეთი, შოტლანდია, არგენტინა, ბრაზილია, მაროკო, ნორვეგია, აშშ, იუგოსლავია — 4-4; ინგლისი, ირანი, პარაგვაი — 3-3; ჰოლანდია — 2

ჰეთ-თრიკი: გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა; იამაიკასთან მატჩში)

დუბლი: მარსელო სალასი (ჩილე; იტალიასთან), ლუის ერნანდესი (მექსიკა; კორეასთან), კრისტიან ვიერი (იტალია; კამერუნთან), ტიერი ანრი (საფრანგეთი; საუდეთთან), არიელ ორტეგა (არგენტინა; იამაიკასთან), სალაჰედინ ბასირი (მაროკო; შოტლანდიასთან), შონ ბარტლეტი (სამხრეთი აფრიკა; საუდეთთან), მარკ ვილმოტსი (ბელგია; მექსიკასთან), ფერნანდო მორიენტესი (ესპანეთი; ბულგარეთთან), კიკო ნარვაესი (ესპანეთი; ბულგარეთთან)

გუშინ ფიფამ იმ არბიტრთა სია გამოაქვეყნა, რომლებიც დარჩენილ მერვედფინალურ მატჩებს იმსაჯებენ

28 ივნისი, კვირა	
საფრანგეთი — პარაგვაი	ალი მოჰამედ ბუჯსაიმი (საამიროები)
ნიგერია — დანია	ურს მაიერი (შვეიცარია)
29 ივნისი, ორშაბათი	
გერმანია — მექსიკა	მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)
ჰოლანდია — იუგოსლავია	ხოსე მარია გარსია არანდა (ესპანეთი)
30 ივნისი, სამშაბათი	
არგენტინა — ინგლისი	კიმ ნილსენი (დანია)
რუმინეთი — ხორვატია	ხავიერ კასტრილი (არგენტინა)

რატომ უნდა ჩავდგეთ რიგში?

დასაწყისი პირველ გვერდზე

ყველაფერი ეს უცერემონიოდ მოისროლეს წესრიგის მცველებმა — გასატეხი გატეხეს, ქილებში სასმელებს საცობები დაიძრეს. უნდა გენახათ მთვრალი ბრიტანელის გაოგნებული მზერა — არავითარი რეაქცია, მხოლოდ თვალებში იკითხებოდა სინანული. ისე მომეჩვენა, საწყალს, მგონი, ცრემლიც კი მოადგა თვალებზე. ეს მომენტი დავფიქსირე, თანაც საკმაოდ ახლოდან და პოლიციელის რეაქციაც მყისიერი გახლდათ, ჩვენ ვმუშაობთ, ხელს რატომ გვიშლით, წადით აქედანო. ყელზე ჩამოკონწიალებულმა საკრედიტაციო ბარათმა მიშველა და მეც გზა განვაგრძე. ჰაერიდან ჩვენს უსაფრთხოებას რამდენიმე ვერტმფრენი იცავდა. ამ დღეს 30 ინგლისელი ფანი დაპატიმრებას მაინც ვერ ასცდა.

ლანსი პატარა პროვინციული ქალაქია, სულ 40 ათასი მცხოვრებით. საფრანგეთში მას ყველაზე ახალგაზრდულ ქალაქს უწოდებენ — მოსახლეობის 41 პროცენტი 25 წლისაა. ეს კია საინტერესო: მათ სტადიონზე, რომელსაც ფელიქს ბოლერის სახელი ჰქვია, უფრო მეტი დასაჯდომი ადგილია (41 275), ვიდრე მთელ ქალაქშია მცხოვრები. იგი 1938 წელსაა აშენებული და საგანგებოდ ამ ჩემპიონატისთვის განახლეს.

ალბათ ორმა ფაქტორმა განაპირობა საჩემპიონატო მატჩებისთვის ლანსის არჩევა — პარიზთან სიახლოვემ და მართლაც რომ საოცრად ლამაზმა, სტადიონმა.

ლანსში ბრეზენტით გადახურულ პრესცენტრს საკმაოდ დიდი ფართობი უკავია და, ბუნებრივია, კარგადაა მოწყობილი. დაახლოებით 100-მდე კომპიუტერი და ტელეეკრანია, 200-მდე დასაჯდომი ადგილი, აუცილებელი ტექნიკა და სამსახური.

რადგან „სარბიელის“ კორესპონდენტი ჩემპიონატის მიღმა დარჩენილ ქვეყანას წარმადგენს, პრესის ლოჟაში ადგილის მიღების „ბომლოდინეთა“ სიაში უნდა ჩავეწეროთ და თუ გავვიმართლებს, ხომ კარგი (თუმცა, ფაქტობრივად, ყველას უმართლებს ხოლმე). მეც ჩავეწერე — თამაშის დაწყებამდე სამი საათით ადრე 76-ე გახლდით. ბილეთიც უპრობლემოდ შემხვდა.

უნიფორმაში გამოწყობილმა ძალზე მომხიბლავმა მოხალისე გოგონამ სურვილი გამოთქვა, პრესის ლოჟამდე მივეცილებინე. უარს როგორ ვაკადრებდი, მაგრამ ჟანეტი თურმე თავად ვერ ერკვეოდა სიტუაციაში და შეცდომით მიმიყვანა ოფიციალურ პირთა და განსაკუთრებით საპატიო სტუმართა (VIP) ლოჟასთან. ჩაჰალსტუხებულმა დაცვის ბიჭებმაც იოლად გამატარეს. მიეხვდი, რომ გაუგებრობა მოხდა და შემთხვევით აღმოვჩნდი შამპანურებისა და ღვინის ჭიქების ჭახა-ჭუხში. გონს დროზე მოვეგე, თუმცა ერთი ჭიქა შამპანური მაინც გვახელითა. ამასობაში ჩემს ადგილზე უკვე დასკუპებულმა ინგლისელმა ბოღმიანი სიფათით გადაინაცვლა კიდევ უფრო ზემოთ, მე კი ბერძენი ჟურნალისტის მეზობლად აღმოვჩნდი.

„სარბიელის“ მკითხველებმა, ცხადია, ამ მატჩის ტელეტრანსლაციაც იხილეს და გაზეთიც მოასწრებდა მის გაშუქებას. მე კი, მატჩის უშუალო მხილველმა, შემიძლია დაგიდასტუროთ — ეს იყო ინგლისელთა ტრიუმფი. აკი „ფიგაროს“ წერს: „თუ მეორე წრეში ინგლისელები მოახერხებენ არგენტინელთა ძლევას, ისინი ფინალში ითამაშებენ. გუშინდელი თამაშით მათ ეს დაიმსახურეს.“

სტადიონზე მოსული 10 ათასზე მეტი ბრიტანელი გულშემატკივარი მზურვალედ, ყიჟინით და კივილით მიესალმა ბექემის ძირითადში გამოჩენას. გეცოდინებათ, როგორი კრიტიკა დაატეხეს თავს გლენ ჰოდლს რუმინელებთან ამ მანჩესტერელის შეცვლაზელა შეყვანის გამო. ოპონენტებს ინგლისელთა მწვრთნელი გაღიზიანებული პასუხობდა, ჩემი საქმისა მე ვიცი, თავი დამანებეთო. ტედი შერინგემმაც ძირითადში ადგილი შვილისტოლა მაიკლ ოუენს დაუთმო და იქნებ სამუდამოდაც.

ლანსის სტადიონზე სათამაშოდ გამოსული ინგლისელები კოლუმბიელებზე 3 წლით ახალგაზრდები და სამი სანტიმეტრით მაღლები იყვნენ. სამაგიეროდ, „ბებერ“ (თუ გამოცდილ?) კოლუმბიელს ნაკრებში საშუალოდ 41 მატჩი გამოსდიოდა, ინგლისელს კი მხოლოდ 25.

მე არ გახლავართ ინგლისური ფეხბურთისა და ამ ქვეყნის ნაკრების დიდი მოტრფიალე, მაგრამ არ შეიძლება პატივისცემით არ განეწყო თამაშის იმ დონისადმი, რომელიც ნისლიანი ალბიონის წარმომადგენლებმა აჩვენეს. იქნებ კოლუმბიელები იყვნენ სუსტები? ნაწილობრივ ასეცაა. მათ დიდი გუნდი ჰყავდათ ამ ოთხი წლი წინ აშშ-ში; პირადად მინახავ ისინი საქმეში. შემდეგ დიდი კატაკლიზმები გადაიტანეს, ახლა ასპრილიაც შინ გაისტუმრეს. და მაინც, კოლუმბიელები არ არიან ხელწამოსაკრავნი. ეს, დრო და დრო, ლანსშიც ჩანდა. ბურთთან „შენობით“ ისინი უფრო იყვნენ, ვიდრე ინგლისელები. მათთვის ერთი ან ორი კაცის ჩამოტოვება ლამაზი ფინტით ან დრიბლინგით პრობლემას არ წარმოადგენს, ეფექტურადაც და ლამაზადაც თამაშობენ, „ფიზიკაც“ საკმაო დონეზე აქვთ.

და მაინც, ეს მატჩი შეგვიძლია შევადაროთ, ვთქვათ, პროფესორებისა და სტუდენტების, თუნდაც ფრიადოსნების, ერთგვარ შეჯიბრს. „პროფესორებმა“, რომელთა შორის 2-3 „აკადემიკოსიც“ იყო, ყველა საფეხბურთო კომპონენტში უეჭველად და ულაპარაკოდ დაჩაგრეს ოპონენტები. საცოდაობაა, რომ მხოლოდ ორი გოლი გაიტანეს ინგლისელებმა, ისინი, სულ მცირე, 3-4-ჯერ მაინც იყვნენ ვალდებულნი, თავდაც ეხარათ და ფანებიც გაეხარებინათ. სიმენის კარში კი კოლუმბიელებმა პირველად მხოლოდ მე-40 წუთზე დაარტყეს. ბრიტანელთა შესრულებით კლასიკურ-პრაგმატულმა ფეხბურთმა აშკარად აჯობა კოლუმბიელთა ეგრეთ წოდებულ რომანტიკულ ფეხბურთს. ვაზუსტებ — კოლუმბიელთა, რამეთუ წინაა მატჩი არგენტინასთან და შეიძლება ბრაზილიასთანაც.

ინგლისელები მთელ მოედანზე თამაშობდნენ, სრულად იყენებდნენ სათამაშო სივრცეს — პირითი ხაზიდან პირით ხაზამდე და გვერდითიდან გვერდით ხაზამდე. მათი მთავარი იარაღი იყო საშუალო და გრძელი, მოედნის მთელ სიგრძე-სიგანეზე გადაცემები, მუდმივი მოძრობა, ერთდროულად რამდენიმე ფეხბურთელის გახსნა და ვარიანტების არჩევის საშუალება, თავით კარგი თამაში, ბურთის უმალ მოშორება (ოღონდ არა უმისამართოდ), მოედნის ყველა მონაკვეთის გაკონტროლება, მკაცრი სათამაშო დისციპლინა, პრინციპი — ყველანი წინ და ყველანი უკან. პირველ ტაიმში კოლუმბიელთა შეტევისას შირერიც, ოუენიც და სქოულზიც, როგორც წესი, საჯარიმოზე ჩამოდიოდნენ. ეს მეორე ტაიმში მისცა თავს უფლება შირერმა, ასე აღარ მოქცეულიყო. მოკლედ, ყველა ინგლისელი თამაშს კარგად კითხულობდა, ყველამ თავისი საქმე იცოდა, ყველა თავის ზონას აკონტროლებდა, ერთმანეთსაც ეხმარებოდნენ. არასწორი გადაცემის ან სხვა შეცდომის შემთხვევაში არავითარი ხელების შლა, უკმაყოფილების ჟესტები. მოედანზე თავაუღებლად შრომობდა და პროფესიულად აკეთებდა თავის საქმეს ყველა, თერთმეტივე ინგლისელი. ნამდვილი პროფესიონალები ასე მუშაობენ — სრულიად იხარჯებიან და სხვას არ შეჰყურებენ ხელებში.

შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა პირველი გოლის ავტორმა დარენ ანდერტონმა, რომელმაც რუმინელებთანაც კარგად ითამაშა. იგი, ფაქტობრივად, ერთპიროვნულად ბატონობდა მთელ მარჯვენა ფლანგზე — რასაც და როგორ უნდოდა, იმას აკეთებდა. მარტო პირველ ტაიმში 4-5 ფლანგური საგოლე გადაცემა გააკეთა. ეს დალოცვილი კოლუმბიელებიც გაგაგიჟებენ — მთელი თამაშის მანძილზე მათი მარცხენა მცველი საკუთარი საჯარიმოს ცენტრში უფრო ირჯებოდა, ვიდრე ფლანგზე, ხოლო მიტოვებულ სივრცეს არც ერთი ნახევარმცველი არ ავსებდა და ანდერტონიც ნავარდობდა. მეორე ტაიმში გამოცდილი ვალდერამა შეეცადა გადაეკეტა ინგლისელთა მე-14 ნომრის სამარშრუტო გზა. რაღაც დოზით, ეს მან შეძლო, შემდეგ ანდერტონიც დაიღალა და გამოსაცვლელიც შეიქნა.

ძლიერად ითამაშეს შირერმა, ბექემმა, ტექნიკური კოლუმბიელების წინააღმდეგ თავი არ შეურცხვენია დაცვას, სიმენს, ფაქტობრივად, საქმე არ ჰქონია, რაც შეეხება ყმაწვილ ოუენს, ამ ასაკში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში და ისიც ინგლისის ნაკრებში თამაში მის ნიჭიერებაზე მეტყველებს. ეს მატჩიც კარგად ჩაატარა, განსაკუთრებით მეორე ნახევარი. გოლებიც უნდა გაეტანა, მაგრამ არც იღბალი ჰქონდა ლანსში და გამოუცდელობამაც თავისი ქნა. ეს კია, მაიკლს თავის თავზე თამაშის აღება ჯერ ეშინია: რამდენჯერმე მეკარეს და მას შორის ერთი მცველი იყო და არც ერთხელ უცდია ფინტით მისი ჩამოცილება — კარში ურტყამდა ან უარეს მდგომარეობაში მყოფ პარტნიორს აწვდიდა. კარგი ფიზიკური და წმინდა საფეხბურთო მონაცემები, „ლივერპულის“ სკოლა და გამოცდილება, რომელიც წლებთან ერთად მოდის, იმის გარანტიაა, რომ ინგლისში კიდევ ერთი ვარსკვლავი იზრდება. მეორე დღეს „სანდი ტაიმსმა“ დაწერა, ამ სასწაულებრივმა ბიჭმა თავად გაიკვლია გზა ჰოდლის გუნდშიო. არა მგონია, მთლად ასე იყოს: ხომ არ კნინდება ლივერპულელთა თავკაცის როი ევანსის წვლილი?

მიაგნეს ინგლისელებმა თავიანთ თამაშს? ოპტიმალურ შემადგენლობას? მოუმატებენ კიდევ თუ დენთი მალე გამოელევათ? ეყოფათ ეს დონე საჩემპიონოდ? ისე, ერთი კია, ყველა მომავალი მსოფლიოს ჩემპიონი პირველ წრეს სუსტად ატარებდა (გამონაკლისად 1970 წელი ითვლება).

ვნახოთ. დაველოდოთ 30 ივნისს.

მატჩის შემდეგ, პრესკონფერენციაზე პირველი კოლუმბიელთა მწვრთნელი ერნან გომესი შემოვიდა, საუბრობდა მშვიდად, აუღელვებლად, სამი თუ ოთხი შეკითხვის პასუხს საკმაო დრო დასჭირდა — კოლუმბიელი მხოლოდ ესპანურად საუბრობდა. გამარჯვებული გუნდის მწვრთნელი გლენ ჰოდლი შეგვიანდა — მიზეზიც ჰქონდა — პრინცი ჩარლზი სტუმრებია გუნდს. 15 წუთის დაგვიანებით შემოვიდა, პლასტმასის ჭიქიდან წამდაუწუმ ყავას წრუპავდა, თან გამუდმებით ხელს ყელზე იკიდებდა ხოლმე და ავადმყოფივით ახველებდა, თავს აქნევდა, თითქოს გვაგრძნობინებდა, ბევრი არ მაწვალოთ, ხომ ხედავთ, მთლად ჯანზე ვერა ვარო. არადა, მიკროფონთან თითქოსდა კეკლუცობდა, ისიც მომეჩვენა, რომ ჰოდლმა გამარჯვებულზე უფრო მეტად თავდაჯერებული და თვითკმაყოფილი კაცის შთაბეჭდილება დატოვა.

რა ილაპარაკეს გომესმა და ჰოდლმა, ეს უკვე გეცოდინებათ.

და ისევ გზა, ახლა მარსელისკენ. ლანსის სადგური ოკუპირებულს ჰგავს. ინგლისელები ხმაურობენ და ხარობენ, კოლუმბიელები წყნარად დგანან და მშვიდად საუბრობენ.

თუმცა, ვაგზლის თუ ქალაქის ხელმძღვანელებს, რომ იტყვიან, ერთი იაღლიში მაინც მოუვიდათ. აბა, წარმოიდგინეთ, თამაშის შემდეგ 2-3 საათი სადგურში დგას და მატარებელს ელის ათასობით გულშემატკივარი. ზოგს ლუდი აქვს მირომეული, ზოგსაც გამაგრილებელი წყლები და არ მუშაობს არც ერთი ტუალეტი (უფრო სწორად, ერთადერთი იყო სადგურის მთელ ტერიტორიაზე და ისიც დაეკეტათ). ამ დროს მშველელი ბარები და რესტორნებიც უკე გამოეკეტათ. მოკლედ, ადვილად წარმოიდგენთ, რა დღეში იქნებოდა სადგური და მისი მიმდებარე ტერიტორია. დეტალია, თანაც როგორი, მაგრამ ბარემ ესეც გითხრათ...

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში — კვირაში შვიდჯერ

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოზრირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე

სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ავთანდილ სვანიძე

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29